უველა ზემონათქვამის შემდგომ სამხმიანი გუნდის ხმათა და დვილ სახელად უნდა კრინი, მოძახილი, ანუ თქმა და საშუალო ხმა და ბანი მივიჩნიოთ, ხოლო ექვსხმიანი გუნდის მაღალ ხმათა ჯგუფის სახელებად კრინი, მოძახილი, ანუ თქმა და ზილი ვიცნოთ, ხმათა დაბალი ჯგუფის სახელებად ბანი, დაბალი-ბანი, ანუ შემდგომი და დვრინი.

ამრიგად, ხმების მე-18 ს. მეორე ნახევარში არსებული ქართული სახელები უკვე გამორკვეული გვაქვს. მაგრამ რა ეწოდებოდა ექვს-ხუთ-ხმიანი გუნდის მონაწილე თვითეულს ხმათაგანს ამაზე უწინარეს, ამის შესახებ არს დაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. ამის გამორკვევა ჯერჯერობით მხოლოდ ვურამიშვილის ლექსების უკვე მოყვანილი ორი ნაწყვეტის წყალობით შეიძლება. თავთავის ილაგას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ექვს-ხმიან გუნდში: ერთი ამბობს, ერთი გალობს, ერთი მოძახილს, ერთი ამბობს ზილსა, რამდენიმე, ანუ ბევრიც კი ამბობენ ბანს და დასასრულ ერთიც დვრინავს. ხუთხმიან გუნდშიც კი: ერთი მღერის, 2 მოძახილს, 2 ზილს ამბობს, 4 ბანს ეუბნებიან და 2 დვრინევენ. ადამიანი დარწმუნდება, რომ 5-ხმიანსაც და 6-ხმიანს გუნდშიც უეჭველად უნდა ყოფილიყო თითო-თითო მაგალობელი, თუ მომღერალი მაინც, რომელიც გან ზოგი მოსძახიოდა, ზოგი ზილს, ანდა ბანსა ამბობდა, თუ დვრინავდა.

ცხადია, რომ იმ ხმას, რომელიც მოსძახიოდა, მაშინაც სახელად მოძახილი ერქმეოდა და ვინც დვრინავდა, იმას დვრინის მთქმელი უნდა სწოდებოდა. ამნაირადვე ცხადი ხდება, რომ ხმების სახელებად მე-18 ს. დამდევსაც ზილი და ბანიც ყოფილა.

დ. ვურამიშვილის ლექსებითგან ამოღებული ნაწყვეტების დასახელებით ხმათა გუნდში მაშინდელი თანამიმდევრობის გამორკვევაც შეიძლება. 1. „ამბობს“, 2. „გალობს“, ან „მღერის“, 3. მოძახილი, 4. ზილი, 5. ბანი და 6. დვრინი ყოფილა ექვსხმიანს გუნდში და 1. „მღერის“, 2. მოძახილი, 3. ზილი, 4. ბანი და 5. დვრინი ხუთხმიანს გუნდში.

თავი მესამე

მე-19 ს. და მე-20 ს. ხალხში შეჩინილი ხმების სახელები

იოანე ბატონიშვილის შემდგომ ქართულ ვალობა-სიმღერას, დ. მასა ბელს ვარდა, არაეინ შეჰხებია. დ. მაჩაბელიც ქართულ ვალობას ექვსხმიანად სთვლიდა: „ქართულსა ვალობასა შეადგენენ ექვსნი ძალინი, ანუ ხმანი: ა) თქმა, ბ) მაღალი ბანი, ანუ მოძახილი, გ) ბანი, დ) დვრინი, ე) ზილი და ვ) კრინი. ხოლო დღეს ყოველსა საქართულში ვალობენ სამს ხმად: თქმად, მოძახილად და ბანად.

ჩადგან აღარ არიან სრულნი მგალობელნი და სამთა უკანსკნულია ხმად მწე-
ლა შეწყობად“-ო!

ქართულს ექვს-ხმიანს გალობაში ხმათა განკუთვნილობა და ურთიერთ-
შორისი დამოკიდებულება დ. მაჩიბელს ასე აქვს განმარტებული: „ქართული
გალობა იგალობების ესრეთ: თქმა იწყებს, მაღალი ბანი მოძახის, ბანი უმა-
ნებს და აცემიერებს თქმას მოძახილთან, ღვრინი გრგვენავს და ატყუებს ერ-
თად სამთავე. ზოლი თქმასა და მაღალ ბანს შუა საბუჯლს წმიდას ხმად მოს-
დევს, ადგილ-ადგილ მოქმელს, ხოლო კრინი ხმას აწევ-დაწვევისა, გაგდების
და განციდურების დროს ძალიან წმიდას ხმას შეეწმასტნის მთელს გალობას
ხმასა და ხანზედ იქ, სადაცა აქვს ალაგი მას შეეწმასტნისა“-ო!

ხმათა მოძრაობა, პანგის მთელ ხმას ვარდა, გალობა-სიმღერაში არც-
ბოთად ორნარი თვისებისაა: ან ძირითად ქანჯზე დამოკიდებულ, ანდა თო-
ვისი დამოუკიდებელი მიმდინარეობა აქვს ხოლმე. ხმათა მოძრაობის ეს-თე-
ის ხასიათი უმთავრესად იმ გარემოებით ახსენება, თუ ღვთაოებულს მთავანს
გალობასა თუ სიმღერაში სახელდობრ რა დანიშნულება ჰქონდა დაკისრე-
ბული. ამიტომაც არის, რომ ხმების სახელები სწორედ დანიშნულების მა-
რუწყებელია. მაგ. პირველ ხმას თქმა და მის ახსრულებულს მოქმელი
ამტომ ეწოდება, რომ ის პანგს აშბობს, მღერის. დანარჩენ ხმებს-კი სხვა და-
ნიშნულება ჰქონდათ და აქვთ ნაწილობრივ ეხლაც, მაგ. მაღალი ბანი
პანგის მოქმელს „მოძახის“, ხოლო ზოლი „თქმას“, ე. ი. პანგის
მოქმელს, „და მაღალ ბანს (ანუ მოძახილს) შუა“, ზოგან-კი „ადგილ-ადგილ
მოქმელს“-აც წმინდა „ხმად მისდევს“-რასაცყრელია ბანიც „უმა-
ნებს“-ო. ამნაირად, პანგის მოქმელ ხმას ვარდა, დანარჩენ სამ ხმას მოვა-
ლუობად, ან მოძახება, ან მიდევნება, ან და შედარება, ე. ი. ძირი-
თადი ხმის აყოლება ჰქონდა, მაშასადამე ამ სამი ხმის მოძრაობა
პანგის მოძრაობაზე იყო დამოკიდებულა.

სულ სხვა თვისებისა იყო კრინის ხმის მიმდინარეობა, რატონ გალობა-
სიმღერის მთელ თხზულში ხმის აწევ-დაწვევა ხან ხმის განკო-
დურება და განგდება-შეეწმასტნა, ე. ი. შექსოვა შეადგენდა
სწორედ ამ ხმის დამახასიათებელ თვისებურებას. ცხადია, რომ კრინის
ხმის მოძრაობა, სხვა ყველა ხმებთან შედარებით,
უფრო თავის უფალი ყოფილა.

ბევრდაბერ მიძახვა-მიდევნებისაგან განსხვავდება, რასაცყრელია, ხმის
აწევ-დაწვევა, ე. ი. აღმაღლება მოძრაობა, თქმაც ხმის აწევ-დაწვევა შე-
საძლებელია მიძახვა-მიდევნების დროსაც იყოს და არის კიდევაც მეტრამ
ხმის განკოდურება უკვე გალობა-სიმღერის შემსრულებელ ხმათაგან
ერთერთის, ან რამდენიმის ხმის დამოუკიდებელი, თავისუფალი მოძრაობის
გამომხატველია. ხმის განგდება და ხმის შეეწმასტნა გალობა-
სიმღერის მუსიკალური ქსოვილის დამახასიათებელი ტარიონება. ამ ვარჯ-
შივებს უკვე თვით ამ სიტყვების პირველით მნიშვნელობაც სრულ სიტყ-
ვით შედგენებს. ისევე, როგორც ქსოვილის ქსელში სხედით ძივის გატო-
რებას ვაგდება ეწოდება და შეეწმასტნა შეგრება-შემაყრებას ნიშნულია. აქვე-

1. მაჩიბელი, დავით, ქართველი მწერის, კრები, 1953, ნაბი, 33-35

2. ქვე, 33, 34.

31. ი. კახიანიძე, ტ. 31

რადვე ხმის განგდება და შეწყმასუნა ვალობას-იმღერას ხმათა ქსოვილში, ნაქსოვში და ტანებულ-ჩიქსოვილ-სახეებში სხვაგვარად, შექმამკობელ-შემფერადებელ-ფიგურაციების გამოყვანის აღმნიშვნელია.

მაგრამ ხმები თავიანთ დანიშნულებას სხვადასხვა გზით ასრულებდნენ ხმათა ერთი ჯგუფი, მაგ. მოძახილი, ანუ შაღალი ბანი, ზილი და ბანი, როგორც ღებრქმუნდით, ძირითადად მისდევდნენ, ბანი ამასთანავე შეკავშირებულს მოძახილთან-ათ, ისევე როგორც „ღვრინი“ ახვევს ერთად სამთავს-ო, ე, ი, თქმას, მოძახილსა და ბანს. მაშასადამე, დ. მაჩაბელს ბანისა და ღვრინის დანიშნულებად ხმათა შეკავშირება მიაჩნდა.

დ. მაჩაბლის აგვან ნახმარს გამოწვევებებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მიძახეა“ და ხმა „მისძახის“; „შაღალი ბანი მისძახის“ დამწყებს, ანუ მოქმედებს. ამ განმარტებითგან ირკვევა, რომ დ. მაჩაბლის წარმოდგენით ჰანგს თქმა და დამწყები ამბობდა, საშუალო ხმა-კი მას მხოლოდ მისძახის, მიჰყვებაო, მაშასადამე, მას დამხმარე დანიშნულების ხმად სთვლიდა, მიმძახნელი იყო. ამასვე ამ ხმის პარალელური სახელი შაღალი ბანი-ც ამეღავენებს, რათგან იგი უკვე გარკვევით ბანად იწოდება. მართალია, მას თავისი საკუთარი სახელი მოძახილიც აქვს, მაგრამ მაინც იგი ჰანგის მოქმედო-ვი არ არის, არამედ მხოლოდ მოძახე, ჩვეულებრივი ბანისაგან ამ კონცეფციით დანიშნულებით-კი არა, არამედ შარტო ხმის სიმალლით განსხვავდება-ის შაღალი ბანი.

ამგვარად, დ. მაჩაბლისათვის მოძახილი მხოლოდ მეორე ხმა ი, რომელიც ჰანგის მოქმედს, პირველ ხმას, მიჰყვება, „მისძახის“, როგორც ჩანს, ვერ ამჩნევდა იმ-საგულისხმო გარემოებას, რომ ამ საშუალო ხმის საკუთარი სახელი მაინც მოძახილი-კი არ იყო, არამედ მოძახილი თავისს ზემომთყვანილს განმარტებაში თითქოს დაჰვიწყებდა, რომ ქართულ-საგალობელ-სიმღერების მრავალრიცხოვანს ჯგუფში მოძახილი ჰანგს ამსრულებელი თქმის-მხოლოდ უბრალო მიმძახნელი-კი არ არის, არამედ სწორედ თვით არის ჰანგის მოქმედი. ამიტომაც ამ ხმის ასეთ შემთხვევაში სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა, ვიდრე მას საშუალო ხმისათვის მიუთვინებულ-აქვს, და ასეთ შემთხვევაში არც იმის თქმა შეიძლებოდა, რომ დამწყებსა და მოქმედს „მისძახის“.

ზემოაღნიშნულითგან ცხადი გახდება, რომ მოძახილი და მიძახილი, მოსძახის და მიძახის ერთისა-კი არა, არამედ სულ სხვა დასხვა ცნებებისა და ხმათა დანიშნულების გამოშვებულ სიტყვებად და ტერმინებად უნდა მივიჩნიოთ. მოძახილი და მომძახნელი თუ მთავარი ჰანგის თქმისა და მოქმედის სახელია, მიძახილი და მიმძახნელი შაღალი შებანებისა და შეშბანებლის აღმნიშვნელია. ე. ი. უდრის იმას, რასაც თანამედროვე მუსიკისმცოდნეობაში ტერმინი stopa-ს უწოდებენ.

და არაყი შეიკლსაც აქვს თავის ნაზრამში დასაყუდო საქართველოს ხალხური სიმღერა“ ხმების ქართული სახელები მოგვანო და მისი ცნობით აღმოკავლეთ საქართველოში პირველი ხმა, მოძახილი და ბანი ეწოდება, დასაყუდო საქართველოში-ყი პირველი ხმა, ანუ დამწყებია-ბანი, ანუ მოძახილი საყუდესიოში, საეროში-ყი ამას ვარდა კრიმინალური და გამაჯივანო, ხოლო მესამე ხმას ბანი, ანუ დამბალი ბანიო.

ძველი ქართული ძეგლებითან და მე-19 ს. წყაროებთან ამოკრებული ცნობების ვანხილებისა და ამისდა მიხედვით ხმების რველი ქართული სახელების გამოკრევის შემდგომ, უნდა ხალხში დაცული გარდობა და მამობათაგან ნაანდერძევი ცოდნაც გვეჩინდეს ვითყლისწინებულა და გამოყენებულა: იქ, უეჭველია, არაერთი საყურადღებო ტერმინი და ცნობა შეგვეძლება ეს ცნობები ჩემი შედგენილი ინსტრუქციისდა მიხედვით იყო 1933 წ. ზაფხულში მთელ საქართველოში შეგროვებულა, და მთლიან საქართველოს პინარეწველობისა და ხელისნობის ისტორიის მისაღებში გამოქვეყნდება. აქა მოყვანილი მექნება მხოლოდ ჩვენივე საყუდისში და გამოსაღო ცნობები.

ს. მარტყოფის მცხოვრებს მომწერალ მიქვს, დავრანტი (82 წლის) და ნიკოლოზ (78 წლის) ბეჯანიშვილებს თანებ ვეუდესიოლისა-ვის უთქვამთ: „პირველ ხმას მქვიან კრინი, გეორგი, დერი (სს) და მესამეს-ბანი, არის მაღალი და დამბალი ბანიო“. ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ პირველი ხმის სახელი კრინი სკოლაში ხალხში შემდეგ საყუდისშია, რომ ითანე ბატონიშვილის ცნობა მიხედვით ჩვენი თეთრულად გამოთქმული მოსაზრება მაღალი და დამბალი ბანების სახელებს არსებობაზე მტკიცდება, „დვინი“ უეჭველია დვრანია, მარამ შეყუდით მეორე ხმის სახელად არის მიჩნეულა, როდესაც ნამდვილად დამბალი ბანის, ე. ი. მეორე ბანის სახელი იყო. უცნაურია, რომ მოძახილის სახელ დამწყებობა განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ძმებს ბეჯანიშვილებს კრინ-ხშირანი ვუნდო აქვთ ნიკოლოზისმეცო ჩვენი ბანიო სამხმინის მაგაერო.

ს. ცბრუვეთის (ხვმო იმერეთი) მცხოვრებს, 74 წ. ნესტორ წერეთელს ბაბო წერეთლისათვის ძველ სიმღერაზე შემდეგ ვამწა: „საყოლო ღველად დამწყობილი სიმღერა იყოდენ, ხლა რო არის ახალი ხმები, ასე არ იყოდენ ერთი დამწყებია იყო დერთა მოძახილი ბანი შეიძლება და ბეჯრს ვაქვამა“ო.

ძველად გავრცელებულ სიმღერებს სპობელის შემდგომ, ნესტორ წერეთელს ნათქვამი აქვს: ყველა ამ სიმღერებს სულ სამი ხმა უნდა. მარტო ძლის პირებში იყოდენ ხოლმე: მეორე ხმა დვრინი (დამბალი ბანი), დვრინი უნდა კოდას, სესულიგრო ვალო ბას“ო.

† არაკიანი, ე. ი. (—მატაი —არაქიანი); Народная песня Западной Грузии (Имеретин), с приложением из статьи в журнале «Сборник этнографических фотোগрафий», Москва, 1908, № 29.

ს. საქართველოს პინარეწველობისა და ხელისნობის ისტორიის მისაღები.
 * იქვე.
 * იქვე.

ამავე მოხუცის განმარტებით „ძალიან წვრილ ხმას ქვია კრინი. გუ-
რულ სიმღერაში ლექსს ვინც ამბობს, იმას ქვია გამყივეანი“-ო!

ნესტორ წერეთლის ცნობით, ზემო იმერეთში შემდეგი სიმღერები ყო-
ფილა ძველად გავრცელებული: მუ შური, ბატონების ნანანა, ვე-
ფხისტყაოსნის სიმღერა „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“,
„პარანანინანო, პარანანინა“ და „ძლისპირები“?

ამათგან „მუ შური“, ამავე მომთხრობელის სიტყვით, „ხალხმა იცის...
ხენის დროს: სამი ხმა მღერის—ბანი, მოძახილი და დამ-
წყებო“. ხოლო მეს დროს იციან ძახილი «ჰეკ! ჰოკ! ჰეკა, ჰოკა! ჰეკ, ჰოკ!
ჰეკა, ჰოკა!» ყველა ერთად იძახის ხოლმე და თან მკიანა“?

„ბატონების ნანანა“ ზემო იმერეთშიც ქალების სიმღერა იხე-
რომ „მარტო მღერის ხოლმე გამომლოცავი“, მაგრამ „შეიძლება სხე-
ბიც იყვნენ. სამი ხმა მღერის ხოლმე: პირველი, მოძახილი
და ბანა“-ო! სამწუხაროდ, წერეთელს აღნიშნული არა აქვს, რომელ ამ
სამ ხმათაგანს მღერის ხოლმე გამომლოცავი მაშინ, როდესაც მარ-
ტო მღერის და იმ შემთხვევაში, როცა სამ ხმაზე ამბობენ ხოლმე,
ცხადია, რომ ბანზე ფიქრიც-კი არ შეიძლება, და საკითხი შესაძლებელია მხო-
ლოდ პირველ ორ ხმაზე, ე. ი. დამწყებსა და მოძახილზე იყოს.

„ძლისპირები“, ნესტორ წერეთლის ცნობით, „ხალხმა არ იცოდა
ხოლმე, თავადანაურობაშიც ზოგიერთმა იცოდა მამაპაიდან ნასწავლი“-
იმისდა მიუხედავად, რომ „ძლისპირები სულ წმინდანზე იყო ხოლმე...—ეკლე-
სიებში მაინც არ მღეროდნენ“, არამედ „საერო გალობა იყო“-ო. ამ „ძლის-
პირების“ გალობის დროს ოთხი ხმა ყოფილი სპიროს
შეოთხედ დვრიანი, ანუ „დაბალი ბანი“ ერთვოდაო.

ნესტორ წერეთელი ამბობს, რომ „ძლისპირებს ჩემ დროს არაფერ სე-
რაზე არ მღეროდნენ, ისე გალობდნენ“, ხოლო „ისე სხვა სიმღერებს ჩონ
გურზე ამღერებდნენ ხოლმე“-ო.

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ ზემოიმერეთშიც ჩვეულებრივ სამხმანი
სიმღერა სკოდნიათ და მხოლოდ სძლისპირებსა და სასულიერო გალობაში
ვმატებოდა მეოთხე ხმა. ამასთანავე საგულისხმოა, რომ სამხმიანს სიმღერებ-
ში მომღერალთა რიცხობრივი განაწილება თანასწორი-კი არ იყო, არამედ
პირველსა და მეორე ხმას თითო მომღერალი ამბობდა, მესამე ხმის მოქმედი
შებანე-კი შესაძლებელია ბევრი ყოფილიყო ეს გარემოება დ. გურამი-
შვილის ზემომოყვანილი ცნობებითგანაც ჩანს (იხ. გვ. 140), დ. ი. აყ-
შვილისა ც აქვს შენიშნული და აღნიშნული, შემდეგ ამ საყურადღებო მო-
ღენის შესახებ სავანგებოდ გვექნება საუბარი.

სამხმნიანი გუნდის მონაწილეთაგან, ნესტორ წერეთლის
ცნობითაც, ერთს დამწყები ეწოდებოდა, ერთს მოძახილი და მესა-
მეს კიდევ ბანი. ოთხხმიანს სიმღერებში ემატებოდა დვრიანი, რომ
მელსაც დაბალი ბანი-ც რქმევია სახელად. ამ ხმათაგან რომელი პირ-

- 1 მახალეზა,
- 2 იქვე,
- 3 იქვე,
- 4 იქვე,
- 5 იქვე,
- 6 იქვე.

ველ ხმად ითვლებოდა და რომელი მეორედ, ნ. წერეთლის იმ ცნობიდან
ნაწი, სადაც „ბატონების ნაწინა“-ზეა საუბარი: მას „სამი ხმა შეე-
რის: პირველი, მოძახილი და ბანი“-ო. ცხადია, რომ პირველ
ხმად აქ დამწყები იგულისხმება, მოძახილი-კი მეორეა.

გამოურკვეველია კრინის რაობა და რიგობითი ადგილ გუნდში, აქც
ის სიანს, სამხიან გუნდის წევრი იყო, თუ უფრო მკვალებიანის. ესლიან
წერალ ხმა“-დ მისი დახასიათება გვაფიქრებინებს, რომ კრინი დამწყების
პარალელურ სახელად არ უნდა იყოს ნაგულისხმევი. მაშასადამე კრინი დამ-
წყებზე უწვრილესი ხმის სახელი ყოფილა და ამიტომაც ცხადი ხდება, რომ
ოთხხმიან სიმღერა-გალობას ვარდა ზემოიშერეთითაც ზედახიანაც სკოდნითაც
გამოსარკვევია მხოლოდ, თუ კრინი რა სიმღერა-გალობაში იმტებოდა და
სახელდობრ რა მოვალეობა ჰქონდა მას გუნდში დაკისრებულა.

ნესტორ წერეთლისაგან დამწყებისა და მოძახილისათვის ნაგულისხმევე
გუნდში რიგობითს მიკუთვნილობას ვარდა, ზემო იშერეთითანვე სავრძნობ-
ლად განსხვავებული ცნობაც მოგვეპოვება. ამ მხრივ საყურადღებოა ექიმ
ვასილ წერეთლისა და მისი ასულის ბაბო წერეთლის ცნო-
ბები იმის შესახებ, თუ როგორ მღეროდნენ სხვადასხვა საგალობელ-სიმღე-
რებს. ვ. წერეთლის სიტყვით:

1. „მუშურს იმღერიან თიხნის დროს, ორგვარი მუშურია:
კრძელი და მოკლე. იწყებს პირველი ხმა, მთელი, მიჰყე-
ბიან მეორე და ბანი, ბანს ბევრი ამბობს, პირველსა და
მეორეს-კი უმთავრესად თითო-თითო, თუმცა შეიძლება რამ-
დენიმეცად სიტყვას“-ო.

2. „დილა და დილა, ჰი დილა, დილა,
ბარნანი ნანო ბარნანია...
ნახეს უცხო შოყმე ვინმე“-ო.

ეს სიმღერაც სამ ხმაზე იმღერება: იწყებს დაბალი ხმა, მი-
ყვება მოძახილი, მთელი და ბანი. იმღერება იმავე წესით, რო-
გორც სხვა სიმღერები: ბანი მეტი, პირველი და მეორე ან თითო, ან რამდენ-
იმე, უფრო წესი იყო, რომ თითოს ეტყვა“-ო.

3. „ყარანვი ყანაშია შეტევი ვასუქებულადო...
ფრანგული ცულა ვაქრებზე ვარანვის
ქანგრზე“-ო.

ამ „ყარანვი“-საც „იწყებს დაბალი მერე მოძახილი და ბანი,
ბანი ბევრი, პირველი და მოძახილი თითო, ან რამდენიმე“-ო.

4. სიმღერას „პოდამ მანდ რომ ქალი დავრქვარბე, აქა
იხალციხესა“ აგრეთვე „მღეროდნენ სამ ხმად: იწყებს დაბალი
ხმა, მას მისდევს მეორე, მოძახილი და ბანი. აქაც ბანს რამდენიმე
ამბობს, პირველსა და მეორეს უმთავრესად თითო“-ო.

5. „ნაწინა: ჯამ ბატონების დედისა უდგვი იქროს
ქვანო, იწყებს დაბალი ხმა, მას მიჰყვებიან მეორე, მთელი
და ბანი, თითოეულ ხმას ზოგჯერ თითო მომღერალი ამბობს, ზოგჯერ ორ-
ორი, ან სამ-სამი. დიდი გუნდი არ უნდა შემდგარიყო, რადგანაც ნახი და მე-
ლოდიური საგალობელია. უმთავრესად მღერიან ქალები ცალკე მომღე-
რობდნენ“-ო.

1 მთლიანობა.
2 მკვება.

რალი თითქმის ყოველთვის დაბალ ხმაზე ამბობს ნა-
ნიანას, ე. ი. დამწყებების ხმაზე და არა მოძახილისა.

6. „ლდგომის დღესამწაულზე მღეროდენ: ქრისტე აღდგა გო-
ხაროდენ, გიხაროდენ“ სამ ხმად: იწყებდა მაღალი ხმა, შემდეგ
მოჰყვებოდა მეორე და ბანი, ბანს ბევრი ამბობდა, პირველსა და მეორეს
თითო-თითო, ან რამდენიმე, მღეროდენ და თან ცვაკვადენ
წრის გარშემო. წრის ხან ერთი წყება იმღერებდა,
ხან მეორე: ერთმანეთს შეენაცვლებოდენ ხოლმე.

7. ამგზავრული „დიდი დელით დელი“-ში, რომელსაც
„ხოცვარ ლხინშიაც მღეროდენ, მეორე ხმა უფრო მაღალია
პირველზე, ბანს ბევრი ამბობს“-ო.

ბაბო წერეთელს ცნობაში ნათქვამი აქვს: „მამიდა ჩემი (კრან
წერეთელი) ბატარაობისას მასწავლიდა სიმღერებს «ნანიანას», «ნახეს უცხო
მოყვე ვინმე», «მანდ რომ ქალი დივიკარგე» და მახსოვს, რომ ამბობდა: ქა-
თულ სიმღერაში პირველი, მოძახილი და ბანი აბოლოს ერ-
თად უნდა მტვიდნენო», ე. ი. ბოლოს ერთ ხმაზე უნდა დამთავ-
დნენო. თუ გუნდი მღერის, ჭერ ერთი მხარე იწყებს და
მეორე მოძახილს ეუზნება და ასე ენაცვლებიან ერთი-
მეორესა.

ამას გარდა „საცვაკვასი, სუფრულსა და მხედრულ სიმ-
ღერებში დამწყები არასოდეს არ უცდის სიმღერის გათავებას: გუნდი
რომ ათაყვებს, დამწყები თითქოს შეიჭრება მის ხმებ-
ში და სწორედ გათავების მომენტში იწყებს ხოლმე.
მახსოვს, ამგვარად გვასწავლიდა «კახურ სუფრულსა», ხალხურ აბე-
სალომ და ვთერსა, «ცაჩგალი და გოგონასა», და მრავალ სხვა
სიმღერას“-ო.

მე. გ. წერეთლის ცნობით, „ძლისპირებს ვაღობდენ პირ-
ველი ხმა (უფრო მაღალი) და მას მიჰყვებიან მეორე ხმა
(პირველზე უფრო დაბალი) და ბანი. თითოეულ ხმას ჰე-
ლობს მხოლოდ თითო კაცი, როგორც საცვლესიო საგალობელის დროს“-ო.

მე. ვასილ წერეთლის სიტყვით, „წინათ ძლისპირების ყოფნა
შინაური აღზრდის ერთ-ერთ პირობად მიაჩნდათ და ამ შინით მე და ჩემი
ბიძაშვილები (ნესტორ და ილარიონ წერეთლები) საცვილურად მიგვაბრუნეს
მასწავლებელს, ვინმე სვარელ მგალობელს (ს. სვარი ჩვენი სოფლის გვერდით
მდებარეობს), ძლისპირებს ეკლესიაში არ ამბობდენ და ლხინში-კი ხშირად“-ო.

უმასწავლობაში შესწავლილ ძლისპირებმოგან, რომელთაც ერისკაცობა ა-
ბობდა ხოლმე ლხინში, მე. ვ. წერეთელს მხოლოდ ოთხიდა ახსოვს, მათგანაც
მართლ დამაწყისი სიტყვები-და აგინდებია. სახელდობრ:

1. ამერცხალო მშვენიერო, თადონო პატროსანო
მტრედო ფრთა-ოქროვიანო და გვრიტო ხმა-ტკბილო
უდაბნოსის მოყვარეო და უდაბნო-სა მორჩო“ (მეტი
აღარ მახსოვს).

მ. ვ. ვასილუძე: ბაბო წერეთლის ნანიანა

მ. ი. ვა

მ. ი. ვა

2. „ზღვა მეწამული ქვერთხბიან განაკით“ (ფანატური ან
ველიანობა).

3. „სეიშონ მოხუცებულნი...“ (ფარ მახსოვს).

4. „შენ ხარ ვენახი“ დასხვათ.

ამ ვ. წერეთლის ცნობით; მის უმაწილობის დროს მღვდლან მუხის.
„ღღა და დიღა, პიი დიღა; დიღა-ს. „პი, და მანდ რომ ქალი დიღა-
კარა. აქ ვარ ახალციხესა“, „ყარნევი ყანაშია მუტლ ხსიანებულნი“,
მესავერულს „ღღა დღღა დღღა“ს, ბატონების, ნანანს, ადგილის საყე-
ვეთ სიმღერას „ქრისტე აღდგა, ვახაროდენ, ვახაროდენ“!

ამ ზემოთქმულ ცნობების გაცემა მეოთხეულისთვის ადვილი არ იქნე-
ბა მეც დიღასს ზემომოყვანილი მოთხრობის რეალური მნიშვნელობის გაცე-
ბა მიხვლდებოდა. ამ შონათხრობის ვაგებებს ის ვარჯიშობა
აინელაბს, რომ იქ მოძახილს მუტულეებრივისაგან გან-
სხვავებულნი მწამუნელთა აქვს თუ ჩვეულებრივ
მოძახილი საშუალო ხმის სახელთა. ამ ზემომოქმულს
ცნობებში მოძახილი პირველთ მოძახილზე უფრო
წაღალი ხმის სახელად ირის ქვეულთ ეს განმარტება ცხ-
ფად ჩანს იმ განმარტებითგან, რომელთაც სიმღერებში ხმათა განწილდებში
სუბაბი: „იწყებს დაბალი ხმა, მიყვება (ანუ მოსდევს) მაშაბლი და ბანო-თ,
ნათქვამთა ყველაგან. თუ ვაითოფლისწინებთ, რომ მსჯელობა სიმშიამ სიმღე-
რებზეა, მაშინ უფრობედი ვახდებთ, რომ მოძახლი მაინცდამაინც დაბალ
ხმად არ არის ნაკულისხმევი, რათგან დაბალი ხმა ეწეღან ცალკე დასაბუ-
ღებელი რაკი ბანი მესამე ხმათა სიმღერის დაწყებს ხმს დაბალი ხმა
წილდება, რომლადაც რასაკვირველია ბანი უფრობედი წავლსხმევი
ფრთ, ამიტომ ცხადი ხდება, რომ დაბალი ხმა ზემომოქმულთა
საშუალო ხმის აფშინიშენელი უფროდეს მოძახილთა
პირველთ დაბალს, ანუ საშუალო ხმაზე უფრო მაღალს
წეაბლი ხმის სახელად ირის ქვეულთ ამ განმარტების სის-
წორის თვით ვ. წერეთლის ის სიტყვებთც ახელავებენ, სადაც ნანანაზე ნა-
წეამთა „იწყებს დაბალი ხმა, ვა. ვა. საშუალო ხმა და მას მოძ-
ხეობიან მეოთხე (მაღალი) და ბანო-თ ხელი ადიღა და ბ-
ღა-ზე სწერის, რომ „იწყებს დაბალი ხმა მიყვება მოძ-
ხილი (მაღალი) და ბანო-თ. მაშაბლი, მოძახილი ირისვე შე-
ხვევაშია დაბალი და ირის წილდებულთ.

მოძახილი ამ ზემომოქმულ ცნობაში ახდენად ხმის
სახელად არ მოჩანს, რამდენადაც ვერხვების სინო-
ნიმად ირის ქვეულთ ეს ირევეთ კონა წერეთლის განმარტებითგან,
რომ მონაცვლიობით წარმოსათქმელ ორგუნდოვან სიმღერებში აქვრ ერთთ
რომ ვახარე იწყებს და მეოთხე მოძახილს ეუბნება. მერამ ვა-
რჯე იწყებს და პირველი მოძახილს ეუბნება-თ ამ
გმონათქვამი „მოძახილს ეუბნება“ ჩვეულებრივს ბანს ეუბნებას
უღრის.

ზემოაღნიშნულის შემდგომ წერეთლების მოთხრობის ზინარის უფ-
დასავები ვახდება: სიმღერას უმეტესად საშუალო ხმა იწყ-

1. მასალები: ბაბო წერეთლის ჩანაწერი

ყებს და ჰანგსაც ისევე ამბობს. აქ ზემოთმეტრულად მას დაბალი ხმა და დამწყები ეწოდება, რაც მას შემდგომ კიდევ საშუალო ხმაზე უფრო წერილ ხმას ზემოთმეტრულად მოძახილს უწოდებენ. მის პარალელურ სახელად მაღალიც არის.

ზემოთმეტრული ცნობების სისწორით ვასაგებად, უნდა გათვალისწინებულ იქნას, რომ თანამედროვე წარმოდგენით ყველაზე წერილ ხმა პირველ ხმად ითვლება, ხოლო პირველზე უფრო დაბალი მეორე ხმა ეწოდება, ზემოთმეტრულში პირველ ხმად ჰანგის დამწყები და ამსრულლებულია მიჩნეული, ე. ი. საშუალო, ანუ დაბალი ხმა, რომელსაც დამწყებიც ჰქვია, იმაზე წერილი ხმა-კი, რომელსაც ზემოთმეტრულში მოძახილს ეძახიან. მეორე ხმად ითვლება. როგორც შემდგომი დავრწმუნდებით, აქ მრავალხმიანობის თანდათან განვითარების ძველი ანარეკლია დაცული.

საყურადღებოა ის ვარაუზი, რომ ერთი-და-იმევე თემის, ერთი-და-იმევე მასწავლებლის მსჯელობა ორ მოწაფეს დამწყებისა და მოძახილის რეალური მნიშვნელობა ასე განსხვავებულად აქვთ განმარტებული და, თუ ერთისათვის (ბ. წერეთლისათვის) დამწყები პირველის, ხოლო მოძახილი მეორე ხმის სახელება, ე. წერეთლისათვის დამწყები დაბალი ხმის სახელია, მოძახილი-კი მაღალი ხმისა. შესაძლებელია აღაშინო ეგონოს, რომ აქ ერთს მათგანს ხმათა ნამდვილი სახელები დავრწმუნებული და ამის გამო ცნობაც არეული უნდა ჰქონდეს. მაგრამ, როგორც შემდგომი დავრწმუნდით, ამის მიზეზი სულ სხვაა.

ბაბო წერეთლის ცნობაში საყურადღებოა დაკვირვება, რომ ზოგიერთს სიმღერებში, რომელთაც გუნდი ორპირულად მორიგეობით მღერის, გუნდის მეორე მონაცვლე ნაწილის დამწყები გუნდის პირველს, მომღერალს ნაწილს სიმღერის დამთავრებას არ აცლის, არამედ სიმღერის ბოლოში ხმები შეიჭრებოდა და გუნდის თავისი ნაწილის სიმღერას იწყებდა ხოლმე.

საყურადღებოა ერთი რაქული ცნობა, რომელიც აბელ კიკვიციანი აქვს ჩაწერილი და რაქის ს. ცხურიშვიტი 58 წლის მცხოვრები ერთგულ ომხარელის აგან გაუგონია. ამ მოხუცის ნაამბობითგან ირკვევა, რომ რაქულ ერთი ჯგუფის სიმღერებს მეორე ხმა იწყებს ხოლმე, მეორე ჯგუფის სიმღერებს-კი პირიქით, თუ რაქი პირველი ხმა იწყებს.

ამ საგულისხმო სიმღერათა პირველ ჯგუფს ფერხულს ეკუთვნის. მაგალითად, ერეკლე ომხარელის სიტყვით ფერხულს „მაღალათას მოდგა უცხო ფრინველი, უცხო ფრინველი-ბოლო-წითელი“, რომელიც ორპირული სიმღერაა-ა, ე. ი. ორი გუნდისაგან მონაცვლეობით ასასრულებელი, ყოველთვის „იწყებს მეორე ხმა, მას მოჰყვება პირველი, წმინდა ხმა, და ბანასევე მღერის ფერხულს, ქალსა ვისმეს, ქალსა ვისმეს ერთმანეთს“.

ამნაირადვე განმარტებული აქვს ერთხელ წისქვილს წასვლა-სათვის ძლიერ მოვირთეთ-ს ფერხულის მღერის წესი მასაც „იწყებს მეორე და მაღალი ვუბნება, მიჰყვება

ბანოთ ასევე მღერიათ რაეო, ხეშო დედაო, რაეოთს აქვს
აქვებს მეორე, მას მიჰყვება მალალი და ბანოა.

ამ სამ განმარტებაში ხმათა შემდეგი სახელები ვხვდებით პირველი
ხმა, რომელიც იმავე დროს წმინდა ხმაოლეო უწოდებ და იმს უკ-
სისწრელ ცნობაშიც მალალის სახელით ვხვდებით საყრდენობა
ამხარც ერთს განმარტებაში ამ პირველ ხმას დამწვე-
ბი არ ეწოდება, რაც სრულებით ბუნებრივად არის, რადგან
უჩუქლის სიმღერას არასოდეს პირველი ხმა აქვს იწყებს.

ხუმორიანის განმარტებებში მეორე საველისხმო ვარაუდას ას არის,
რომ ყველა ფერხულის სიმღერას მეორე ხმა აქვებს და
მთავარ ბანგს ის მღერის. პირველი და მესამე ხმები მხოლოდ
მძევებიან და ეუბნებიან. ცხადი ზღვა, რომ მეორე ხმა დამწვებია მესა-
მე ხმის სახელი ყველგან ერთი და იგივეა, ბანო.

მგვირდ ირკვევა, რომ რაჭულ ფერხულის სიმღერის ას-
სრულებლად სამ ხმოანი-გუნდია სიჭირო, რომელიც პირველ
ხმას აგრეთვე წმინდა ხმა და მალალი ეწოდება. მეორე
ხმას ამასთანვე დამწვებიც ქვეყანა მესამეს ბანო ხუმორ-
იანობს ცნობებში ყველაზე საყრდენდებო არის, რომ დამ-
წვები პირველი. ხმის სახელია და არა ჩანს, როგორც
ამჟამად სიჭართველიში ბუერგან ვაბატონებულნი
ხმის პარალელურ სახელიად მალალია ნახობი, რაც
როგორც უკვე ვიცით, ნაწილობრივ ხუმორიანებულ ცნობებში
იც ვხვდებით და რაც, როგორც შეძლება დარწმუნებით განსა-
ჯობებული ყურადღების ღირსია.

მეტად საველისხმოა აგრეთვე ცნობები და განმარტებები რომე-
ლიც აბაშაში გავრცელებული სიმღერის წესის შე-
სახებ ზელოს ს, ხიხიბირის მცხოვრებს აბაშაშიც აქვს ნაიბობი, ცო-
ნა-განმარტება თვითთელი სიმღერის შესახებ ცალკედაც მეორე ამდ-
მხედვით მკვლევარს საშუალება აქვს ზოგადი დასკვნა გამოიყენოს რაც
ცნობები ცალკეულადაც საყურადღებოა, ამიტომ ვერ მათი ვადიკობზე უმ-
ჯობინება და ამიტომ აქვე მომყავს.

აბაშაში სიტყვით, აღიფიქვს ამ მღერებს რთბი კარგია
ქვესა, მეტიც შეიძლება, მარა ხმა-ხმას არ შეწყობა პირველი იქნება და-
ვებითი ხმაო, ნახეობზე რომ ღვა, მეორე გამწვართმევს,
რათი ბანს ეუბნება, მედანეებია ამ რთბი უბი და ბანალი
ბანოა, ვორი მალალი, ხმაიანი ბანოა.

მეორეულია და ხასანბეგურისაოვას სხვათა წესი
ყოფილა: მაყრულს პიტყვის ექვსი-კაცო, რომ იქნება მედამხე
მორიგეობით, პირველი მედამხე და მეორე მედამხე,
რთბი ერთნაირ ბანს მოსცემს. ამ ზოლო ხასანბეგურისაო
რთბი ერთნაირ ბანს მოსცემს და რთბი ბანს: პირველი მე-
ამღერებს რთბი მედამხე და რთბი ერთნაირ ბანო.

დაქსე იქნება, მეორე მედამხე და რთბი ერთნაირ ბანო.
აბაშაშიც აგრეთვე იქნება, ვ. რ. აღიფიქვს მაყრული და
ხასანბეგური, აქველი სიმღერებია ქართული.

ქ. შ. ს. აღიფიქვს

ინდიანიანდის „იმღერებს შვიდი კაცი: პირველი დაბალი მელექსე, მეორე—მაღალი მელექსე, მესამე კაციანი მთქმევანე, წერილს აძლევს ოთხი კაცი იტყვის ბანს ერთ ხმაზე“-ო.

მეუღლს ოსაიას, ანუ ვასიას ამღერის შვიდი-რვა კაცი კარგად იქნება ექვსი კაცი: იწყებს მელექსე, მეორე კაციანია, შოკურვანი, ოთხი კაცი ბანს იტყვის, კარგი ბანი უნდა: რომ უფროსი ბანი, უტყვიოთ „კარგი ბანიაო, თუ არ უფროსი, ღარ ეყოლა უტყვიოთ და ამუღბანით, მიტებოთ, თუ არ გვყავს, ღარ გვყავს მებანე ბუბიაო, ვიტყვიო: „ლექსი სულ ერთია, რაც იქნება“-ო.

მასპინძელურს „ორიდან დამწყებულნი ცხრა კაცამღვამღერებს იწყებს ერთი მელექსე, დანარჩენნი ბანს უტყვიან ერთხანს“-ო.

სიმღერის ხმებს აჭარბული სახელები რომ საყურადღებოა, ეს ვარტყობს ჯემალ ნოღაიდელის დაბეჭდილი ნაშრომიდან: „ინს, მაგრამ, რაჟაჟი ზოგი რამე შეტად მოკლედ არის განმარტებული, ამის გამო დამატებით ცნობები იყო საჭირო და ამიტომ პირადად წერილობით შევეკითხე და 1933 წ. 20 ოქტომბერს შემდეგი ცნობები მომივიღა“.

რაჟა ჯ. ნოღაიდელის წერილს ამ ნაწილს შინაარსი ყველაფერს ექნება საყურადღებო, ამიტომ მისი ცნობები აქვე სიტყვა-სიტყვით მომიყვებით უმეტეს, რომ ამისთვის ცნობებისაგან განსხვავდება: „მაყრულის შეართულების დროს საჭიროა სულ 8 კაცი: 4 ერთ მხარეზეა და 4 მეორეზე, რადგან სიმღერა გადაბმულია. ამ ოთხი კაციდან ორი მთქმეული ერთი მომპაახელი და ერთი გამყრვანე, მთქმელი ამ შემთხვევისათვის (ე. ი. მაყრულისათვის) ბანის მოვალეობას ასრულებს: მაყრულში მთქმელი უსიტყვოდ, ბანსავით მღერის, მომპაახელი მოუძახებს და სიმღერის დროს ლეკსებს ამბობს, ხოლო გამყრვანე იგივე მოკრიშანტულა-წერაღის მთქმელი“.

საკერძოდვე მთქმელი დამწყებს იწინავს, თუ სიმღერა ბანით იწყება, როგორც მაგ. მაყრული, მაშინ მთქმელი ბანის როლში გამოდის, მაგრამ მთქმელი იგივე მობანე არ არისა-.

საკერძოდვე მარა და კერძოდ ქობულეთის რაიონი განთქმულია ნაღერა სიმღერებით, ნადურის სიმღერებისათვისაც საჭიროა მუჟადურის შემთხვევაში 8 კაცი. ნადურისათვის საჭიროა 1 მთქმელი, ოვითონ სიმღერაღი, რომელიც ლეკსებთა მღერის, 2 შემხმობარი, 1 გამყრვანე და ორიც მომპაახელი ბანის მთქმელი სიმღერა გადაბმულია. ამ სიმღერაღი იწინებს სიმღერას, ამიტომ მას მთქმელი უწოდებენ. შემდეგ მას გამყრვანე მოყვება და ამოლოცებს შემხმობრებთა ხოლო სიმღერის დროს შიჯა-და-შიჯ საჭიროა ბანი, ასე, რომ ნა-

1 ნოღაიდელი, ჯემალ, უნივერსიტული ნარკვევი აჭარელთა ეთნოგრაფიკით, ტფ. 1936.

2 ამ ცნობების მოწოდებისათვის ჯემალ ნოღაიდელს დიდ მადლობას მიუძღვნა.

დურში ერთ მხარეზე საჭიროა 1 მომღერალი—მთქმელი, 1 გამეიყვანე, 2 შემხმობარი და ბანის მთქმელი.

ქობულეთლებს აქვთ აგრეთვე საკუთარი სიმღერა „ახსანბეგურაჲ“. ხასანბეგურაში სამი ხმა მოწაწილებს: მომძახნელი, გამეიყვანე და ბანის მთქმელი. მომძახნელი იწყებს ხასანბეგურას შესრულების დროს, ამიტომ მას მთქმელი ეწოდება ლექსებს, ე. ი. სიტყვებს ამ შემთხვევაში მხოლოდ მომძახნელი ამბობს. როცა კრავდ უძახებს, მღერის, ამბობენ: „ახსანბეგურაჲს კრავ მთქმელი არსოჲ“.

„მამასადამე, მთქმელი დამწყებმა ნიშნავს და უმთავრესად ჰყარე ხმის გამოხატველია, იგი ბანს და გამეიყვანს არ უფროს. მთქმელი უმთავრეს შემთხვევაში მომძახნელია, მთქმელი, ე. ი. დამწყები“.

ჯ. ნოღაიძელისა და აბაშიძის ცნობებითაც ირყევა, რომ ქარაში ხმების შემდგომი სახელები ყოფილა დაწყებული ხმით ხმათ, მელექსე, მაღალი მელექსე და დაბალი მელექსე, მთქმელი მომძახნელი, გამეიყვანე ანუ მოყრიბანქელე, შემხმობარი, ბანი ერთნაირი, ანუ მაღალი ბანი და დაბალი ბანი. ამ ორი უკანასკნელს მსრულებელს შებანე, ანუ შობანე, ბანოს მთქმელიც ეწოდება.

ზემოთყვანილი სახელების სიმრავლე იმიტომ აიხსნება, რომ აქ მარტო ხმების აღმნიშვნელი ტერმინებია, არა გვიქვს, არამედ აქ მათ ამსრულებელთა და დანაშნულების გამომხატველი სახელებიც არის მოქცეული. არსებითად რომ ჩვეუკვირდით თვითონს ამ ტერმინოვანს, მათგან მხოლოდ ხმის აღმნიშვნელი მარტო ორივე დაწყებითი ხმა დაბანი, რომელიც, თუ ერთნაირი არ არის, მაღალი და დაბალი ბანებისაგან შესდგება ბოლოსდაბოლოს დაწყებული ხმათაგან ვგონებ იმიტომ უნდა ეჩქვს, რომ ეს ხმა „ლი დანაშნ სიმღერას იწყებს, თუ ეს მცდარი მოსასრება არ არის, მაშინ დამწყებთა სხვა დამწყებს, ანუ მთქმელს უღრის, და ეს ტერმინიც ხმისაჲ არ არამედ დანაშნულთა-მოვალეობის გამომხატველი ყოფილა. როგორც ჯ. ნოღაიძელის განმარტებითგან ჩანს, დამწყები შესაძლებელია სხედასხე სიმღერაში სხედასხე ხმა იყოს, მაგ. შაყრულში მთქმელი, ანუ დამწყები ბანი ყოფილა. სხედასხე სხვა ხმები, მაგ. „ახსანბეგურაში“ მთქმელი მომძახნელია ე. ი. შობანელი.

დინარტენ სახელთაგან მომძახნელი ცალი მომძახნელის, შუალი: ხმის მთქმელია—გამეიყვანე ქარაშანქულას მთქმელი მოკრამანქულეა. წარმო ხმით მიმღერალო რომელ ხმის მღერის შემხმობარი, ჯ. ნოღაიძელის განმარტებითგან არა ჩანს. მისი დანიშნულებაც ძნელი გასარკვევია. თუ ვამატებთ ცნობებს არ იქნება შეკრებილი. შემხმობართა როგორც ჩანს, მხოლოდ ნაღერ სიმღერებში ყოფილა საჭირო. მას რაღაც თავისებური მოვალეობა უნდა ჰქონდეს ამ სიმღერებში დაკისრებული, ნაღერსაც მთქმელი იწყებს, რომელიც მომძახნელი უნდა იყოს,—მას „გამეიყვანე მიჰყვება“, ე. ი. წვრილი ხმის მოყრიბანქელე მომღერალი-და მხოლოდ ამის შემდგომ ებმებიან გუნდის სიმღერაში შემხმობარნი, რომელნიც, ჯ. ნოღაიძელის სიტყვით, თითქმის „ნაღერს“

უნდა აბოლოვებდნენ („აბოლოვებს“ შემხობრები“). ბანზე ნათქვამია მხოლოდ რომ „მეც და მეც საჭიროა ბანიო“-ო.

რაკი ჯეჯულებრივ სწორედ მომძახნელი ამბობს ხოლმე სიტყვებს და სიმღერის სიტყვები ყოველთვის ლექსად არის გამოთქმული, ამიტომ საუბრებელია, რომ მე ლექსე იგივე მომძახნელი უნდა იყოს. პირველი საბუღ (მელექსე) ამ ხმის მომღერალის მოვალეობის მხოლოდ იმ თავისებულებას გამოქვეყნებულა, რომლითაც ვამყივანისა და ბანისაგან განსხვავდება. საბუღლობი, რომ ის მღერის დროს სიტყვებს, ლექსებსაც ამბობს, იმ დროს როდესაც ვამყივანი და ბანი უსიტყვოდ მღერობენ, მაგრამ მელექსისა და მომძახნელის სრულს გაიგივებს „ინდიშინდი“-ს მატალი და დაბალი მელექსის ასკვობა აძნელებს, რათგან მოძახილი დაბალი ხმა არ არის.

ამაშიძის ზემომოყვანილი მოთხრობითგან ჩანს, რომ ყველაზე უმატივესი აგებულების სიმღერა მასპინძლური-ა, რომელსაც მხოლოდ თორკაცი სჭირდება, რომელთაგან ერთი მელექსეა, მეორე კიდეც მეტანეა. მაშინაც, როცა მომღერალთა რიცხვი ცხრა კაცამდე აღის, მელექსეს გასწყველა „დანარჩენი ბანს იტყვიან ერთნაირსა“-ო. აქ, მაშასადამე მხოლოდ ორ-ხმიანი სიმღერა ყოფილა.

თუმცის ასევე, ამაშიძის ცნობით, მაცრული და ხასანბეგურიც აგებულა. მასპინძლურთან შედარებით ამ ორ სიმღერას ის განსხვავება ემჩნევა, რომ აქ ორი მელექსეა, რომელნიც მორიგეობით ამბობენ სიმღერით ლექსებს. დანარჩენი ოთხი კაცი-ც ყველანი ერთნაირ ბანს მღერობენ. ამგვარად, არსებითად აქაც მარტო მელექსისა და ბანისაგან შემდგარი ორ-ხმიანი სიმღერა გამოდის. მაგრამ მას ქ. ნოდარდელის ცნობა ეწინააღმდეგება. მისი სიტყვით ორ, მორიგეობითი გუნდის აგან წარმოთქმული მაცრულის თვითოეულს გუნდში 2 მოქმელი, ანუ დამწყებია, 1 მომძახნელი და 1 ვამყივანე. ხოლო, რაკი ვამყივანე წვირილ ხმაზე მღერის, მომძახნელი შუალა ხმას ლექსად ამბობს, მოქმელი-ც აქ „ბანის მოვალეობას ასრულებს“, ამიტომ ცხადი ხდება, რომ მაცრული ორ-ხმიანი-ც არა არამედ სამ-ხმიანი სიმღერა ყოფილა.

„ხასანბეგურიც ქ. ნოდარდელის სრულებით გარკვეულ ცნობით, სამხმიანი სიმღერაა: აქ „სამი ხმა მონაწილეობს—მომძახნელი, ვამყივანე და ბანი“.

ძველი ოთხსადა, ანუ ვასადა მოქმელთაგან ერთი მელექსეა, მეორე მამყივანი და ოთხივე მეტანე. განმარტებაში თუმცა აღნიშნულია, რომ ამ სიმღერას კარგი ბანი უნდა, მაგრამ, რაკი ნათქვამი არ არის, რომ ეს მეტანე სხვადასხვა ხმაზე მღერობენ, ამიტომ აქ ერთხმიანი ბანია საგულისხმებელი. ამნაირად ოსადა, ანუ ვასადაც სამ-ხმიანი სიმღერად უნდა შეიხსნიოს.

აღლიფაშის მოქმელთა შორის მოვალეობის განაწილებაზე ამაშიძის მთლად შეფიქრო ცნობებში არა აქვს. სახელდობრ, დამწყებითი ხმაი რომ „ნახევარზე დავა“ და აქ „მეორე ვამოართმევს“, გამოურკვეველ რჩება სრულებით ღმრთობა თუ არა პირველი და რა ხმაზე მღერის ეს მეორე, ე. ი. აქაც ორი მელექსეს მსგავსად არის, თუ დაწყებითი ხმა და მეორე სხვადასხვა ხმებია. ამ სიმღერასაც ოთხი მეტანე აქვს, მაგრამ ერთხმურა

შექმელი-ვი არა, არამედ ორი მაღალი ბანისა და ორიც კიდევ დაბალი ბანის შექმელები არიან.

ინდიმინდი, ძველი ვასია და აღიფაშა უფრო მრავალბნისა სიმღერებიც არის და მათ ამსრულებელთა ხმების სახელსიყ მოვეყვებით ინდიმინდშიც თუმცა ორი-მეღეუქსეა, მაგრამ მჭერულისა და სსამეგურის მსგავსად შორიგეობით მომღერალნი-ვი არა, არამედ ერთი მთავანი მაღალი მეღეუქსეა ერთი კიდევ დაბალი მეღეუქსე, ე. ი. ლექსების სხვადასხვა ხმაზე შექმულნი მესამე მომჭერვანეა, რომელსც წერისს ხმასა მღერის, ხოლო დანარჩენი ოთხი ერთხმაზე ბანს ასლესს მასსადამე აქ უკვე ოთხხმიანი სიმღერაა.

აქარულ ცნობებში გუნდობრივი სიმღერის ტექნიკური მხარის გამომხატველი ტერმინები და გამოწოდებებიც მოვეპოვებთ. უპირველესად საველისხმოა, რომ სიმღერის ასრულებას მარტო მღერავი არ ეწოდება (სიმღერებს ოთხი, „იმღერებს ორი მეღეუქსე“ და სს. არამედ აქმაყ („იტყვის ექვსი კაცი“, „ოთხი ბანს ეუბნება“, „იტყვის ბანს ერთ ხმაზე შექმელი“, „ხასან-მეგურას კარგი შექმელი არა“ და სს.) თქმა მნიშვნელობით ასრულებს, უფროს ვინც სიმღერას იწყებს, იმას დამწყები ჰქვია, ხოლო ვინც დამწყებს მოყვალდება და სიმღერის თქმაში ჩაებმება, იმაზე ამბობენ „გამოარომევეს“-ო. მასსადამე გამომართმევი-ო. ხოლო როდესაც დამწყებს შემდეგ სხვა ხმაყ და იწყებს მღერას, იტყვიან „მიყვებაო“ (ხალხში „მომღერალი იწყებს სიმღერას. მას გამოვივანე მიყვება“), მასსადამე შამუტალი-ა.

ყოველ სიმღერას აქვს დასაწყისი და ბანვის მიმდინარეობა დამსრულებელს, რომელსაც ბოლო ეწოდება (სიწყებს შელიქა, „იწყებს ერთი მეღეუქსე“, „სიმღერა ბანით იწყება“, „მომხანელი იწყებს“, —ხალხის შექმელი „იწყებს სიმღერას... აბოლოებს შემხობობვით“). სიმღერის მთელი ბანვა ნაწილებადაც იყოფა და ზოგი ორი ნაწილისაგან არის შემდგარი (მაგ. ალიფაშაში „დაწყებითი ხმა-ნაბეჭეარზე რომ დავა, მეორე გამოარომევეს“-ო).

ზოგს და ჩვეულებრივ მომეტებულს სიმღერებს ერთ გუნდელ მღერიან, მაგრამ ორ-გუნდოვანი სიმღერებიც მოვეპოვებთ როდესაც ერთი ვუნდის სიმღერის წარმოთქმისთანავე უბილ მეორე გუნდი დაიწყებს, ხოლო მღერას, ამას აქარაში გადაბმული სიმღერა ჰქვია (მჭერულზე მაგ. ნათქვამია, რომ ორსავე გუნდში ოთხ-ოთხი კაცი და „სიმღერა გადაბმულია“-ო. —ხალხურზეც ამბობენ, „სიმღერა გადაბმულიაო“).

მაგრამ შესაძლებელია სიმღერა ერთ-გუნდოვანი იყოს, შეუღლი-ო. ორი მღეროდეს მონაცვლებითაც და ერთმანეთთან შეყარებითაც ამას მო-ჩეველი-ოთი მეღეუქსეობა ჰქვია.

მღერის მეგარულ გამოწოდებებზე და წესზე საიწყება რიც ცნობების შეგროვება ვერ მოვახერხებთ და ამდებულ ვართ ერთი ვსაბოლო, რაც ტექსტის ჰქონდა აღნიშნული აქ საუბრობდითა მეგარულ-ლი ფერხისაა, რომელსაც ეტრხისა (მასვე ვერხისა), ანუ ისტაქვე-ქვია და რომელიც ხეტობის წინასაღმართი იწყება მეორე დღის საღამოდა იციან მისი სიმღერა. ცნობით ხელისხმების თვალსაზრისით ეს

ფერხის იმით არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ აქ ქალ-ქაცვის ფერხულის იშვიათი შემთხვევა გვაქვს დაცულად. ამ ფერხულს რომ რველად დაბამდენ, ვაყებს გარდა ქალუბიც მონა-ლეობას იღებდენ, და ერთი რომ ქალი იყო, მეორე ვაჟი უნდა ყოფილიყო და ასე მონაცვლეობით იყვნენ ხოლმე წრეში ჩაბმულნი. წრე ხან მარცხენა და ხან მარცხენა უფლიდა სიმღერით. შემდეგ ვერ ქალები მოეპყროდენ წრეში და ცვალებდნენ („женщины делают па в середину круга“). შემდეგ ასევე იქცეოდნენ ვაჟებიც. ამ დროს ფერხულის სიმღერაც ორ გუნდად მონაცვლეობით ითქმოდა ხოლმე ისე-ქი, რომ ჰანგის ერთ ნახევარს რომ ერთ გუნდი იტყოდა ხოლმე, მეორე ნახევარს მეორე გუნდი ჩამოართმევდა და დაშტავრებდა, სიმღერის ასეთ წესს. ჯგუფო დალა, ე. ი. ჩამოართმევდნენ ეწოდებოდა.

მ. გუჯუჯიანის ცნობით სვანურ სიმღერებს სამი ხმა აწობს, რომელთაგან ერთს ეწოდება მაჟოდ, იგი დაწყების აღმნიშვნელ სხვლხანა ლიქტულ-ის მიმდევობა და მნიშვნელობით ქართულ დამწყებს უდრის. მაჟოდ სვანურში საშუალო, მეორე ხმის სახელია.

ერთ ხმას კიდევ ჰქვიან კოვან, ე. ი. მკივანი, ანუ ვამკივანი, ეს უწერილი ხმაა, პირველის (ე. ი. მკივლის) ანუ დამწყების შემოძახილად. მესამე ხმას ეწოდება მან.

უცნაურია, რომ ივ. ნიჭაბაძეს დაწყების („запев“) სვანურ სახელად აღნიშნული აქვს თავის სვანურ ლექსიკონში ზან ლიღრალეშ, ე. ი. სიმღერის ბანი, ხოლო დამწყების („запевало“) მკმანე ლიღრალეშ, ე. ი. სიმღერის მებანე და ბანი მუქვისე, ანუ ბანის მოქმელი¹.

თავი მეოთხე

ხმების სახელები ძველი და თანამედროვე წყაროებისა და მიხედვით

საქართველოს სხვადასხვა თემში ხმების ხალხში შემორჩენილი სახელებისა და მღერის წესის შესახებ ცნობების განხილვამ ბევრი საგულისხმო ტომიანი, გამონათქვამი და ცოდნა შეგვიძინა. მღერის ტექნიკაზე მოპოვებული ცნობები თავის ადგილას გვექნება ძველი წყაროების ცნობებთან ერთად გამოკვლეული და გამოყენებული, ამ-ცო ისევ მხოლოდ ხმების სახელებს უნდა დამბრუნდეთ, რათგან ეხლა უკვე ხმათა ქართული სახელების განხილვა ძველი როგორც ძველი და წერილობითი, ისე, ხალხში შემჩნილი ზემოთი ცნობების მიხედვითაც შეგვიძლიან. ზემომოყვანილმა მასალებმა დავეარწმუნა, რომ სამხიანს გუნდში მე-13—18 ს. ს. ერთი მხრივ პირველს ხმას წვრილი ეწოდებოდა.

¹ Топлов, Я., Из быта и верований мингрелинцев. * СМОМПК, вып. XVIII (Тифлис, 1894), стр. III, стр. 1—3; Книшадзе, И., Грамматика мингрельского (аверского) языка с хрестоматией и словарем, С-Петербург, 1914, стр. 132—133; Архивов [დ. არხივოვი] Народная песня Западной Грузии, стр. 85—86.

* მახლეცხი.

² Нижарадзе, И. И. Русско-сванский словарь об. СМОМПК, вып. II, Тифлис, 1913.

ანუ შიდალი ხმა, მეორეს საშუალო კვანძს და მესამეს ბოლო კვანძს დაბალი ხმის ეწოდებოდა. მეორე მხრივ ხმის მოქმედობის ვიწრო „მდროს“ თუ ვალობის, მეორეს — მოძახილ და მესამეს ბანის ერქვა. თვითთვეული მათგანის რეალური მნიშვნელობა გავსახლოლოდ გამოსარკვევი.

უპირველესად უნდა გავიგოთ, თუ რას უნდა ვუღიხებოდნენ ამ შემთხვევაში „მდერის“. ამისთვის შევადარებდეთ ხმათაგანის იდგილის უკვე მოყვანილი ქრონოლოგიის სტრუქტურას, რომლის აქტივობაში ამბობს ერთი მთქმელი, თითონ მთქმელისა და ჩემელიც ლექსებით მდერისათვის. აქ, მაშასადამე, მომდერისა და მთქმელისა და მდერის თქმის სინთეზები გვხვდება.

ეს საშუალებას გვაძლევს და გურამიშვილის ორს ლექსში უკანონო-ხშიანი გუნდის ჩამოთვლილ მონაწილეთა შორის ფუნქციების განაწილებას მივუხედეთ. პირველს მათგანზე გვისანს ხომ ნათქვამი აქვს „მდერის“ სტრუქტურებელი, რომ და გურამიშვილიც ამ ორსავე შემთხვევაში თქმას და მთქმელს გულისხმობდა. ამას აჭარბოვან შეჯავსების გარდა, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ და გურამიშვილის თავის ორსავე გუნდში ყველა სხვა ხმები, მოძახილი, ბალი, ბანის და დვრინი დასახელებული აქვს, თქმასა და მთქმელს გარდა, რომლის შავიერაც ნათქვამია მხოლოდ „მდერის“-ით.

შემდეგ საყურადღებოა აგრეთვე, რომ ერთი მხრით თქმა და მთქმელი (კალმასობით) უმაღლესი ხმის სახელი იყო ქვედაც, მე-19-ს. შეაწლებს ცნობითაც (დამახებული) და ნაწილობრივ აჭარული ზემოთ გარდამოყვებითაც. მაგრამ მეორე მხრით, თქმა (იოანე ბატონიშვილის საკულმდევროში) საშუალო ხმის, ე. ი. მოძახილიც სინონიმადაც არის დასახელებული და ამას ნაწილობრივ აჭარული ცნობაც უდგება, რომლის თანახმადაც მთქმელი გარკვეულად, ყოველთვის ერთი და იმავე ხმის სახელიც არ არის, არამედ არსებითად მხოლოდ დამწერების აღმნიშვნელია (ქრონოლოგიის ცნობა).

ზემოთხსენებული ზემოთი ცნობების განხილვამაც დავაჩვენა, რომ პირველი, ანუ უწვრილესი და საშუალო ხმის სახელები, დამწერებისა და მოძახილის, აღმნიშვნელობა თითქმის არცერთი ერთი მხრის საწინააღმდეგოდ მნიშვნელობაში მნიშვნელობა ეტყობა მაინც და, რაც ზოგიერთი ცნობით უწვრილესი ხმის აღმნიშვნელი გამოდის, ის სხვათა ცნობით სწორედ საშუალო ხმის სახელია და წინა-უკან საშუალო ხმის სახელი უწვრილესი ხმის სახელად ითვლება.

ამგვარად თქმასა და მთქმელს, დამწერებსა და მოძახილს ორი განსხვავებული და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მნიშვნელობა აქვთ: ქვედაც და ებლაც, ამიტომ ადვილად შესაძლებელია აქ დამამს შეცდომა შეჩვენოს, მაგრამ, როგორც ქვევით გამოიკვამა ნამდვილად არავითარი შეცდომა არ არის.

ამდევ ერთი განსახილველი საკითხი უწვრილესი ხმის სახელად რომ კრინიც იყო, როგორ უნდა შეიქცეს და როგორ უნდა გავიგოთ თქმისა და კრინის რეალური რაობა?

როდესაც თქმა და მთქმელი უწერილესი, პირველი ხმის და ამსრულებლის სახელი იყო, მაშინ კრინი, ვითარცა აგრეთვე უმაღლესი ხმის სახელი, რასაკვირველია, თქმის სინონიმი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უქვესხმიანს გუნდში თქმა და კრინი ერთიდაიგივე ხმა რომ არ იყო, არამედ თვითთვეული მათგანი სხვადასხვა ხმის სახელი ჩანს, ეს გარემოება ითანე ბატონიშვილის თხზულებით მტკიცდება, რათგან მას მუსიკის სახელმძღვანელოში თქმა ზილი, და კრინი ცალცალკე და სხვადასხვა ხმების სახელებად აქვს მოხსენებული. ამვე აზრს ადასტურებს დ. გურამიშვილის ის ლექსიც, რომელშიც მოძახილსა და ზილზე უწერილესად კიდევ ორი ხმა იგულისხმება: ერთ მათგანზე ნათქვამი აქვს, რომ „ამზობს ტორუა“, — შეორებე კიდევ „გალობს ბუღბუღი“-ო. აქაც რომ მბობა თქმად მივიჩნით, მაშინ ბუღბუღს გალობა კრინად, იქნება კრიმანჭულადაც-კი, უნდა ვიგულისხმობთ.

დ. მაჩაბელსაც თქმა და კრინი არამც თუ სხვადასხვა ხმების აღმნიშვნელად აქვს დასახელებული, არამედ, მისი ცნობით, თვითთვეულს მათგანს სულ სხვადასხვა დანიშნულება-ც-კი ჰქონია: თქმა, დ. მაჩაბლის განმარტებით, სიმღერა-ლობას იწყებს და ჰანგსა მღერის, კრინი-კი „ხმას აწევ-დაწვეისა, ვაგდებს და განკიდურების დროს ძალიან წმიდას ხმას შეეწმასენის მთელს გალობას ხანსა და ხანზედ იქ, სადაც აქვს ალაგი მას შეეწმასენისა“-ო. მისასაღამე, კრინი უწერილესი და უაღრესად მოძრავი (ამწვე-დამწვევი, განმგდები და განმკიდურებელი) ხმა იქნება რომელიც მთელ გალობას-იმღერაში ჰრელი საშკარო ულივით ალაგალაგ ერთვოდა ხოლმე. ცხადია, რომ აქ უფრო კრიმანჭულის აღწერილობაა, მაგრამ, რაკი დ. მაჩაბელს კრინის რაობის განსაზღვრად აქვს ზემომოყვანილი დახასიათება მოყვანილი ამიტომ საფიქრებელია, რომ კრინსაც ნაწილობრივ მიიწე ამის მსგავსივე დანიშნულება ჰქონია უქვესხმიანს გუნდში.

ის გარემოება, რომ კრინი აღმოსავლეთ საქართველოში ხალხში უფრო ან სრულებით უცნობი სიტყვაა, ანუ მეტად იშვიათი, მხოლოდ ღრმა მოხუცებულთათვის ნაცნობი ტერმინია, დასავლეთ საქართველოში-კი მარტო კრინ-მანჭულის სახელშია შერჩენილი, შესაძლებელია, დ. მაჩაბლის განმარტებასთან დაკავშირებით, ადამიანს ეფიქრა, რომ კრინი და კრიმანჭული ერთი და იგივეა და კრინი ძველი ცნობებში სწორედ კრიმანჭულად იგულისხმება, მაგრამ ასეთი აზრი მცდარი იქნებოდა. უკვე თვით კრიმანჭულის სახელი, ვითარცა მანჭული კრინის აღმნიშვნელია ატყვებს, რომ კრინი ცალკეულ ტერმინად კრიმანჭულზე უწინარეს ყოფილი განმტყვებული ამიტომაც კრიმანჭული უმეტესად კრინზე უფრო მერმინდელი ტერმინია და კრინის განსაკუთრებული სახეობის აღმნიშვნელია.

როგორც დავრწმუნდით უკვე ს. ობზელისა და აქვს აღნიშნული, რომ ზილი „წერილი ხმის ცემა“ იყო. დ. გურამიშვილს-კი ხუთხმიანს გუნდში ზილი შესაძენად იღვალს აქვს დასახელებული, უქვესხმიან-კი შეიძენად იღვალს. ითანე ბატონიშვილის განმარტებითგან ჩანს, რომ ზილი

ექსპლუატაციის გუნდში მოძახილის მომდევნო და ბანზე მალე შევიდა
 მან იყო მიჩნეული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საქმის გუნდს ზილი არა
 ჰქონდა. დ. შარაბელს ზილი ექსპლუატაციის გუნდის შემადგენელი
 მხარე და მოძახილის მომდევნო აქვს დასახელებული ზილი თანხა-
 ლობი, ანუ ლარიანი ჩანგურის ქვეითი მეორე ლარის სახელით იყო. ლა-
 რის საკრავების აღწერილობის დროს დეტალურად მოგვითხროს ზილის
 ხმისა და ზილის ლარს. შორის განსხვავება მანაც საკმაოდ იყო ზილის
 რიგის გასათვალისწინებლად მხოლოდ დ. შარაბელს შეეძლო პატარა
 განმარტება: „ზილი თქმასა და მალაღმანს ვეუ საშუალს
 წმიდის ხმად მისდევს, ადგილადგილ მოქმედს“.

ზემოთხსენილი ცნობითგან ირკვევა, რომ, თუმცა გუნდში ზილი მუ-
 სიანი, ანუ მეოთხე ადგილი ჰქონია მიჩნეული, მაგრამ ნამდვილად ზილი პირ-
 ველი, უწყვერილესი ხმისა და მოძახილის შედგენი
 ხმის მოძახილზე უფრო წერტილი და ჰვედლებრივ პირ-
 ველ ხმანე უფრო დაბალი, მაგრამ ზოგჯერ და აქა-
 პირველის ხმის სიმაღლეზე აწევლი ხმა ვიდრე.

საქმის გუნდში თუ ერთიანი ბანი, ანუ ბარტიყად
 ბანი იყო, ხუთხმისანი ბანი და დვრინი, ხოლო ექვსხმი-
 ანში ბანი, დაბალი ბანი, ანუ შემდეგი და დვრინი უფ-
 ლია დაბალი ბანის ტერმინი, როგორც დეტალურად კახეთში
 ასეთი, ზემოთხსენილი და აქა-პირველი ეს განმარტება ამ მხარე არის ს-
 უფროდღებო, რომ ამ ხმისა და ტერმინის არსებობას საბა-
 ტით ხნიერებას ამჟღავნებს. რაც ჩვეულებრივ ზეობის
 გუნდში ბანს უშუალოდ დვრინი მისდევს, მოსილოდნელი იყო რომ დ-
 ბალი ბანი სწორედ დვრინის სინონიმად იქცეოდა. მაგრამ ითანე
 ბატონიშვილს დაბალი ბანი, ანუ შემდეგი და დვრინი
 სხვადასხვა ხმებად აქვს დასახელებული, ესაღ ხდება, რომ დაბალი ბანი
 ზვედლებრივი, ანუ ერთნაირი ბანის განსტობას გზით
 არის წარმოშობად, რასაც მისი მეორე სახელი შემდეგად აქ-
 დენებს.

ამისდა მიუხედავად, რომ დვრინი საკმაოდ ძველი სახელია, მის ჩა-
 ბზე ბევრი არა ვიცით რა. სგულისხმობა, რომ აღვინათს სახით ამ ტერმინის
 ანარეკლი გარე-კახელი და ზემოთხსენილის მოხუცი მომღერლების მენხიერ-
 ბასაც შეუტრენია. თუმცა დ. შარაბელს ნათქვამი აქვს, რომ აღვრინი
 გრავინავს და ახუცეს ერთად სამთავუ-ო, ე. ი. თქმას, მოსახლსა და ბანს,
 მაგრამ ამ ბუნდოვანი განმარტების მიხედვით ამ ხმის რამდენიმე რიგის გა-
 შორეევა ძალიან ძნელია.

1. შარაბელი, დ. ქართული ხეობა ნა 56
 1930
 32. ივ. კახიანი. ტ. XI

კარი მორე

საკრავიანი მუსიკა

თავი პირველი

საკრავის განკუთვნილება

უხსოვარი დროითგანვე მოყოლებული ადამიანი თავის მუსიკალურ მოთხოვნილებას მარტო თავისი ხმით-კი არა, არამედ სხვადასხვა საგნებს ხმის გამოყენებითაც ცდილობდა და ახერხებდა. დროთა განმავლობაში ბევრნაირი სხვადასხვა აგებულებისა და მოწყობილობა-მასალის მქონებული საგანი აღმოჩნდა ამ მიზნის მისაღწევად გამოსადევი: თანდათან ცალკეულს, თვითონეულ მათგანისათვის განკუთვნილ სახელს გარდა, ყველასათვის საერთო სახელიც გაჩნდა.

უძველეს დროითგანვე მოყოლებული ასეთ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში საკრავი იყო მიღებული. ს. ორბელიანის განმარტებითაც საკრავი არის „ყოველი სამწყობრო ძალთა და ნესტუთა“¹, ე. ი. როგორც სიმღებიანი, ისევე ჩასაბერტი სამუსიკო ინსტრუმენტების აღმნიშვნელი სიტყვა.

ეგრობაში მოგზაურობის თავის აღწერილობაში ეს ტერმინები ბევრჯერ აქვს ნიხმარი, მაგ. „ერთი ზეთძალსავეთ გრძელი რამ საკრავი იყო“- „საკრავთა მკვრელნი“². არჩილსაც ნათქვამი აქვს: „მუშრაშდენდური საკრავი ერთმანეთს შეეწყობოდა“-ო³, —ანუ კიდევ „რაც საკრავია, ყველა რომ თვითონ ზნეობად ჩავადგოთ“-ო⁴.

საკრავის აღწერებას კრავა, დაკრავა, ჩამოკრავა და ცემა ეწოდებოდა.

ს. ორბელიანის განმარტებით, „კრავა არს საკრავთა ძალთა ცემა“⁵, მხოლოდ საკრავის ამგვარებელს მკვრელი ერქვა. I მეფეთა 16ლ-ში ნათქვამია: „მკრავი და კელთა თვსთა ებანსა“-ო⁶. ვისრამიანშიც სწორად „ხუცესი რა ორძალთა უკრავდეს, დიკონმან შეშპარისა კიდე რამცა კნასა“-ო⁷. იქვე აღნიშნულია, რომ ვირომ ვისს რამინზე უთხარი: მან „მის მტერი რა იცის, რომელ ჩანგი მორთოს, ჩამოაპკრას და ზედა შე-

¹ ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

² მოგზაურობა ეგრობაში, „ცისკარი“, 1852 წ., № 1—4, გვ. 38.

³ არჩილიანი, გვ. 47, § 191: 3. თხელქანის გამ.

⁴ საქ. ზნობ., 10.

⁵ ორბელიანი, ს., ლექსიკონი: კრავა.

⁶ ბაქარის გამოცემა.

⁷ ვისრამიანი, გვ. 121.

უქმისა¹-ო! ევროპაში მოგზაურობის დროს საბაბს ასაკრავთა მკვრელნი² ბევრგან უნახავს, ერთგან აცხრა ჭიანჭურის მკვრელთა უფილა, ხოლო ათხი დიდს ჭიანჭურს უკრავდით³.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშიც ჩვეულებრივ დაკვრა იხმარება, მაგ.: როგორც დამიკრავ ფანდურსა; ისევე დაგროკვდება⁴-ო, ანდა ფანდურს დამიკარ, ბერკუნდო, მიყვარდის სამძალა⁵-ო.

მაგრამ, როგორც აღნიშნული გვეონდა საყრავის აქტუალების ცნების გამოსახატავად ძველ ქართულ მწერლობაში სახელმწიფო ექსპედიციებში გაწარმისხებულ შაჰ მოაბადს, ვისრამიანის ფტორის სიტყვით, რამინზე ვისისათვის უთქვამს: შენ უნდა ის სამუდამოდ დაიფუთ და არცა მან შენსა წინაორძალსა და ჩანგსა სცესო⁶-ო!

საყურადღებოა, რომ შეგვრულსაც საყრავის აქტუების ცნების გამოსახატავად ამავე მნიშვნელობის მქონებული სახელმწიფო ექსპედიციის, რომელიც ჩველი ქართული გვემის შესატყვისობას წარმოადგენს და დაკრავს, დარტყმის და ცემასა ნიშნავს.

როგორც საყრავის აქტუების აღსანიშნავად კვრა და დაკვრა იხმარებოდა და იხმარება ეხლაც, ისევე, ცემა-ს გარდა, ამავე ცნების გამოსახატავად, დაცემა-ც გვხვდება, მაგ.: ითანე ურძაველს, ცხოვრებაში ნახმარია და ცემა-სა და დაცემა-ს⁷.

ძველდაც გარკვეული ხანითგან მრავალნაირი საქრავო არსებობდა, მაგრამ მაშინაც მათ ზოგადი ურესებებისა მიხედვით რამდენაშიც მთავარ ჯგუფად ჰყოფდნენ. მუსიკის ისტორიაში, რასაკვირველია, საყრავთა ძველი განჯგუფებაც უნდა იყოს გამოკვეთილი: საქრავთა ერთ ჯგუფს შეადგენდა ყოველნაირი საქრავო ძალღებობნი. მაგ. სამუსზე სორბელიანის ნათქვამი აქვს, რომ ის იყო ასაკრავო ძალღებობანი⁸, ე. ი. სიმებიანი.

მეორე ჯგუფის სახელიც საბაბს ორ ტერმინი აქვს ნამართი ნესტვი და საყვრანი. პირველი მათგანი უფრო ზოგად ტერმინად აქვს ქართულ ლექსიკოგრაფს მიჩნეული, რომელზეც როცხეთა ში-ის დამოწმებით ვაშლდება ნათქვამი: „რამც საქრავნი განკურბებილი არიან და პირით იბერვნიან“, ყველა ანდესტვად ითქვამიან⁹-ო! ეთ. სავ ძველი ქართული ძეგლები წყობულ აქვს ეკოდინება, რომ ნესტვი ამზე უფრო ფართო მნიშვნელობის მქონებული სიტყვაა და ზოგადად ცოველნაირი მილინ აღმნიშვნელი იყო. მაგრამ, თუ აღმიანი ჩვეულებებია, დირწმუნდება, რომ თავდაპირველად ნესტვი მხოლოდ სტვენის ცნების გამომხატველი უნდა ყოფი-

¹ ვისრამიანი, გვ. 124.

² მოგზაურობა ევროპაში, გვ. 38.

³ იქვე, გვ. 38.

⁴ ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 29.

⁵ შინიძე, ა., ქართული ხალხური პოეზია, I. ხუცხუნი, ტფ. 1931, გვ. 224, § 543.

⁶ ვისრამიანი, გვ. 208.

⁷ Кекелидзе, К., Жизнь и подлинн. св. Иосифа, католическ. Учен. сообщ. Христианский Восток, II. С.-Петербург, 1913, гл. 322.

⁸ ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

⁹ ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

ლიყო და ისეთი სიგნის, ანდა ნაწილის აღმნიშვნელად არის საგულისხმებელი, რომელიც უსტკენდა.

საკრავთა ერთი ჯგუფის ზოგად სახელიდ საბას საყვრნი აქვს ნახმარი. ამ ჯგუფს ბევრი სხვადასხვანაირი ჩასახვარი საკრავი ეკუთვნოდა: „საყვრნიცა მრავალგვარნი არიან“-ო. მათ განსხვავების ერთ ნიშანთაგანს მათი მზახებლობის მაღალ-დაბლობა, ე. ი. დიაბაზონი შეადგენდა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „საყვრნიცა მრავალგვარნი არიან, მზახებელნი მაღალ-დაბლობითა: ბუკი, იობელისნი, ყეროს ტვრი, ზრახა-უფდი და სხვანიცა“-ო. მათ საერთო თვისებას ის შეადგენდა, რომ ხმის გამოღება მათ მხოლოდ ჩაბერვით შეეძლო.

2 ნუსტთა 513-ში ნახმარია კიდევაც ზოგადი ტერმინი მბერველნი და დაკერის აღსანიშნავადაც ბერვა-ა გამოყენებული. იქ ნათქვამია: „ისოენი მბერვიდეს საყვრსა“-ო და „ერთი კმა მბერველთი და ფსალმუნისა მვალობელთა“-ო. მბერველნი უდრის ბერძნულს „სალპიონტეს“, ლათინურ *canentes*.

საკრავთა მე-სამე დიდ ჯგუფს, როგორც დავრწმუნდებით, საცემელნი შეადგენენ.

საკრავები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი აგებულებითაც, მოყვანილობითაც, მასალითაც, რომლისგანაც თვითოეული მათგანი იყო შემზადებული, და დანიშნულებითაც. ვერლას თუ არა, ბევრს ზემოაღნიშნულ ვარემოებას რომ ძველადაც ყურადღებას აქცევდენ, ეს ს. ორბელიანის მსჯელობითაგანაც ჩანს. მან საკრავებს რომ ერთმანეთისაგან მათი მოყვანილობითაც არჩევდენ. საბას განმარტებით, „ჩანვი მოდრეკილი საკრავი“-ო იყო, ხოლო „იობელისნი საყვრია მოცეცილი“-ო.

საკრავთა ერთ განმასხვავებელ ნიშანთაგან მზახებლობის მაღალ-დაბლობა, ანუ ხმის სიმაღლე-სიდაბლეც, ე. ი. დიაბაზონი შეადგენდა, რომ იყვნენ მზახებელი მაღალ-დაბლობითა, ე. ი. ზოგისევე, როგორც სხვადასხვა საყვრნი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებო-მბილი ხმა, ზოგს უფრო დაბალი ჰქონდა. სიმებიან საკრავთა შორისაც ვერლას ხმის ერთნაირი სიმაღლე-სიდაბლე არ ჰქონდა. ს. ორბელიანს ევროპაში მოგზაურობის თავის აღწერილობაში „ზღვის საკრავზე“ აღნიშნულ აქვს: „არც სიტკბოთი და არც სიმაღლე-სიმაბლობით უკეთესი საკრავი მინახავს“-ო.

საბას ზემომოყვანილს ცნობაში საკრავის სიტკბო, როგორც ჩანს, საკრავის ტემბრს უნდა გულისხმობდეს, სიმაღლე-სიმაბლობე-ცი დიაბაზონს.

1 ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

2 ბაქარ და საქ. შუზ., ბ. № 51 A: 2 ნუსტთა 513.

3 აქვე, 2 ნუსტთა 513.

4 ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

5 აქვე, სუვირა.

6 მოგზაურობ., გვ. 63.

ძალებიანი, ჩასაბერო და სხვაგვარი საკრავები ძველ საქართველოში საუკუნეთი განმაცლობაში ბევრი იყო. ზოგი მათგანი უძველესი დროიდანვე ყოფილა, ზოგს სახელები აღვილობრივია, ბევრი მათგანზე ჩვენში თანდათანობით, შეზღვევაში ვახიროლა და მეზობელთაგან ყოფილა შეთვისებულ. უმეტესი მათგანი ვაჭრობა და მკვამერძინდელ თაობებსა-ცა მათი სახელების წამდელი მნიშვნელობა აღარ სტოდნიათ, თანამედროვე ქართველმა ზოგ მათი სახელები მხოლოდ ძველ და ახალი თბზულებების წყალობით იცის, მათი რაობისაჲ აღარაფერი გეგება. ამიტომ თითოეული მათგანის სახელის ზედმიწევნითი მნიშვნელობა, არსებობის ხანა და საკრავის სიდაურობა უნდა ძეგლების და მიხედვით იქმნეს გამოკვლეული. საკრავთა საკმაო სიმრავლს გამოცა და სკოლთს შესწავლის გასაადვილებლადც სახელების მთელი სავსებობა სამ ზეგოაღნიშნულ მთავარ ჯგუფად იქნება გაყოფილი და განხილულა.

თავი მეორე

ძალუბიანი ანუ სიმუბიანი საკრავები

ძალუბიან საკრავებსაც თავთავიანი ცალკეული სახელები აქვთ და მათგან ერთნაირს ჯგუფს ერთგვარი ჯგუფობრივი სახელოც მოეპოვება. ამ სახელების ერთგვარობა იმაზეა დამყარებული, რომ თვითოეულს მათგანში აღიშნულია, რომ საკრავი ძალიანია, ამ სახელებს ერთმანეთისაგანვე მხოლოდ ძალთა რაოდენობის აღმნიშვნელი წინდამდელი რიცხვითი სახელი ასხვავებს. ძალთა, ანუ სიმთა რაოდენობისდა მიხედვით, ასტეობდება ორძალი, სამძალი, ოთხძალი, ხუთძალი და ათძალი. შემდგომი ღირწმუნდებით, რომ განსხვავება მათ შორის მარტო ძალთა რიცხვზე არ იყო დამყარებული, მაგრამ, ამ საკრავების სახელებებს დროს უმთავრესი ეფრადლება სწორედ ამ გარემოებას ჰქონია მიყრობილი და საკრავთა ამ ჯგუფის უმთავრეს განმასხვავებელ და ნიშანდობლუ რიცხვად სწორედ ეს ყოფილა მიჩნეული.

§ 1. ძალუბიანი, ანუ სიმუბიანი საკრავების ავთულები და ნაწილების მველ კართულ წყაროებში დაცული სახელები

სანამ ძალუბიანი, ღარუბიანი, თუ სიმუბიანი საკრავებს აღწერა-განხილვას შევუდგებოდეთ, წინასწარ უნდა მათი ავებულება-მოგვანილობის მათგან რი სახეობანი და მათი ნაწილების ძველი და თანამედროვე სახელები ვიცოდეთ. რი სახეობით ასეთი საკრავების ცოტად თუ ბევრად სრული აღწერილობა შეკრფრობით ასეთი საკრავების ცოტად თუ ბევრად სრული აღწერილობა შეკრფრობაში მოგზაურობის აღწერილობაში გვაქვს დაცულ.

საკრავების სახელების დანაწილების წესსა და ნაწილების მანიწველ სახელებს მსურველი სწორედ ამ ნაშრომში, სახელებობი რი ევრობელ საკრავის აღწერილობაში იპოვის.

სახელოვანს ქართველ მეცნიერს ნათქვამი აქვს: ერთი საყრავი ენას ერთ სახლში, ხდვის საყრავს ეძახდენ: სამკუთხე ჩინა ჰქონდა, ბოლოსკენ ერთი მტკაველი იყო და ექვს მტკაველამდის ჩინის სივრცე იყო, თავი წელიად წამოსული, კელიც გრძელი ჰქონდა, ხუთი ძალას სისხო ჩანა, დი კელით მალალს კაცს უმაღლე იყო, ერთი ძალა ება ლურჯ მის კალმის სისხთ, და ქიანურს ავით ძუიოთ უკრავდა. ტარის კერძო მართო კერს კმარობდა და ზედ ალყაზედ რვას ადგილას ქილალის ნიშანი ეკრა, ფარდის მავიერა-აო¹.

სხვაგან კიდევ ერთი, მანამდე უნახავი, საყრავი აქვს აღწერილი, ერთი ხუთძალივით გრძელი რამ საყრავი იყო: ერთი მხარი ტარი უფრო ჰქონდა — სივრცე[ზე?] შედიოდა ალყა ება და კელის ახლო მრავალი ალყა-აო².

ს. ორბელიანის მოგზაურობის მიხედვით გამოჩვეული საყრავი ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები სრული ირ იქნებოდა, რომ ზემოთყვანილს კიდევ შემდეგი სახელებიც არ დაერთოს. საყრავის გვერდობის მხარეს, გვერდს ქართულად ფერდა, ანდა ალყაში ეწოდებოდა. ს. ორბელიანს სწორედ ასე აქვს ამ ტერმინების მნიშვნელობა განმარტებულ „ალყაში საყრავის ფერდა“ არის და „ფერდა ალყაში“-აო³.

3 მეფეთა 10⁴ დამოწმებით, საბას განმარტებული აქვს აგრეთვე რომ ერთი საყრავის ალყას ვიდი-აო. მაგრამ დასახელებულ ადგილას ზემოაღნიშნულ სიტყვას არც არის და არც შეიძლება რომ ყოფილიყო ამ განმარტებაში სინტერესოა მაინც, რომ ერთი ასახსნელად საბას უხმაოთ კილი ტერმინი, რომელიც ქიხიუში ფარდის აღსანიშნავად არის მიღებული.

საყურადღებოა, რომ, როგორც იპოლიტემ ერთი ნაშრომის ქართულ თარგმანიდან ჩანს, სამუსიკო ძალებიანი საყრავის ერთი ნაწილთაგანის სახელად უძველეს ხანაში უღველაც უხმარიათ. იქ ნათქვამია: „მსგავსად ქართისა ვითმე აღრთულ, რომელთა აქუს უღველი, ვითარცა საფანდურ ბეღლი-აო⁵“.

ძალების, თუ სიმების ქვეშ ჩვეულებრივ შესადგმელს ვარდა რომელსაც ზემოთყვანილი და კიდევ სხვა სახელებიც ეწოდება, სხვანაირიც ყოფილა. სიმის მომადლებით დასაკავებლად განკუთვნილს ამ შესადგამს სახელიც, სხვა ჰქონდა ძველ ქართულში. ს. ორბელიანი ამბობს: „ზიკიპინტი ალყის პატარა ჯორი ზილისა“-აო⁶. ეს განმარტება იმას ნიშნავს, რომ ზიკიპინტი ზოგადი კი არა, არამედ მხოლოდ ერთი, ზილის ზიის გამომცემი სამის პატარა ჯორაკის სპეციალური სახელი ყოფილა. ამ განმარტებითგან ჩანს, რომ ზილი საყრავის ჯორაკში არ დატეულა და მისთვის ჯორაკის დამატება აუცილებელი გამხდარა. უდაბოლობის გამო ეს დანართი ჯორაკი, რასაკვირველია, უნდა პატარა ყოფილიყო. ვისაც აღმოსავლური სამუსიკო საყრავები უნახავს, იქნებ შემჩნეული ჰქონდეს, რომ ასეთი პატარა ჯორაკი მართლაც არსებობს.

¹ მოგზაურობა, გვ. 63.

² იქვე, გვ. 39.

³ ორბელიანი, ს. ლექსიკონი.

⁴ იქვე.

⁵ Марр, Н. Ипполит, Толкование песен песней, С.-Петербург, 1901, г. LXVII.

⁶ ორბელიანი, ს. ლექსიკონი.

ყოველ ძალგზიან საქრავს, რა თქმა უნდა, ხმის გამოცემა დაბმული, სქონდა გაბმული, რომ მისი აბმურება შესაძლებელი გახდებოდა. დროთა განმავლობაში საქრავის ამ მეღერს ნაწილს სხვადასხვა სახელი გაჩენია. უმატესი ამ მებრინდელ სახელთაგანი უცხოა, ზოგმა მიიღება წინაწერი. ყველი ტერმინი მოსპო, ანუ დაჩრდილა, ზოგ-კი სვეცალური მნიშვნელობა მიენიჭა.

უკვე საქრავების ისეთი უძველესი სახელებითგან, როგორც **ობაძალი**, **სამძალი**, **ოთხძალი**, **ხუთძალი** და **ათძალი** იყო, ჩანს, რომ თავდაპირველად ძალი ყოფილა.

შემდეგ **ლარიც** ჩნდება და ნაომის **პე** დამოწმებით, **საბა** ამბობს, რომ **ლარი** იგივე **აღყა**, ძალი იყო, ხოლო თვით აღყაზე ნაიჭყაძე აქვს, რომ **აბრეშუმის ძალი** დასასრულ ძალის მნიშვნელობის მისი განმარტება რომ მოვისმინოთ, გამოირკვევა, რომ **ძალი წელის აღყა** ყოფილა. **ს. თარბელიანი** ს. **ლექსიკონში** მხოლოდ სიმი აბ მოიპოვება.

ყველაზე ხანგრძლივ ძალი იყო ძველ ქართულ შერთობაში გაბატონებული. ქართული ენისრამიანის ავტორსაც ძალი აქვს ნახმატი მაგ. იქ ნათქვამია: რამინს **საჭურჭლესა** შიგან რა უმა, ჩანგისა და ძალისაგან კიდე¹-თ. ისეთს გვიანს ხანაშიცვი, როდესაც როსტომიანი და სამაიანი იყო გადმოქართულებული, კვლავ ძალი ყოფილა გაბატონებული მაგ. სამაიანში სწერია: **მორათეს ჩანგისა ძალეგ²ით**, ხოლო როსტომიანში **ძალი მორათ**, კურა დაიწყო³-თ. თანამედროვე ქართულ კლასიკებში ძალი თითქმის მხოლოდ ხეცსურულს აქვს შენარჩუნებული.

შავთელის თხზულებითგან ჩანს, რომ მე-12 ს. **ლარი** სისწორის შესამოწმებელ სახომად ყოფილა მიღებული, რათგან მას ნათქვამ აქვს აბდულმუსისაში:

საქლ-სა ლარი
ქვეყნის სლარი,
გამჭიდრებელი
ყოილ ვიქლით.

ხმარობდენ, თუ არა, მაშინვე ძალის შესატყვისად ლარსაც ეს ქარ კიდევ გამოსარკვევია.

აღყა ძალისა და სიმის მნიშვნელობით **ს. თარბელიანი** ს. დროს უკვე აღმდნად გაბატონებული ყოფილა, რომ ევროპაში თავის მოგზაურობის აღწერილობაში საქრავების დახასიათებისას სწორედ ეს ტერმინი აქვს ნახმატი. მაგ, ერთს საქრავზე ამბობს: **ახუთძალივით ვრძელი რამ საქრავი იყო... სიღრმე[ზე?]** შეიდიოდ **აღყა ება** და ჯელის ახლო მრავალი **აღყა⁴-თ**. **დ. ბუ**

¹ თარბელიანი, ს., ლექსონი.

² იქვე.

³ ენისრამიანი, გვ. 124.

⁴ სამაიანი, ტ. 671. იხ. აბდულაძე, ი., სამაიანს ანუ შველი წინს ქართულ ენისებში, თბილისი, 1916.

⁵ როსტომიანი, ტ. 2116. იხ. აბდული, ი., სამაიანს ანუ შველი წინს ქართული ენისებში, თბილისი, 1916.

⁶ შავთელი, აბდულმუსია, 69.

⁷ მოგზაურობა, გვ. 38.

რამიწვილიც ასე ყოფილა ამ ტერმინს მიჩვეული, რომ ნოქვები ექსკიდევაც, დავით მეფესალმუნეს საყრავს „ათ ძალს ალყანი აბაო-ო, თუმცა, როგორც უკვე თვით ამ საყრავის სახელი ათ ძალი ცხად-ყოფს, მას ალყები-კი არა, არამედ ძალები უნდა ჰქმოდა.

სიმი მე-18 ს. დამლევს და მე-19 ს-ითგან ჩანს ვაბატონებული. იოანე ბატონიშვილი ჩონგურისა და სხვა საყრავების მხოლოდ სიამე-ს ზე-და ლაბარაჟობს. ეს ტერმინი სპარსული სიტყვაა. ფ. ვორჯიჯანიძის ლექსიკონით სიმი მე-17 ს. სპარსულად „ვერცხლის ზოლი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა. თანამედროვე ირანულში ტელეგრაფის მავთულის სახელია ცხადია, რომ, რაკი სიმი ირანულად ვერცხლს ნიშნავს, ამიტომ თავდაპირველად ვერცხლის მავთულის აღმნიშვნელი იქნებოდა, და საყრავის თვისი სიმებიც ხომ მართლაც ვერცხლისა იყო.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ გურიასა და აჭარაში არც ძალი, არც ლარი, ალყა, ანდა სიმი ხალხში არ არის გავრცელებული, არამედ ძაფი და ძუის ღარი.

ყველა ზემომოყვანილობა მიხედვით, მაშასადამე, ძალი ნაწლავისაგან შემზადებული საყრავის სიმი ყოფილა, ალყა-კი აბრეშუმი-საგან გაკეთებული სიმის სახელი იყო. მხოლოდ ღარი-ს რეალური ძველი მნიშვნელობა რჩება გამოურყვეველი: თუმცა ისიც სიმის აღმნიშვნელი ტერმინია, მაგრამ რა მასალისაგან აკეთებდნენ, არა ჩანს, მხოლოდ შემდეგში დავრწმუნდებით, რომ ნაწლავისაგანაც და აბრეშუმი-საგანაც სიმი სპარსული სიტყვაა და ვერცხლისას ნიშნავს. ამის გამო სფიქრებელია რომ თავდაპირველად ის თარის ვერცხლის სიმების სახელი იქნებოდა შეთვისებული და მხოლოდ შემდეგშია იგი ზოგად ტერმინად ქცეული.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ჩონგურის სამ სიმაგან ორი, წვრილი და საშუალო ხმის მქონებული, სიმი თეთრი იყო, ერთი კი ბოხი ხმის გამოძღები, უკითელი ყოფილა. მეოთხე, ზილის ხმაზე შედგრი, ხმის ფერი აღნიშნული არა აქვს.

ძალისა და ღარის შემზადებასა და ნაკეთობაზე ერთგვარ წარმოდგენას ს. ორბელიანის ცნობა გვაძლევს, რომ „ღარი წელი შეგრეხილი“ ყოფილა: აქეთგან ჩანს, რომ ღარი შეგრეხილია ცხადია, წინასწარ სიგრძეზე წვრილად დაჭრილი ნაწლავისაგან უკეთებით.

ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ორი აღწერილობითგან ჩანს, რომ ძალებიანს, ანუ სიმებიან საყრავებს ჰქონიათ: თავი ტარი, კელი, ჩანა, ფერდა, ანუ ალყაპი, ყორაკი, ზიკიპინტი, ალყა, ფარდა და ძუა.

ჩანა, როგორც ეტყობა, საყრავის ის განიერი ნაწილი იყო, რომლის დანიშნულებას ხმისცემა და გაძლიერება შეადგენდა, რომელიც რეზონატორი იყო. კელი საყრავის იმ წვრილი, თავთან და ჩინასთან დაკავშირებული, ნაწილის სახელია, რომელზედაც დასწვრივ ძალები ან ღარები თუ ალყები გაბმული, ეს თუნდაც იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ სიბა-ს სიტყვა-

1 გურამიშვილი, დ., თხზულებათა სრული კრებული, გვ. 164, § 4.

2 ქანაშვილი, მ., ფრასდან გარეგანოე და მისი შრომათი, ტფ., 1896, გვ. 21.

3 ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

ს. ორბელიანის მოგზაურობითგან ჩანს, რომ მე-17—18 ს. ფარდა ანუ ფარდა ეწოდებოდა. თუმცა ეს ტერმინი მას ლექსიკონში შეტანილი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ნახშირია მისი მოგზაურობის აღწერილობა. მისი სიტყვით, ე. წ. „ზღვის საკრავს... ზღვ აღყაზედ (ამ შემთხვევაში, მას სადამე, ტარზე კი არა, არამედ თვით სიმზე) რვას ადგილას ქალაღის ნაშანი ეკრა, ფარდას მაგიერა“-ო¹.

ეს ტერმინივე ნახშირი აქვს იოანე ბატონიშვილსაც ოკის მუსიკის სახელმძღვანელოში: „ჩონგურსა აქვს ექვსი ფარდა, რომელნიც ყოველ დამკვრელს, „ოდეს დამყვება თითების თამაშობით და დაკვრით, მამინ, საიდამაც დაიწყებს, თვით აჩვენებს ერთმანერთს მიღწეებით ხმასა მალა და დალა და საშტალ“².

ამავე ავტორის ცნობით, ჩვეულებრივს ფარდებს ვარდა, რომელნიც სმის ხმას საგრძნობლად სცვლიდნენ, ხმის მცირედ შემცვლელი ფარდაც არა უბოდა თურმე, რომელსაც აგრეთვე თავისი საკუთარი სახელი ჰქონია. ამბობს იოანე ბატონიშვილი ამბობს: „ოდეს მცირედ შესცვლის ხმას, ამ ფარდას ეწოდება მინფარდა“-ო³.

ცხადია, რომ, რაც უფრო მეტი ფარდი ექმნება საკრავს, მით უფრო მეტი ხმის გამოღება შეუძლიან. ამიტომაც ზოგს საკრავს ექვს ფარდზე გაცილებით მეტი ჰქონდა. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ფარდების გადღობული რიცხვის მქონებელ ასეთ საკრავად მისდრთინდელს საქართველოში ჩანგური უფილა და ამიტომაც ისევე, როგორც ჩონგურზე, „აგრეთვე ჩანგურზედაც მოვალს ხმები და უკეთაცა, ამისთვის“, რომ „ამას მომატებით აქვს ფარდები“-ო⁴.

ასევე ექვსზე მეტი ფარდა ჰქონია, მეცნიერი ბატონიშვილის ცნობით, „ყიზილბაშურს ჩონგურსა, ჩართაისა და სანთურსა ზედა“, რომელთაც დაკვრის დროს „ექირვების“-ო⁵ დამატებითი „ფარდების ხმარება“-ო⁶.

ძალებიანი, თუ სიმეზიანი საკრავების ასაკურ რეგულად სხვადასხვა საშუალება არსებობდა. უმარტივესი ძალს თითო ჯერ ოდნავ, თუ მეტად გამოწევა და შემდეგ სწრაფად გაშვება იყო. ამას ძალთა მოზიდვა ეწოდებოდა. ქართულ შაჰნაშეში ნათქვამია: მანუ ჩარის ბურთობის დროს „ჩანგისა ძალთა მოზიდეს, იმღერდეს ვარდამცემელი“-ო⁷. ასე ძალთა მოზიდვით უკრავდენ ძველად ებანსა და ქარს, ეხლაკი ღირას.

ძალებიან საკრავთა ერთ ჯგუფს ასახსურებლად ძალებს, ანუ სიმებს ხელის თითებს, ანდა სავარცხლის კბილს ჩამოჰკრავდნენ და ეხლაც ჩამოჰკრავენ ხოლმე. ვისრამიანში ვირო რამინს ჩანგსაც-კი ძალთა მოზიდვით-ო⁸ არა, არამედ ჩამოკვრით აკვრევენებს. იქ აღნიშნულია, რომ ვიროზ უსს უთხრა: რამინს ჩანგისი და ძალების მეტი თავის საქურტულში რა გამინო

¹ მოგზაურობა, გვ. 63.

² საქ. ზეზ. ხ. № 2241 H, გვ. 12.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 15.

⁶ სიამიანი, ტ. 625.

ანდა ამის მეტი რა იცის, რომელ ჩანჯი მოხალის, ჩამოქცარი და ზედ დაწვლეროსო!

ძაღვების, ანუ სიმების ხელით, ანდა სავარცხლის კბილით ჩამოკვრას ვარდა, ზოგიერთს საკრავს სიმათა ახმურებისათვის ვანსაქუთრებო ვაკეთებელი დასარტყმელი ჰქონდა, რომელსაც ზრანდლად **შაქარუი პლანტრონი** და ლათინურად იგივე სიტყვა **plectrum**-ზე ეწოდებოდა ქართულად ასეთს დასარტყმელს ძალთსაცემელი პრქვეთა ეს ტერმინი იოანე პეტრიწს აქვს ნახმარი. ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისაჲს თავგანსი ნათქაამია: მეტყველების პროცესში აენასა და კორკსა ძალთსაცემლისა უხერხულს ადგილი“-ო², ე. ი. როგორც ძალთსაცემელი სიმებს ადევრებს და საკრავს ქმს ამოაღებინებს ხოლმე, ისევე ენა და ხორხი ადამიანის ევლპის ბერასა და ხმას გამოაღებინებს ხოლმეო.

§ 2. ხალხურ სიტყვიერებასა და ზეპირბაგმოვებაში დაცული ცნობები სპარავების შესახებ

უძველესსა და მე-17—18 ს. წერილობით ცნობებს ვარდა, სიმებიანი საკრავების ნაწილების ქართული ტერმინოლოგიის შესასწავლად საგულსხმო და სანტერესო ცნობები ხალხურ ლექსებსა და პროზაულს მონათხრობებშიც მოგვემოვება. ძველი საქრავების შეძლებისამებრ სრული ტერმინოლოგიის შედგენა მხოლოდ ამ სამი წყაროთგან ამოკრებულ მასალი შეიძლება, რათა ვინ თვითოეული მათგანი ცალ-ცალკე ამ საკითხისათვის საკმაო ცნობებს არ შეიძვეს.

ძაღვებიანი, თუ ლარ-სიმებიანი საკრავების ნაწილთა ქართული სახელებს გამოსარკვევად მაგალითად ერთი იმერული და ერთი ზვესურული ხალხური ლექსი არის საყურადღებო:

„**ჩოხვური, ჩემო ჩონგური**
ჩონგური ჩემო ხისაო—
თავთ ტანო გაქვს ბჭოლისა
ტარი გაგია მხლისაო“

• შევთაზე წელაწილ-დილასა იმთო ჩოხვურის ველაო“³.

და **არაყეშვილს** ძაღვებიანი საკრავების ნაწილების ხალხში ვარგონლ ქართულ სახელთაგან აღნიშნული აქვს მხოლოდ **ტარი**, **მუცელი**, **ჩხირი**, (**ჩხიხი**?) **ჭორი**, ანუ **ქალი** (მოხვევებში), **სამო**, **აღუა** (მთიულეებში), **ძალი** (მოხვევებში) და **ლარი** (ქართლ-კახეთში). ვეჩიასა და სამეგრელოში **ლარი** აბრეშუმისას ჰქვიათ. ამას ვარდა იქ ქუის **ლარიც** არსებობს. საკრავის ტარზე **ფარღემაო** და აქვთგან ამის ნაწარმოები **სამფარდიანი** და **ოთხფარდიანის** სახელებიცაო⁴.

¹ ვარამიანი, გვ. 124.

² ნემესიოს გმეცელი, ბუნებისათვის კაცისა, გვ. 93-94-95.

³ ხალხური პოეზია, გვ. 235.

⁴ შინიძე, ა., ქართული ხალხური პოეზია, I. ზვესურული, გვ. 177.

⁵ Арахчиев, Д. [=ე. არაქიშვილი], Народная музыка Западной Грузии, გვ. 154.

§ 3. ძალბიანი საკრავის უმეზადების წესი და ტექნიკა

ცხადია, რომ ზემომოყვანილი ტერმინებით ქართული საკრავების ყველა ნაწილების სახელდება ვერ შესძლებს ადამიანი, ჩვენ კი ამ დარგისათვის შეძლებისამებრ სრული ტერმინოლოგია ვეჭირდება. მარტო დამკვრელთა მოკითხვით საკრავის ყველა ძველ სახელების გაგება ძნელია, ამისათვის მხოლოდ მესაკრავეთა მონათხრობი გამოდგება სხვადასხვა საკრავების შემხადებ-გამართვასზე: მუშაობის ილწერის დროს მესაკრავე ხელოსანს თავისდათავად მოაგონდება ყველაფერი, რაც საკრავის მთლიანად და მისი ნაწილების გაკეთებასთან არის დაკავშირებული და რასაც სხვა დროს ადამიანი ვერ გიგონებს, მართლაც, 1935 წ. ზაფხულს ასეთი დავალებით საქართველოს სკადასხვა თემებში ჩაწერილს ცნობებში არა ერთი საყურადღებო ტერმინი აღმოჩნდა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება.

მაგ. ს. ახიელის მცხოვრები ბახა ოჩიაურის სიტყვით, ხევსურულში საფანდურე ხეს „უფრო მზის პირში, ანუ საქარეს გორაზე“ სჭრიან და ჩვეულებრივ საკრავის გასაკეთებლად ირჩევენ „იმ ვვერდს ხისას, რომელსაც ან ქარი სცემს, ან მზე ადგუბის უფრო“.

ზემოდასახელებული პირისა და ბიბუტა წიკლაურის ცნობებითგან ჩანს, რომ ფანდურისა და ქიანურის ნაწილებს ხეისურეთში სათავე, ყელი, მუცელი, გული, თითები, ანუ ჩხარები, ვაცო, ღვედის ამოსაყვანი და ღვედი ეწოდება ჭიანურს ამას გარდა მშვილდიც აქვს, რომლითაც ამ საკრავის ღარებს ააქდურებენ ხოლმე.

თითები სათავე შია მოთავსებული. იმ მოთვის განკუთვნილს ჩხვრეტებში, რომელთაც სათითები ეწოდება. რა თქმა უნდა, ორსვე საკრავს აქვს ძალები (ფანდურს), ანუ ღარები (ქიანურს). თვითიველ ძალს რომ თავისი უცვლელი ადგილი ჰქონდეს, ამიტომ „ფანდურს აქვს ღარების ჩასაჭდომი სამკან (sic) დაჭდეული გალი, რაშიაც ღარები ცალცალკე ჩანსდების“.

ფანდურის ყელს გაყრილი აქვს მალიკები, რომელზედაც დაკვრის დროს „თითებს უცვლიან“.

ფანდურის გაკეთებას ბახა ოჩიაური ასე ვვიამბობს: საფანდურე ხეს რომ მოსჭრიან, იქითგან საკრავის გამოსაყვანად ამ ხის იმ მხარეს ირჩევენ რომელიც მზისკენ იყო მიქცეული. ანდა უკიდურეს შემთხვევაში, საითგანც ქარი სცემდა, ხის ამ ნაწილს ჯერ „დააკოპიტებენ“, შემდეგ კი სახლში „მასდებენ ახსაყარზედა, გამაშრობენ“. იქ მერმე გამოშროალს ამოთხრობიან ერთი, გააღამაზებენ გულში ხვეწით“ შიგნითგან, გარეთგანც დანით.

ამავე დროს სათაურსა და ყელს გაუკეთებენ, შემდეგ კი „დაჭვრეტენ სამს სათითებს ყელში შალაფით“ (ე. ი. ბურლით) და შიგ „გაშინდებენ სამს თითს ძალების“ შესაბამელად. მუცლის დრუ რომ ამოჭრილ ამოხვეწილია, მის დასაფარავად „გასთლიან თხელს ფიჭვის ფიჭარსა და დააკვრენ გულად“. ალბათ წინასწარ ამ „გულს დახვერეტენ“ მ-

1 მასალები.

ხერხული რყინით, რომელსაც ს. აწთავა ეწოდება ფანდურს აქვს „მოლოში კარგული“ ღვედის ამასაყვანო, საკრავს სწორედ „მოლოში გარდაველი“ აქვს ღვედო. ამ ღვედზედ შებმულია (გამბულია) რგოლი (საქრავოლო), რომელზედაც თავიანთი ბოლოებით დამაგრებულია „მალე პი“, მათი თავები თითებზეა შებმული. ძაღვი რომ ენამანერაზე ვრისა და მამვე მინძილზე იყენენ დამოთებული; ფანდურის მისათვის ღარებების ს. აქვს სამგან დამტეული.

ხევესტრული ფანდურის ძაღვი: მარტოვად კვლავა ღარებს ავთი-ტენ, ამ ღვედისას, ან ნაწლევეებისას, სხელდობს მწირობის ღვედს დახევენა და დაღვრებიან. ნაწლევეს დაღვრების დაღვრებენა, და გაახმოებენ. ბერი ირადურს სწორდება: „მზა პი“.

თუ ბახა რიიურს დიფუჯობით ასობე ფანდურისას ამას ხომია, რა ქელიც ვის უნდა; ისეთს გააკეთებინა, უ. ი. ფანდურს ვარკველო სლო-ჟი არა აქვს, არამედ ვამყუებლის სურვილზეა დამოკიდებული უნდა დღის გაკეთებს, თუ არა და პატარა ხომისას.

ს. ამოაშის მცხოვრები. ნაწ. ბახუტა წიკლეურის სიტყვით. ჰი-ანური წინათ ხევესტრებს არ. მქონით, არმედ დილვედოვან შეუთვინებოთ რიგობაც თვით საკრავი, ისევე მისი დავრავა. ჰიანური კვესტრით არ ეო-ღღს გაკეთებს, თუ არა და პატარა ხომისას.

ფლ წინწინ, მატანილი ღიღლით ჰიანურის კვებობაც და დავრავობა.

ჰიანურის მუცელს აკეთებენ ხის ჰერქლოსაგან და ანდა ივანს ქელი დილვედარ ჯამო, ან კოფაის (უ. ი. წელის ხის ჰერქლოს) გაფანქარით, მწირობის მძალითვან გაკეთებულს ჰიანურის მუცელს აკვლ-ა-ღ-დაფარებული აქვს ან ცხერის ფაში, ან გახმოებულს ცხერის გაღვერდილი თხელი ტყავი, რომელსაც „დაიკურნ წეღის“. ამ ჰიანურის მუცელს გაფანქარო (უ. ი. საგლეხლო, ხამხლო) აქვს ჰიანურის ყელი. რომელსაც მიმრგვალებულ „სათავეში“ ვაჭ-რილო აქვს „სამი ხის თითი“. ამ ხის თითებზე შებმულია ამ საკრავის „მუის ღარები“, რომელიც „მოლოში“ ღვედზეა დამაგრებული. ფანდურის მსგავსად, ჰიანურის „მუის ღარები“ ვაცხება გაფანქარო.

ამ საკრავის მსაფურერებლად იმარება „შვილდის“. რომელიც „ნახვარ ფლს სიგრბი“ აქვს და „ზედ მუი“ აქვს გამბული (გამბულია) მუვილ-დის საბამივიით. ჰიანურის შვილდის ჰემ რომ საკრავის ღარები უფ-რო ყარვად ახმაუროს, ამისთვის დამკვრელს „ფიქვის შიქო“, უ. ი. ფი-ვის წიბო აქვს. ჯერ „შვილდის მუის შიქის მუი“ ვაჭ-რავო, ხო-ლო შემდეგ „შოტიანს შვილდის წაუხმენ ღარებს“ და საკრავს ამბურდობა. ვინც სიმებთან-შვილდთან საკრავების ხმობება იღოს, ის უამ-ბიხვედრილი იქნება, რომ შოტი კარგოლს ქართული სახელია.

ჰიანურს ხევესტრეთში „მართავენ ფანდურივით“.

- 1 მისი ღვბი: იღვესი რიიურის ხანწერი
- 2 იქვეა.
- 3 იქვეა.
- 4 მისი ღვბი: ბახუტა წიკლეურის ცხელი.
- 5 იქვეა.
- 6 იქვეა.
- 7 იქვეა.

ორავის ხეობაში შეკრებილი ცნობებით, ფანდურის ნაწილებს „მუცელი, გული, ყელი, საქცევები და ჩხირები (ალვის დასაქიმავი)“ ეწოდება და ზედ „აღყები, ანუ ღარები“ აქვს აწყობილი¹.

გაბო ინაშვილის სიტყვით-კი, ფანდურსა და ჩონგურს აქვს მუცელი და ტირი, რომელთაგან მუცელში შუიში „უნდა ამოქრის საკვრეთლითა“ და შემდეგ მოსუფთავდეს, შემოთგინ-კი უკვე „სხვა გულად ექვტრება“: რაკი საყრავის მუცელი გამოღრუვებულია, მას ქაღალდშიც აქვს, შემდეგ „სახიბრები დახვრიტება“ და „ბეჭებშია ღარები“, სახელდობრ „სამი ღარი“, ფანდურსა და ჩონგურს ლიწობისასხმელად მუცლის „ბოლოში გაუკეთდება ვამოსაბმელი, რომელსაც განსაყურებელი სახელიც აქვს და „ქორას“ უწოდებენ, ასაკრავის თავში-კი ღარების დასამაგრებლად და დასაქიმავად ძეგვი, როგორც მომართვისათვის, „ჩხირები აქვს“. ცხადია, რომ ჩხირები დახვრიტულ სახიბრებშია ჩასმული „გულს“, რომელიც ზევითგან დაკრული ძველ ფიცრია, „აქვს ნახვრეტი“, ტარზე-კი საყრავს „გაუკეთდება საქცევოსულ“ ფანდურს აქვს 5-7-მდე საქცევები².

გ. ფანდურის ცნობა ზემომოყვანილზე უფრო გაურკვეველია, მაგრამ რაკი აქაც ზოგიერთი სხვაგან მოუხსენებ ტერმინები გვხვდება, ამიტომ ასე საყურადღებოა და აქვე მომყავს. ლიწობისა და სიმების მაგიერ, მას ძველ ტერმინი ძაღვები აქვს ყველგან ნახვარი. ჩონგურის ნაწილებს სახელებად მას აღნიშნული აქვს: „დასაქცევი ძაღვები, ძაღვის ვამოსაბმელი, ზემოდან— გული და გულზე ძაღვების ქალი, ძაღვის ბოლოზე იყო კიდი, ქვემოთ მუცელი და თავში დასაქირება ძაღვები, სამწუხაროდ ამ სახელების რეალური მნიშვნელობა მას განმარტებულ არა აქვს, კიდის ვარდა, მაგრამ აქაც სხვადასხვა განმარტებითი მხრით ნათქვამია, რომ კიდი ბატის ფრთის რქოვანი ნივთიერებისგან გაკეთებული ნაწილია, რომელიც „ძაღვებთან ორივე ბოლოებში ჩონგურის გულშია ჩარჭობილი“ იმ მიზნით, „რომ სიმებიანი ქვიშ მოექცეოდან“ და ამის წყალობით „ძალი აღარ ითამაშებდნ დაკვრის დროსათ, შეორე მხრით, იმავე მომთხრობელის სიტყვით, „ჩონგურს გულქვეშ 2 კიდი ჰქონდა, რომ გული არ დაჩხეკილიყო“³.

ერწოთიანეთის ს. ჯაბანიანის, ანუ გლუზაურების მცხოვრებს 27 წლამდე მოკავშირეს იოს, მჭედლიშვილისათვის ჩონგურის აგებულება ასე აღწერია: „ჩონგურს სამი ნაწილი აქვს: თავი, გული და მუცელი. ვატი ცალკეა. ჩონგურის ყელზე ხმის მისამართ-მოსაბრუნსა ქვიან საქცევები. ზედ ვამებულია ღარები. ღარები ფშვება და ეშვება ჩონგურის ჩხირებით. ღარებს მუცელთან, ქვეშ უდგა ვატი“⁴.

¹ მასალები ვრ. ზეიურის მონახობი, ვახ. ქაფარიძის ჩანაწერი.
² მასალები: ვახო ანაშვილის მონახობი, ვახ. ქაფარიძის ჩანაწერი.
³ იქვე.
⁴ მასალები: გ. მდურის ცნობა, ვახ. ქაფარიძის ჩანაწერი.

ქისტურ ფანდურს ამახუ მეტეი, ხოლო ქართლ-კახურს დავით ქისტურზე უფრო მეტი საქცევა მოეპოვებაო.

ბუმათელი (მოგნით კახეთი) ნიკო დავითნიძის აღწერა ლობა ჩონგურის გაკეთების შესახებ ზოგიერთს ახალ ცნობებს შეიცავს და ამიტომაც საყურადღებოა. მისი სიტყვით, საჩონგურად შესაფერისი „ხე უნდა იარჩეს“ და „რომელიც სუფთა ადგილი აქ ხეს, გამოსჭირან ზომამზე, ისე რომ ზომა იქნებოდა არშინანი, ბევრით არც მეტი და არც ნაკლები ერთმანეთზე გასთლოდენ ჯერ სხვილათ, შემდეგ მოხაზადენ, რამოდოლაც უნდა გულ-ამოსჭროდა, და შემდეგ სატეხით ამოვჭრიდით ამოხაზულ ვულს, სამკოფი მოჭრის შემდეგ გაასუფთაებენ გარედან, გაუთხებლებენ კანს განსაკუთრებული იარაღით, როგორც კოვში, ეგეთი მოკატეული რკინა უნდა და რომელსაც „ვეძახდით ჩვენ ხქუტსა“. ამ იარაღს „მჭედლები აკეთებდნენ“-ო.

ამ საკრავის გულის ამოჭრა-გამოსუფთავების შემდეგ, რა თქმა უნდა ყველსაც ზომამზე დაუყენებდნენ: როგორც თითები უნდა შამოსწდომოდა იმ სოიწროვეზე დაყენებდნენ“ ამისათვისაც თავისი იარაღი ყოფილა „ხელკიდე... საგაზეებს ვეძახოდით და იმით გაუსუფთაებდით ხოლმე“-ო.

ასეც გამოყვანილს საკრავს მაინც გარეთგან კიდევ მოსუფთაებდა სჭრებოდა, ამიტომაც „მერმე დანით გაუსუფთაებდით ხოლმე გარედან: მაშინ შემე არ იყო და დანითა ვფხეკადით, — ეხლა შუშითა მჭებკამენ“-ო.

რაკი საკრავს უნდა ლარები აბზოდა, ამისათვის მას შესაფერისი დეგილიცა და მოწყობილობაც ჰქონდა: „დაუჩვერტამდნენ ცელში საღარეებს საჩხირებს, იმაზე ებმებოდა ლარები. სადაც ჩხირები უნდა დევეთოს, აქ უნდა იყოს მორგვალებული ყელი“-ო.

ცნადა, რომ ჩონგურის მუცლის ამოფოსოვებული გული უნდა დაფარული ყოფილიყო. ჰფარავდენ ფიცრით. მაგრამ ამ საკრავს „მუცელს“ რომ ფიცარი აქ, წინდის ჩხირს გავახერებდით და იმ ფიცარს იმით ჩავწოდდით, ჩავხვერტამდით ხოლმე: თუ ეს არ ჩევერტიტა, იმას (საკრავს) ხმა არ ექნება, მაშინ უფრო ხშირად იყო სამოთხი ნაჩვერტი; ხოლო მაშინ დიდი ნაჩვერტები ჰქონდა. ეხლა ბევრი ნაჩვერტები აქ და წერილ ეხე რომ ექვსამდინა აქ, უფრო შუა ადგილას უნდა ჰქონდეს ნაჩვერტიც, სადაც თითები მუშაობს, იმ ალაგას საყენებელს ვეძახოდით, კიდე ჯორს, იმას უჭირავს ლარები. უკან კიდე კუდივით რომ აქ, ლარების მოსდები“-ო.

86 წ. მოხუცი იყალთოელი აღექსი სამხარაული ამბობს, რომ ჩონგურს საწველე ჰქონდა: ჩვენ წინათ „საწველეს ვეძახდით, იმას გო უკეთებთ, იმახე დავკიმიავთ ლარებსაც და დაუქრამს. თუ ამ საწველე არა აქ, ვერ დაწყნარდება, არ დაუქრამს. მწყემსებმა რომ იციან და იმას ჯორს ეძახიან, ჯორივით გადაეკიდებთ ლარებსო“.

1 მასალები.
2 მასალები ნ. დავითნიძის ცნობა, ლ. ბოჭორიშვილის ჩანაწერი.
3 იქვე.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.
7 იქვე.

ნიკო დავითნიძეს ჩონგურის გამართვის შემდეგ ამხარტის მოპოვება: ჩონგურს, გაცეთების შემდგომ, აქირ ღარს უბნით შეიწობდნენ დასაყრავად და სავაითობები შეეწყობოდა იქ დუქობდნენ ხიდებს და გაუკეთებდით ამ ხიდებს აქამ ხიდებს პირველ უწინი დედო ჩონგურსა რადგან ორი ღარი ქონდა პეტრელი ყელი ორს ქონდა: როგორც ორი ღარი მოპოვებოდა რაჭოთა ყელი ქონდა, როგორც ეს ღარი ღარი აღმოაჩინა იგი ორი ღარი იყო ახლო-ახლო დაყენებულაო!

ქიზიყელი მჭრანგურების სიტყვით ჩონგურს ასე ყვებიან „ჩონგურე ხე მოჭრება, რა ხომისე ვიხსნა ჩონგური ვაილით ცლით, ვაგაკობიტებთ. გამოვსახამო ჩონგურს, თნაონ გავსუფთავებთ. მუცელს გულს გამოვლებთ სავაით, სჭრათით, ჩქვით. უკლი გუწვირლდება, თაგი ვუბტავლუბა ჩონგურს ძირე პეტრა თითვით კობიტს დაფლებთ ძალები, მოსამყულა მუცელ ზე ფოცარს დაყარამთ. სჯობია იმავე ხის, რისეე ჩონგურს ვაილით ფიარს სავაითი უნდა დაუყენოთ, ამის წინ ვიხსნა რამოვინის წერილს ვუბტავლუბთ, რა კმა მისცეს, დანის წყვით ვჭრავლუბა ჩონგურსაოო“.

რაც ჩონგურს ამჟღად აქვს, ამას ქიზიყელი ძალი ვჭრავლუბა კახეთ შიკი ჩონგურის იმავე ყუთვნილუბს ღარი ქვიანაო.

ქიზიყეა და კახეთისავენი ჩონგურს ჩონგურს სავაითი ანუ ღარი აბია, ძველიადაი, როგორც ნიკო დავითნიძის შემოწავნილი ცნობითგანაც ჩანს, კახეთში უჭრარ ობიქალაანი, ანუ ღარიანი ჩონგურები ყოფილა გვერდებულაო.

სოლ. ანდრეულიძისაგან ჩწერილი აქქსანტი. ვასილისძე შეგვრელიძის ცნობით, გურიაში „აღეს ჩვენამის მაღლია მთლოდ ჩონგურშია, დავლამ და დიარამ. გამოვინა, რომ ჩვენნი ვოფილა სავაითი საღამური, სოინარი და ქვიანური“.

ამათგან „ჩონგური ყვოდება ბეოლის (თეთის) ხის მასალიდან მხოლოდ ახლილი ბეოლის ტყეჩს შეყრავენ წებოთა სავაითოდ დამზადებულს ჩონგურის ფორმის კალამიტზე და, როცა გაჩება, ზედ დაგებენ ტარს“. ამ საყრავის გაცეთების დროს „ხმარობენ და მანას და ვიდ და მანას. დამნას ხმარობენ ტყეჩის სახდელად. დანასჟი ვასწუმენდაო ტარისა და სხვა ნაწილებისას“. ჩონგურის ნაწილებს ეწოდება ტარა გული ტარო ბრტყელთა ვიანი ჩხირები, ქორა და სხვა ძაფი, ანუ ძაფი ჩონგურს უკეთებენ ორ ქორას: „მადალს და დამალს“. ერთი მათგანი, მაღალი, იხმარება ჩონგურის გულზე და სწორედ ამაზე ეწყობა აბრეშუმის დეგრებილი ძაფი, შეიძუ. კო (დამალ) ჩამაგრებულია ჩონგურის ტარის ბოლოზე (ფრო სწორედ რომ ითქვას, თუბ) იმავე ძაფების დასალავებლად. თვითველ სემის („მადის“) თავი ჩამავრ-

1 მასალიდან: ლ. პიჭორიშვილის ჩონგური.
 2 მასალიდან: სტ. მენთეშვილის ჩონგური.
 3 ქვიანა.
 4 ქვიანა.
 5 მასალიდან: ავტ. შეგვრელიძის ცნობა, სოლ. ანდრეულიძის ჩონგური.

ბულია ბრტყელთაიანი ჩხირის ბოლოზე და ჩონგურის ტარის ზედა ნაწილის ხერტილში ჩარჭობილია („ამასაც ჯიბას ეძახიან“-ო). ამით ჩონგურს შიშიართება დასაყრავად“-ო!

აჭარაში ლარებიანი, ანუ, როგორც იქ უწოდებენ, ძაფებიანი საკრავის ნაწილებს ჰქვიან კოდო მუცლის მნიშვნელობით, სახურავი კოდის ზედპირის სახელად, ტარი და ჩივო.

ძაღებიანი საკრავების გასაყეთებლად საუკეთესოდ მიჩნეული მასალაა და შემზადების საშუალებათა შესახებ ცნობები უძველესი ხანის ქართულ გამოკვლევებულ ძეგლებში არა ჩანს. სამაგიეროდ ჩვენი ქართული, ხალხური სიტყვიერება ზოგიერთს საყურადღებო საკითხს გვიშუქებს და გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. რა თქმა უნდა, ხალხურ ლექსებში მხოლოდ ხალხში გავრცელებულ საკრავებზეა ნათქვამი, სახელობრ ფანდურისი და ჩონგურზე. ამიტომაც ამავე საკითხების სხვა საკრავების შესახებ გამორკვევისათვის თვით ამ საკრავების შესწავლის გარდა არავითარი სხვა მასალა არა გვაქვს. მაგრამ ფანდურისა და ჩონგურისათვის საუკეთესოდ მიჩნეული მასალის ცოდნა, დანარჩენი საკრავებისათვისაც გამოგვიდგება და ყველი ამის გამო ქვემოთმოყვანილს ხალხურ ლექსებს ჩვენი დასახული მიზნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩონგურის შემზადებისა და ხის მასალის შესახებ საყურადღებო ცნობები შემდეგ ხალხურ ლექსებში მოგვეპოვება. ერთს მათგანში ნათქვამია:

დაჯარ, ჩემო ჩონგურო, შე თუთა წმინდა ხისაო,
ბაბ ჩემისა გათლადო, ბებია ჩემს ხნისაო.

ს. შერვაშიძისთვის ჩაწერილი ლექსის უსინათლო წარმომტქმელიც ასევე ამბობს:

დაჯარ, ჩემო ჩონგურო,
თუთა წმინდა ხისა,
ლექსებით გეტყვი სძლერას,
ხმა გაქვს ლარებისა-ო!

მაგრამ ფანდურის მართლ თუთის ხისაგან არაყეთებენ, არამედ ბალის ხისაგანაო. ეს შემდეგი ხეცსურული ლექსითგანაც ჩანს:

დაჯარ, ჩემო ფანდურო, გამოთხრილი ხარ ბალისა.

მართალია, ბალი ფანდურის გასაყეთებლად ხის კარგ მასალად ითვლება, მაგრამ ამ მიზნისათვის დეიაც ბალს თურმე არაფრით ჩამოუვარდებოდა. ხანგრძლივს გამოცდილებაზე დამყარებული ეს ხალხური რწმენა შემდეგს ლექსშია აღბეჭდილი:

დაჯარ და დაჯარ, ფანდურო,
კარგა მამლიე ბანია.

1 ნასსაღები: იქვე შერვაშიძის ცნობა, სოლ. ანდრეასის ჩანაწერი.

2 ს.ტ. შერვაშიძის შუალის ჩანაწერი, 1934 წ.

3 ხალხური.

4 იქვე, 33 ვ.

5 შერვაშიძე, ... ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 275, § 676.

შეგამოთხარა ღვიძის
ვერ დაგაპარბებს ბაღას.

მთლიანად ერთი ხისაგან გაკეთებულს ფანდურსა და ჩინგურს ვაძლავ,
სხვადასხვა ხისაგან გამოთლილი ნაწილებსაგან
შემზადებაც სცოდნიათ. ამას ქვემოთყვანილი ამბერულა ეძახის
მტკიცებს:

ჩინგური, ჩემო ჩინგური,
ჩინგური ჩემო ხისაო,
ბაბუას ჩემის მოტრიალა,
ბებია-ჩემის ხნი საო,
თავი ტანი ვაქვს ბეჯოლსა,
ტარი ვაგვა მსხლისაო,
წავიღებ დარბაისლებთან,
ვაგვაწვივებ ღვინოსა.

ხევსურეთში საფანდურე ხედ დგნაღს, იფანს და ღვიძის
სულთან, მაგრამ ამათგან საუკეთესოდ სწორედ ღვიძის ითვლება.

შიგნით კახეთში, ბეშათელი ნოკო დავითანძის ცნობით,
საჩინგურე ხედ „უკეთესი იყო ფურცელთა ფურცელს ჩინგურს სანაწებო
ყო მამინ, ცაცხვისაც ითლებოდა, ვერხვისაცაო“.

იყოთოელი მნ წ. მოხუცი სამხარაული ალექსი ვაიკისძე-ვაი
ამბობს: „ჩინგური, თუნდა ცაცხვისა იყოს, შეიძლება, — მაგრამ იფანს ხე
უკეთესა სჯობია საჩინგურეთა“.

ქიზიყელი მერანგურეების აზრით, საჩინგურე ხედ — ცაცხვი
და უთხოვარი ყველასა სჯობია. სუბუქი ხე უნდა ჩინგურს ვერხვო
წინარი, ღვიძი, ფურცელიც (ე. ი. იფანს ხე), კარგია“.

თუმცა ვაბო ინაშვილი ამტკიცებს, რომ „ფანდურად ვერხვი
„თლდება“, რათგან ფანდურად „სხვა ხე არ გამოვაო: სუფობა კიდევაც და
სააღლელადაც ვერხვი უფრო რბილიაო, მაგრამ გ ბუქაურს პირიქით აღი-
წერო აქვს, რომ „ფანდური კეთდება ვერხვის, ბაღის, იფანის,
ცაცხვის და მურყანაძის“, რომელთაგან უკანასკნელი „უკეთეს სჯო-
ბიაო“ ვ. შადურცი ამბობს, რომ „ჩინგური კეთდება ვერხვის, ღვი-
ძისა კაკლის და ფიჭვისა“, მხოლოდ უკანასკნელი უკეთესად
სწორმარღვიანი უნდა იყოს“.

ძალბიანი საკრავი ჩვეულებრივ ხისა კეთდებოდა და მხოლოდ სავანის,
სულეთში, ხალხის წარმოდგენით, მჭროს ჩინგურს ეყრდნენ ხოლმე:

სულეთს შევიდა ჩიკია,
დაუღვას მჭროს სკამი,
ხელს მისცეს მჭროს ჩინგურს,
ვაღმოდის მამუშარაჲ,

- 1. ვინაჲცა, ქართული ხალხური ჰუმორი, I, ტფილისი.
- 2. ხალხური.
- 3. მასალები: ლ. ბოჭორიშვილის მანაწერი.
- 4. იქვე.
- 5. მასალები: სტ. მენთეშაშელის მანაწერი.
- 6. მასალები: ვახ. ვაფანძის მანაწერი.
- 7. ხევსურული, ხალხური.

ნათქვამია ხევსურულს ლექსში, მაგრამ იქ ხალხის ფანტაზიას ყველაფერი ძვირფასი ეგულვებოდა და რჩეულთათვის განკუთვნილი თვით სკამიც კი ოქროსით.

ქართული ხალხური სიტყვიერებითგანა და ზემოთ გარდმოცემითგან ამოღებული ცნობებით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ბარად ჩონგურის გასაკეთებლად საუკეთესო ხის მასალად ბეოლის, ანუ თუთის ხე, ფურცლადაც სახელდებულ ყოფილა მიჩნეული, ხოლო მთიანეთში ფანდურისათვის საქებურ მასალად ბალსა და ღვიას სთვლიდნენ, რომელთაც შეფანდურება დაკვირვებით ერთნაირი ღირსება ჰქონიათ. იმერულ ლექსითგან ჩანს, რომ ბეოლის, ანუ თუთის ხე დასავლეთ საქართველოშიც ჩონგურისათვის საუკეთესო მასალად ყოფილა ცნობილი, უმაჯრესად ამ საკრავის ტანის, ანუ მუცლისათვის.

როდესაც ჩონგურს მთლიანად ხისგან-კი არა, არამედ ცალკეაღვე ნაწილებისაგან აკეთებენ, მაშინ ჩონგურის ტარისათვის კარგ მასალად მსხლის ხე იყო მიჩნეული, იმერეთში მაინც.

საგულისხმოა, რომ ზემომოყვანილს ხალხურ ლექსებში ირავრთხელ საკრავის, ფანდურისა, თუ ჩონგურის, საპატოო ხნაერებაც არის ხოლმე მის საქებურ მასალასთან ერთად დასახელებული, მაგ.: „პაპი ჩემისა გათლილო, ბებია ჩემის ხნისაო“, ანდა „ბაბუას ჩემის მოჭრილო, ბებია ჩემის ხნისაო“, ან კიდევ „ბებერო ჩემო ფანდურო“. საფიქრლოა, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს ვირემოება, არამედ ეგონებ იმის მტკიცებელია, რომ შეფანდურებებს და შეჩონგურებებს შემქმნელი ჰქონიათ, თუ რამდენად უფრო სჯობდა ძველი საკრავის ხმა ახლისას, თუნდაც რომ ნაკეთობითაცა და მასალაში შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილიყო.

იმას გარდა, როგორც თავის ადგილას მოყვანილი ზემო-გარდმოცემით ირკვევა, საკრავის გასაკეთებლად ხის მოჭრის დროს მხის აქენ ანუ ქარისაკენ მიბრუნებულ მხარეს რჩეობდნენ.

თუ საკრავები საქართველოში უფრო ხშირად შეუღებავი ვახუშტის ანა ერთხელ შეუღებიათ კიდევაც. აი მაგ., რას ამბობს ერთი მერხვარე თავის საკრავზე. „შევღებე წელწად-დიღასა ინიო ჩონგურის ყელია“. აქ ჩონგურის მხოლოდ ყელის შეღებვაზეა საუბარი. საქართველოს მუზეუმში დაცულია მთლიანად შეღებილებიც, საყურადღებოა რომ საღებავად იმა უხმარიათ ისევე, როგორც შეღდ-ღირის შეღებავად ღვინად ინიო სცოდნიათ ჩვენში.

ფანდურსა და ჩონგურს ჩვეულებრივი იარაღებითაც აკეთებენ, მაგ. კანო ინაშვილი ამბობს: ფანდური ჯერ „ცულოთ არის გაკომიტებული, შემდეგ დანა გასუფთავდება“, მუცლის ღრუ-კი „უნდა ამიჭრას საჭერეთლითა“-ო. პირველად ამ საკრავებს გასათლელ იარაღად გ. ბეჭაურიც ცულს ასახელებს. მაგრამ ამ უკანასკნელის ცნობითგან ირკვევა, რომ მუცლის კედლების გამო სათხელვებლად და გასწორება-გამოსუფთავებისათვის განსაკუთრებულ „აბაღიც“ ჰქონიათ. ბეჭაური ამბობს: ცულით ვათლის შემდგომ, „ეჩიოთ და

სუფიქტით მოათხვლებენ და გასწორებენ¹. ო. გ. შაღურაძე აღსატყობს, რომ, როდესაც «გულს სატყეობთ ამოიღებენ», მერამე უკვე ამოიღუფთავენ² და დანით და ჩიფქით³ ააო⁴.

ძაღუების ანუ ლარების გასაკეთებლად წარლდება სპინდლის ნაწლავებსა ხმარობდენ. გაბო - ნაშვილი ამბობს, რომ «ღაღუებს ცხვრის ნაწლავებისაგან ყეთებენ⁵. ო. შავრამ ფაღ ჩოხელი და გ. ბექაური ამტკიცებენ, რომ «ხოხვრის სიმბოთ ცხვრის, ან ხის ნაწლავებს უყეთებენ» (ფ. ჩ.). «ალეები კეთდება ცხვრის, ან ხის ნაწლავისაგან⁶ - ო. (გ. შ.). ამასთანავე ფ. ჩოხელის მოწმობით «თხისა უკეთესია⁷». გ. შაღურაძე აღნიშნული აქვს, რომ «ძღუდ თხის, ან ჭიხვის ნაწლავს უყენებდენ⁸ - ო⁹.

ძაღუების, ანუ ლარებისათვის არჩეულ ნაწლავებს ჯერ ვარცხებენ, მერე მწკალით ან ბექის ძვლით დახვეწიან¹⁰ და გააშრობენ¹¹ - ო (გაბო - ნაშვილი). ზოგნი უფრო მარტივი საშუალებითაც მხოფდენ «ბრჩხილუხით დახვეწდენ» (ფ. ჩოხელი). «ბრჩხილუხით ვაფხკედენ სუფთად¹² - ო (გ. შაღური). დახვეწისა და 1 $\frac{1}{2}$ - 2 საათის განმავლობაში გააშრობს შემდგომ, «დაგრეხდენ კავის საშუალებით და გააშრობდენ¹³ - ო (ფ. ჩოხელი). ძაღვის შემზადების ეს უკანასკნელი ნაწილ უფრო დწეობილბით გ. შაღურს აქვს აღწერილი, რომლის ცხობითაც დახვეწილს მკობრიბილს ნაწლავს «ბოლოში რკინას მოაბამდენ და რკინის ტრიბლის საშუალებით დაგრეხდენ წვრილით. რიცა კარგად დაიგრიხებოდა ნაწლავი, მერე ბოლოში ნალს მოაბამდენ და ჩამოკიდებდენ რამე სიმაღლეზე¹⁴ - ო¹⁵.

საეულისხმობა, რომ «შეუმჩნევიათ თურმე, რომ ზოგჯერ ძაღუები, ოფლიანი თითების, ან ნისლიანი ამინდის გამო, დაყრუვდებოდენ¹⁶ ხოლმე. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დაყრუვებულს ძაღუებს ნიორს ვუესვამდენ და ისევე ხმას გამოიღებდა¹⁷ - ო¹⁸.

ძაღუებიანი საქრავების დამკერულს კარგად ესმოდა, რომ საქრავისაგან გამოღებული ხმის სიივ-კარგე ძაღუების ღირსებაზეც იყო დამოკიდებული. ეს ერთს ხევსურულ ლექსში არის აღნიშნული: «ფანდური კარგა იმახებს, თუ ძაღნი შეუკდებოინ¹⁹, თუ შესაფერისად კარგი ძაღნი შეუხდებოდენ, მამინ ფანდურიც საამურად ხმაურდებოდა.

მავრამ კარგი ძაღი, თუ ლარი, ვინდა ალუა უოკულოვის ხომ ერთნაირად არ იფლერდა: მით სიახლესა და ნახმარობასიძველუზეც ბერი რამე იყო და მოყადებულთ. უმკველია, რომ ახალს უფრო წვრილა ხმა ეწნებოდა. და ეს გარემოება არა ერთ ხევსურულ ლექსშია გამომეღავენებული: «ჩემო ბებერი ფანდური, ჩაგიდევ ახალ ძაღლით²⁰.

¹ მასაღუებო ვახ. ჭაფიჭიძის ჩანაწერი.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე. გ. შაღურის ცნობა.

⁵ შინიძე, ა... ქართული ხალხური მოყბა. I. ხაბურჯი. 21. 278. § 667.

⁶ იქვე. გვ. 217 § 536.

მეტომევე, რომ მოშიარე თავისს საკრავს ეუბნება:

„დაჯიკრავ, ჩემო ფანდურო, ახლებს ჩავიდებ ლარებსა,
ახლებს ვიამბობ ლექსებსა, თემებში დასაბარებსა“-ო!

ცხადია, რომ ხშირო, ანუ ხანგრძლივი ხმარებისაგან ძალი და ლარი ძველდებოდა და რასაკვირველია დაძველებული უკვე წინანდებურად ვერ აღიქმებოდა:

შერცხალიშვილას ფანდურსა და ძველებსა ლარსა,
დაჯიკრავ, ავიჩინდება, როგორც ლეზადის ქარიავ,

ნათქვამია ერთს ხევსურულ ლექსში.

ბოლოს დაძველებული ძალი, ლარი, თუ ალყა გაწყდებოდა და ახალს აბმა დასჭირდებოდა, თუ არადა მომღერალი მოშიარეც უნდა დადუმებულყო. ხევსურს ერთს მეფანდურეს აქი თავისს ლექსში გულუბრყვილოდ აღიარებული აქვს კიდევაც:

„შაგის შეტს აღარ ვიამბობთ: ფ ა ნ დ უ რ ი ს ა ლ ყ ა გ ა მ წ ყ დ ა რ ა“-ო!

ხალხური სიტყვიერებიდან ამოდებული შემომოყვანილი ცნობების წყალობით ირკვევა, რომ სიმების ასხმის ძალეების, ან ლარების, ანუ ალყის ჩადება პრქმევეა. არჩევდენ ახალს, დაყრუებულს, დაძველებულს და გამწყდარს ძალსა და ლარებს.

§ 4. ძალეებიანი საკრავების ნაწილების ზოგადი ტერმინოლოგია წერილობითი და ზოგადი მასალების მიხედვით

ძველ ქართულ ძველებსა, ხალხურ სიტყვიერებაში და ზეპირი გადმოცემის სახით დაცული ყველა ცნობებისა და ძალეებიანი საკრავების ნაწილების სახელების გადათვალიერების შემდგომ, ყველა ამ სატერმინოლოგიის მასალის საბოლოო შეფასებასა სჭირო. ეს ამ დარგის ახალი ტერმინოლოგიის მიხედვით წინილად შერჩევის საშუალებასაც მოგვცემს.

საკრავის იმ ნაწილის სახელად, რომელიც ხმის გამმოლოცებელი და რეზონატორია, ჩანა გვაქვს ს. ორბელიანის მოგზაურობაში, ტანა გვაქვს იმერულს ხალხურ ლექსსა და გურიანში, მუცელი ითქმის ყველგან საქარველოში (ხევსურეთში, ხევში, ერწო-თიანეთსა, კახეთსა და ქიზიყში და სს), კოდოკი აჭარაში. ამათგან ტანი ახალი სპარსული სიტყვაა და შერბინდულ შენათვისება (მე-11—12 ს-ითგან) ძველი ქართული გვამის მაგიერ. ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობის მქონებული და უფრო საკრავის მთელი სხეულის სახელად გამოდგება.

კოდო და ჩანა უპირველესად ხის ტურკლისა და საზომის სახელებად შემდეგ საკრავის ნაწილის სახელადაც გამოუყენებიათ. ამათგან კოდო ქართულია, ჩანაკი საფიქრებელია ჩანახის- ბოლოს მოკვეცილი ფორმა უნდა იყოს: ჩანახი-კი, როგორც „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა“-ში მკვნი აღნიშნული, თურქული სიტყვაა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში

1 შანაძე, ა. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 145.

2 იქვე, გვ. 273, § 674.

3 იქვე, გვ. 243, § 593.

მე-17 ს. ჩანს ვაჩენილი. მუცელი საკრავს ამ ქვედა ნაწილს მოყვანილი. ვის დამსგავსების გამომხატველია და, როგორც ცნობილია, ქართულ სხვა დარგის ტექნიკურ ტერმინოლოგიაშიც ბევრგან გვხვდება.

რაც ტანის ზოგადი ტერმინია, კოდო სპეციალური სახის სახელია რომელსაც საკრავთან საერთო, მასალას ვარდა, რაფერი ექვს, ამიტომ მათი შენარჩუნება საკრავების ნაწილების, ხალხს ზოგადას ქართულ ტერმინოლოგიაში სასურველი არ არის და ისევ ჩანა და მუცელი სკობია.

მუცლის ამოფოსოვებულს დრუსა და მის საფარს თოქმის ყველანაირად ბუღი ქვიან (ხევსურეთში, ხევში, თუშეთსა, კახეთსა, ქიზიყსა და გურიაში) და ფიცარი (კახეთსა და ქიზიყში). თანამედროვე ტერმინად გულის უნდა მუცლის დრუს სახელად, ხოლო მისი საფარისათვის გულის ფიცარი ვიხმაროთ.

მუცელს ჰქონდა კედლები (ხევში და სხვაგან), რომელსაც შიგნით-კახეთში კანი ეწოდება და ფურდა, ანუ ელკავი (სამა), რომელთაგან უკანასკნელი უცხო სიტყვა უნდა იყოს, ამათგან კედელი და ფურდაც შესაბამისად უნდა იყოს.

გულის ფიცარზე ჩამწვარს ხმის გამაძლიერებელ ნახვრეტებს სავსულე ქვიან (თუშეთში), ხოლო იმ ადგილს, სადაც თოქმი თამაშობს საყვანებელი ეწოდება (თუშ.).

გულისფიცარზე ძალ-ღარსიმების გადასაჭიმბ და ქვეშ შედგმულს ხიდს ქორი და უღელი ერქვა სახელად ძველად დიდისათვის, ხოლო ზოგჯერ ბინტი ბატარისათვის. ხალხს ამის დასაინახად საქართველოს სხვადასხვა ადგილში, ან ვაცი ექვს (ხევსურეთში, ხევში და ერწო-თიანეთში), ან ქორი (თუშეთში, შიგნით-კახეთში, ქიზიყში), თუ ქორა (გურიაში), ან საწულე (შიგნით კახეთში). ამათგან თანამედროვე ტერმინოლოგიაში ქორაა შესაბამისად ნარჩუნებული, როგორც საქართველოში ყველგან ფართოდ გავრცელებული, მაგრამ, ცხოველის სახელისაგან განსარჩევად, ქორაკის ფორმით. ქორაკს ზედაპირზე ძალების, ღარების ჩასაჭდომი ვალი ექვს (ხევს.), რომელს თუშეთში ჰქვდა, ანუ ჰელი ეწოდება.

საკრავის მუცელს შორგებული ჰქონდა და ექვს ეხლაც ტარი (სამა, ხალხური სიტყვიერება ხევი, გური, აქრა), ანუ ყელი (ხევსურეთი, თუშეთი, ერწო-თიანეთი, კახეთი, ქიზიყი), მაგრამ ს. ორბელიანს ტარიც ექვს და კელიც, რომელთაგან უკანასკნელი ტარის იმ დასაწყისი ნაწილის აღმნიშვნელია, თავსა და ტარს იწეა რომ მდებარეობს ყელის არსებითად ამდენ ნაწილის სახელია. ყელი ზოგს საკრავს შიშრავად აღიბუღი ამდენ ნაწილს (შიგნით კახეთი), ზოგს სწორედ ყელს თავი (სამა, ერწო-თიანეთი, თუშეთი), ანუ სათავე (ხევსურეთი) ანა ამიტომ ტარი სასურველია საკრავის ჩანას, ანუ მუცელს იხვეით მდებარე ნაწილის ზოგად სახელად შეენარჩუნოთ ხოლო მის ნაწილს სახელად თავი და ყელი დავტოვოთ რაზეც საკრავის ძალების, ღარების, ალყებისა და სიმების თავია დამატებული, ამას ზოგან თითქმის ეწოდება (ხევსურეთი) ზოგან ყურები (თუშეთი), მომეტებულად კი ჩხირები (ხევსურეთში, ხევში, ერწო-თიანეთს, კახეთს, ქიზიყსა და გურიაში), ხოლო იმ ნახვრეტებს, რომელშიც ჩამხულია ძალ-სიმბ თავის დამჭვრავ ზოგან სათითებები ქვიან (ხევსურეთი), უფრო-ეკ საჩხირებია გავრცელებული (ხევსურეთში, კახეთში) ვერს თითქმის და ვერს ჩხირე

ბი მარჯვე ტერმინად ვერ ჩაითვლება, პირველი იმიტომ, რომ შეუფერებელიც არის და თავს თითები არსად აბია, მეორე-კი შეტად მდამიურიც არის. უფრო მარჯვედ უნდა იყოს მიხნეული თუნდაც იმიტომაც, რომ უფრო მართლაც თავს აბია. თვით ყურებისათვის განკუთვნილს ნახვრეტებს-სათვის-კი შესაძლებელია კვლავ საჩხირეები ეიხმაროთ.

ჩაზეც ძალის, ლარის, ალუისა და სიმის ბოლოა დამაგრებელი, კორა (ხევში), საკუდარი და კუდი (თუშეთში), ღარების მოსადგენი (შიგნით ყახეთში), ანუ გამოსაბმელი (ხევში); და კომპიტი (ჭიხაყში) ეწოდება. კორა ასედაც ბევრგან გვხვდება, რომ მისი საკრავების ტერმინოლოგიაში შეტანა ღირდეს. კომპიტიც შესაფერისი ტერმინი არ არის და ასევე უფროსს, ვგონებ, ეძვობინება საკუდარი თვით გამოსაბმელის, ანუ მოსადგენის და კუდი ძალის, ლარის, ანუ სიმის იმ ნაწილის სახელად ეიხმაროთ, რომელიც საკუდარს უნდა გამოეძას, ანუ მოედოს.

საკრავის ყელ-ტარზე აღნიშნულს ხაზებს თითების დაჭირებით ძალის, ლარის, ალუისა, თუ სიმის ხმის სიმაღლის შესაცვლელად საქცევი და საქცევენი (ხევში, ერწო-თიანეთსა და თუშეთში), მალიკები (ხევსურეთში), მალი და მალინკები (თუშეთში) და ხიდები (ყახელ-ჭიხაყში) ჰქვიათ. ამათგან:

ხიდი, როგორც შემომოყვანილი აღწერილობითგანაც ჩანს, ტარში ჩასმული ხის იმ ბჭკალის სახელია, რომელიც ძილზე თრთის დასაჭირებელი ხაზის მაჩვენებელია.

საქცევი ამ ხიდების დანიშნულების გამომხატველი ტერმინია, სახელდობრ, რომ თვითული ამ ხილთაგანი ძალს, თუ ლარს, ან ალუის, გინდა სიმის ძირითადი ჩვეულებრივი ხმის სხვა ხმად გადაქცევისათვის განკუთვნილობის გამომხატველია.

მალი და მალიკი-კი ხმის საქცევად საჭირო მანძილს, ინტერვალის, აღმნიშვნელი ტერმინია, რათგან აღმწებლობაშიც მალი სწორედ ორ წერტილს შუა მდებარე მანძილის ცნებისავე გამომხატველი ფარდა შემოაღნიშნული ქართული ტერმინების შესატყვისი სპარსული ტერმინია, რომელიც, როგორც საბას ლექსიკონითგანაც ჩანს, თუ ამაზე უწინარეს არა, მე-17 ს-ში მაინც უკვე ყოფილა ქართულში შეთვისებული.

ხევში ჩაწერილ ცნობებში დასაქცევი ძალები და დასაჭირები ში ძალებიც გვხვდება ტერმინებად, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი ამოგანის რაობა განმარტებული არ არის და ამიტომაც დანამდვილებით ძნელსააქვია, თუ რას ეწოდება ეს ორი სახელი. შესაძლებელია ამით ხის ხიდების მაგიერ ძალებისაგან გაცელებული საქცევი იგულისხმებოდეს, როგორც მაგ. თარსა და ზოგა ჩანგურს აქვს.

ზოგი საკრავი, როგორც მაგ. ჩანგი, ძალის მოზიდვით იყო ასელებული, ზოგი მაგ. ფანდური, ჩანგური, ჩონგური, თარი და სხ. ჩამოკერით ზოგისათვის, როგორც მაგ. სანთურისა და მისთანათვის, ძალთ-სა-კე-მ-ლი, მლეკრონი, იყო საჭირო. დასასრულ ქიანურს, ჩალანასა და შამ მსგავსებს ძუიანი შვილდი ჰქონდათ და აქვთ ეხლაც, რომელსაც მალეტივად ძუიან ეწოდებოდა ძველად და ქამანჩას ვეძებით ეხლა.

რაკი ქამანჩა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ძველად ქიანურსებრი საკრავის სახელი იყო და მე-19 ს-შიც ამ ტერმინის მნიშვნელობა ასევე

ესოდით (მაგ. ავ. წერეთელსა და ხალხ. სიტყვიერებაში), ამიტომ ამ სიტყვის
სახეობა ხასურველი არ არის. ამას ემყობინება, რომ ხვესტრულში წოდებულ
შვილდი ვისმართო ისევე, როგორც იტალიელს, ფრანკებსა და გერმან-
ელებსაც მსგავსი ტერმინივე აქვთ (L. archetto, Archet, Bogen),
შოლოდ. შეილდისრისიგან, განსარჩევად, შვილდაკი ეწოდება, რაც არ
სენითადაც სწორე იქმნებოდა. შეილდაკი ძველს საბაბი ექვს, ხოლო შვილ-
დაკის განსა-გამოსმამ რომ საყრავის ძალი არ ღრთ ეფრო კარგად ამხედრის-
მოსათვის ტუას ფიჭვის წებოს უსვამენ ხოლმე, რომელსაც, როგორც დერ-
წუნდლი, შოკი ეწოდება და რაც, მაშასადამე, კინფოლს უდრის.

ძალეზიანი საყრავის ასაღებრებლად ძალეზზე, ღარეზზე და სიმეზზე თი-
თების დამერაყ იყო საჭირო. ამას თიითთა ცქლა ანუ თიითების თი-
მამოზბა ერქვა და ჰქვიან ებლაც, ხოლო თიითების დასწერეს შობრობის
თიითების ჩამოყოლება ეწოდება.

თავი მესამე

საუკუნეთა განმავლოვაში საქართველოში გავრცელებული და ცნობილი კალეზიანი საყრავეზო

ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლოვაში ბევრი სხვადასხვა ძალე-
ზიანი საყრავი ჰქონია ხალხს, ზოგი ადგილობრივი, ზოგი უცხო, ზოგი უწყე-
ლეს ხანაში, ზოგი შემდეგში შეთვისებული ამ საყრავეზზე მსჯელობის დროს
მარტო ქრონოლოგიური როგის დაცვა ჩვენ ნაშრომს ცალმხრის მიმართულა-
ბას მისცემდა: საყრავეზის განხილვა უნდა ჩვეულობრივადვე დღეგებულყო-
შიტომ ჩვენ ჯერ საყრავეთა იმ ჩვეულის შესახებ გვექნება საუბარი, რომელთა
სახელები ჩამოსაყრავი ძალის რაოდენობის გამოჩატველია შემდეგ-კი საყ-
რავების განხილვას სამ ჩვეუდა გავყოფთ: მოზიდვითი და ძალის-
ცემლიანი საყრავეზის ჩვეუდა, ჩამოსაყრავი საყრავეზის და სელ-
ბილოს შვილდაკიანი საყრავეზის ჩვეუდა.

§ 1. ძალთა რაოდენობის აღნიშნული საყრავეზის ჩვეუდა

ორძალი ვისრამიანში არის ნახარი, იქ ნათქვამა, ჰუცესსა და ორ-
ძალთა უკრევდეს, დიაკონმან შემპარისა კიდე რამცა ქნას-ო¹. ამ საყრავის
სახელი ამიდე ძეგლში კიდევაც გვხვდება. შაბი მოაბადი კეს ეუბნება: არცა
შენსა გულსა რამინის სახელი ასსოვდეს, არცა მან შესწაწინა ორძალსა და
ჩანგსა სტეს-ო². თუ პირველ ამონაწერი ქართველი ავტორის თავისუფალ
შეშოქმედებაა, მეორე წინადადებაში ნახარი ორძალ სპარსული აქვსო

¹ ელსრამიანი, გვ. 121.

² იქვე, გვ. 208.

რამინ"-ის ავტორისაგან ნახმარს ტანბურ-ს, ანუ ტამბურას უდრის. ტანბური კი იგივე ფანდურია, მართალია თანამედროვე ლექსიკონების განმარტებით ტანბური ექვს-სიმიანი საკრავია, მაგრამ ძველად რომ სპარსეთშიც ორ და სამსიმიანი ტანბურები ყოფილა, იქითგანაც ჩანს, რომ ამ საკრავს სპარსულად დუთარი-ი და სითარი-ი ეწოდებოდა, რომელთაგან პირველი სპარსულად სწორედ ორსიმიანს, მეორე სამსიმიანსა ნიშნავს. ის გარემოება, რომ ქართულ ვინაობის ავტორს სპარსული ტანბურის შესატყვისობად ორძალი უხმარია, გვაფიქრებინებს, რომ ტანბური, ანუ ფანდური ამ დროს უფრო ორძალიანი სცოდნიათ. ამას გარდა, თუ ქართველმა ავტორმა დედნის ტანბურის მაგიერ არც იგივე ტერმინი და არც ფანდური არ იხმარა, არამედ ორძალი, ცხადი ხდება, რომ მაშინდელ საქართველოში ამნაირი საკრავის სახელიად ჩვეულებრივ სწორედ ეს სიტყვა ორძალი ყოფილა.

„ორძალი ბზისა“ როსტომიანის ერთს ხელთაწერშიც გვხვდება, დანარჩენს ყველა ხელთაწერებში დაცული ოთხძალის მაგიერ¹. ამ საკრავის სახელი ბესიქსაც მოუპოვება: „ორძალისა ხმათა შემწყობნი“-ო².

ს. ორბელიანს ეს ტერმინი ლექსიკონში შეტანილი არა აქვს, სამაგიეროდ მოყვანილია საორძალე, რომელზეც ნათქვამია მხოლოდ რომ საკრავი იყო.

ზოგიერთი ცნობები ორძალზე ს. ორბელიანს სიბრძნე-სიცოცხლის არაკებში მოუპოვება. „მუშა კაცი და ბელის“ არაქი მთლიანად ამ საკრავს დამკვრელს ეხება და ამიტომ თვით საკრავიც არის იქ აღწერილი. იქ ნათქვამია: ერთი კაცი იყო, რომელმაც „ორძალი კარგა იცოდა, უკრევდო ხოლმე და იმღერდის“. მას ამის გარდა სხვა არა ხელობა არ სცოდნია და ეს „კაცი მეორძალე“ ყოფილა სწორედ ხელობით. მისი მობედვე მეორძალე იყო და ისიც თურმე ორძალს უკრავდა. ამ მობედეს მეორძალე კაცისათვის თავისი ერთი დღის საქმიანობა ასე უამბუნია: ჯერ „ორძალი ვამიტყდა და ვაწებებდიო“, შემდეგ გამოთლებულს საკრავზე „ახალ აღუვადამდიო და მერმე „გავმართე“-ო³.

მეორე, „ქათა შემპყრობელი კაცი“-ს არაკში ნათქვამია, რომ ერთ ქაყანაში ხილზე ვითომც ქაჭები გაჩენილან, რომელნიც ხალხს აწუხებდნენ. მათი შეპყრობა ერთმა კაცმა იკისრა: „წავიდა კაცი იგი, ორი ორძალი წაიღო, ორი ხირაული, ერთი ქიშა ღვინო, ერთი ქიქა საძილო წამალი, ორი ფიალა და ერთი ღორის ჭაგრის თოკი“. იმ ხილზე რომ მივიდა, იქ „ხედ დახდა, ღვინო მოიდგა, ორძალს კვრა დაუწყეთ და ზედ ემღერებოდა, ღვინოს სმიდა და მარტოობის ლექსს იტყვოდა“-ო⁴.

¹ Wils o Ramin, A Romance of Ancient Persia. Edited by W. N. Lees and Mushi Ahmad Ali, Calcutta, 1865, 23-193.

² Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, zugleich ein Polyglott für das gesamte Instrumentengebiet. Berlin, 1913, 23. 375 b-376 a.

³ როსტომიანი, ტ. 225¹.

⁴ გიბია შვილი, ბ. [მბუსიკი], თხულებთა სრული კრებული, 23. 28.

⁵ ორბელიანი ს., სიბრძნე სიცოცხლა, 23. 165.

⁶ იქვე, 23-178.

საბას ამ ორი არაერთგან ამოღებულ ადგილებთანაც ჩანს, რომ ორბელი დასაკრავი და ზედ დასამღვრებელი ძალეუ შიანი საკრავი უოფილა თუმცა საბას სტყუი ობსესი თუ ზის ალყები უნდა ჰქმნიდა, მაგრამ უკვე მისი სახელი მტკიცებს, რომ მის სიმების ძალები პრქმევი, თვდაპირველად მასც.

ს. ორბელიანის თხზულებს შემოთრეხილი ადგილებსაც მიჩველი უფლება გვაქვს დავისკვნათ, რომ ორბელი საქართველოში მე-17—18 ს. ს. შორე კარგად ცნობილი საკრავის სახელი უოფილა.

ამისდა მიუხედავად, რომ სამსომიანი საკრავი ძალიან ხშირად იყო და საკრაველოში ყველგან იყო ვავრცელებული, მაინც საშქლის, ანუ ს. მ. ძალიანის სახელი ძველს ქართულ გამოცემულ ძეგლებში, თუ არ ვთხოვით, ვერ არსად ჩანს. შესაძლებელია ეს იმიტად აიხსნებოდეს, რომ სამსომიანი საკრავებს თავთავიანთი განსაკუთრებული სახელები ჰქონდათ, რომელიც ავტორები სათანადო შემთხვევაში ჩვეულებრივ მხარობდენ ხოლმე.

სამავიეროდ საშქალიანი ერთს ხეგსტრულ ლექსში ვახდებდა, რომ მელშიც ნათქვამია: „ფანდურს დამივარ, ბურუნისი, მაყარის საშქალიანი“. ფანდური მართლაც სამძალიანი და აქ ამ საკრავს ფანდურებს წარმოადგენს, რომელიც ნონგურისა და ქანურისათვისაც გამოდგენს. აიტომ, ორბელისა, ოთხბელისა, ხუთბელისა და ათბელის მსგავსად, მოხლოიწილია, რომ სამსომიანი საკრავის სპეციფიურ სახელიც სამძალიანი კი არა, არამედ საშქალი უნდა ყოფილიყო.

თუ ორბელი ვერცერთობით მხოლოდ როსტომიანში ჩანს, როსტომიც იქ ნათქვამია, რომ ქაჯთა სადგომთან თასსა და ღვინოს ვერცდიოთ ორბელიანთა იდეა ბზისათა. ერთს ხელნაწერში ოთხბელიანს მაგიერ ორბელი სწერია.

ხუთბელი, ვითარცა მუსიკის საკრავის აღნიშვნული ტერმინი, ს. ორბელიანს აქვს ევროპაში მოგზაურობის თავის აღწერალობაში ნახშირ, რომელშიც მას ნათქვამი აქვს: „ერთი ხუთბელიანთა ერთად რომ საკრავი იყო“. რაკი საბა ევროპაში ნახავს უკეთეს საკრავის ქართულს მკითხველისათვის თვისების ეასთვალსწინებლად ამბობს, რომ ის ხუთბელით ვრბელი ყოფილა, ცხადი სდება, რომ უოველს მაშინდელ ქართულს ხუთბელის რაობა კარგად სცოდნია. მიმსიადამე, ხუთბელი საქართველოში მე-17 ს. შიანიც საკრავოდ ვავრცელებული საკრავი უნდა ყოფილიყო. ამისდა მიუხედავად საბას თავის ლექსკონში ამ სახელის შეტანაც დაჰქონუნა.

საკრავის უკვე თვით საბელთაგანაც ჩანს, რომ მის ხუთს ძალი, ანუ სიბრძნისა ხოლო საბას შემომოყვანილი შედარებითაც ირცედა, რომ ხუთბელი ამასთანავე სამძალსა და ოთხბელზე ვრბელიც უოფილა.

ათბელი ფსალმუნში ვახდებდა (32^ა—32^ბ), რომელშიც ნათქვამია: „ათბელითა საფსალმუნისათა ევლომდითა უფლისათა“. ათბელითა საფსალმუნისათა უფრის ბერძნულს ენ ფსალმუნს:

1 შიანიც, ა. ქართული ხალხური ზოგბი, 7. ხეცხეული, გვ. 224, § 241.

2 როსტომიანი, ტ. 2255.

3 ორბელიანი, ს. მოგზაურობა, გვ. 33.

4 საქარ: ფსალმუნს.

რით დეკაქორდო, ლათინურს in psalterio decem chordarum; და სომხურს *იადქაორძინა*, სალმოსარანავ, ბერძნული სახელიცა და ლათინურიც ამ საკრავის ადსიმონობას გვიჩვენებს, სომხური სალმოსარანავი კი მარტო საფსალმუნესა ნიშნავს.

ათძალი შავთელსაც მოვბოვება:

ამთ ძალითა
რომ ათძალითა
ორღანო უძინ
ებან ვნთას

ჩახრუხამის სიტყვიაც ხომ

ესაღმურთა მოქმენს,
შენსა ხსამენსა
ათძალი ჰქონდეს
ქნარ — სიტყვა რევაღ.

საბას განმარტებით, „უკითხარი ათძალია, თთხძალსა ჰგავს, ათძალზეკი ნათქვამი აქვს: „ათძალი ათალეა“¹ ამწუნხაროდ, ოთხძალი ორბელიანს ცალკეულად შეტანილი არა აქვს და ამიტომ გამოურყვეველი რჩება, თუ რითა ჰგავდა კითხარი ოთხძალსა, ძალთა რიცხვის განსხვავების გამო. ცხადია, რომ მსგავსება გარეგანი მოყვანილობით უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ არა ჩანს, თუ სახელდობრ რით მიემსავეებოდა ანუ როგორი მოყვანილობის საკრავად უნათქვამოდა ს. ორბელიანს ათძალი.

დ. გურამიშვილიც ამბობს:

ღვით თქვა ღვთისა ქებანი,
უკრა ქნარ-წინწილუბანი...
ათძალს ალყანი იფუნა,
უკრა, ღვთის ქება იფუნა.

ყველა ზემომოყვანილს ცნობებში ათძალი, ანუ დეკაქორდი ებრავლთა საკრავად იგულისხმება და ჭერჯერობით არა ჩანს, იყო თუ არა ათძალად წოდებულ საკრავი საქართველოში გავრცელებული. დანამდვილებით ვიცით, რომ არამცთუ ათძალიანი, არამედ ცამეტძალიანი საკრავიც იყო საქართველოში, მაგრამ მას, როგორც დავრწმუნდებით, სხვა სახელს ერქვა.

§ 2. მოზიღვითი და კალთსაცემლიანი საკრავების უბუფი

ეზანი-სა და ქნარის სახელები, როგორც ნათარგმნს, ისევე ორი გინალურს ქართულ ძეგლებში ხშირად გვხვდება. დაბადების თარგმანის ორი ქართული რედაქციის შედარება, როგორც ქვემოთმოყვანილი მაგალითებით ნაც ცხადო გახდება, ადამიანს დაარწმუნებს, რომ გარკვეულ ხანაში ეზანი და ქნარი სინონიმები ყოფილა. ¹ შეფუთა 164²

¹ შავთელი, აბდულებთა, 15.

² ჩახრუხამე, თაბორანი, V.

³ ორბელიანი, ს., ლექსონი.

⁴ გურამიშვილი, დ., ახზულებათ სრულ-კრებული, გვ. 164, § 3-ე დ. 4-ე.

ნათქვამია, რომ საულისათვის „მოიძიონ... აკაც, მუცხობი ყანა, ვაღბაღა, ყანის ყარგ დამკვრულ და დამწვრულად დილით ამოქსელი და, როდესაც ის თურმე საულ მეფეს მიპყვარეს, ამოღებდა დილით და სურათს ჰქოდა თესთა ებანსა“-ო (1 მეფ. 16ა)¹, საქ. მუხ. ბ. № 51 A-ში ებანის შავივითსავე შემთხვევაში ქნარა-ღ მე-10 ს. ოშკის დაბადებით ეს ტერმინი უკანაბრია: „უძიოთ... აკცი ერთი რომელმან აცოდეს საბოთა კალამთა ორდისათა ქნარი-თა“ (1 მეფ. 16ა). — „შილის დოქნარი... და და ღლან მის წინაშე“ (1 მეფ. 16ა) თუ შესაქმნა მისთვის კვანძობით, „გამომცა-შევილინე... ბობღნებითა და ებანებ-ითა“; საქ. მუხ. ბ. № 51 A-ში სწერია: „წარმო-შცა-შეზენე... ბობღნითა და ქნარითა“.

3 მეფეთა: 10₁₂-შიც ბაქარის გამოცემაში დაბეჭდილია „შექნა მეფემან... წინწილი და ებანი მგალობელთა“, საქ. მუხ. ბ. № 51 A-ში სწერია: „შექნა მეფემან... ნესტოდ და ქნარად შემსხვლთა შათა თესა“, ოშკის დაბადებაშიც ნათქვამია: „შექნა მეფემან სალიონ... ნესტოდ და ქნარად შემსხვლთათესა“.

ამნაირი მავალითების მოყვანა ედევ ბლომად შეიძლებოდა, მაგრამ შემომთყვანილიც საყვარისია იმის დასაბუთებლად, რომ ირავა ტარი მინი გარკვევულ ხანაში შერთდაც სინონიმებად ერთდამიხსენებულნი:

რაკი ებანი და ქნარი თანამედროვე ქართველსათვის სრულებით უცნობია და, როგორც ს. ორბელიანის განმარტებლადან ცხადდება, უკვე მე-17 ს. ეს ტერმინები გუგუბარს ვაფლად, ანუთნ შათ მხარეებში უნდა ძველი თარგმანების საშუალებით გამოეყვანათ. ს. აბა, ISO ფსალმუნის დამოწმებით, ამტკიცებს, რომ „ებანი დღეს შუა ქართლშიდან საყრავთა ჭგუფს-კი არა არამედ საცხებელ საყრავთ იყო, ხოლო ქნარი, ესათს შა-ზე დამყარებით, ჩანს (ხ. მეტრელი)“ აქიოთ გამოვს, რომ ებანი და ქნარი, ანუ ჩანს არამცოდ სინონიმები არ ყოფილა მათ ერთმანეთთან თითქოს ხეობით-კი არაფერი უნდა სინონიმად დაბეჭდის თარგმანის სამი ზედდაქვის შედარებით-კი ჩოლორს იმას დაბეჭდვნიდათ, შათ სინონიმობას სრულებით უცილობდა მათს.

ებანისა და ქნარის ნამდვილი ბოთის გამოჩენა დაბეჭდის ქართული თარგმანის სათანადო დღეობის ებთად ტექსტთან და ბერძნულ-ლათინურ და სომხურ თარგმანებთან შედარებით შეიძლება ამნათა შედარება ცხად-ჰყოფს, რომ ებანი-თა და ქნარი-ც უფლის ებთად ქნართრ-ს, ბერძნულ კინურ-ს, ლათინურ cithara-ს და სომხურ *კიპ* ქნარ-ს, ანდა ბერძნულ ჰე კითარ-ს ლათინურს და სომხურს იმვე sithara-ს და ქნარ-ს². 3 მეფ. 10₁₂ და 1 მეფ. 16₁₂-ში ებანი და ქნარი ლათინურ lyra-ს ეთანისწორება.

¹ ბაქარ.

² ბქნ.

³ ბქნ.

⁴ ბაქარი 1 ნუსხითა 10₁₂ და 14

⁵ ორბელიანის, ს. დამოწმებით.

⁶ 1 მეფეთა 10₁₂, — 16₁₂ და 21₁₂ — 3 მეფ. 10₁₂, — 1 ნუსხითა 10₁₂, — 16₁₂ და 21₁₂.

⁷ შესაქ. 5₂₁—31₂₇, — 2 მეფ. 6₂₁, — 16₂₁ და 21₂₁; — 22₂₁, — 23₂₁, — 24₂₁.

1 მეფეთა 10_ა-ში (ბაქარ, და ს.ა.ქ. მუხ. ხ. №51A-შიც) ქნარა ბერძნულს ნაბლა-ს, ანუ ნაჟულა-ს, ლათინურ psalterium-ს და სომხურ *psalterium* სრცხ-ს უღრის, რომლის შესატყვისადაც ბაქარისეულ ხელთნაწერში ჩვეულებრივ საფსალმუნეთა ხოლმე (იხ. ბაქარ. 1 ნეშტ. 1_ა და 2 ნეშტ. 5_ა-1_ა); ს.ა.ქ. მუხ. ხ. № 51 A-ში კი აქაც ქნარად არის ვაღმითარგმნილი.

ფსანიშნავია, რომ ამ საკრავის ჩვეულებრივ ფორმად ქნარა მიღებული და ხელთნაწერებშიც უმეტესად ასევეა ხოლმე. მაგრამ დაბადების ს.ა.ქ. მუხ. ხ. № 51 A-ში არაერთგან, ამ ფორმას გარდა, ქანარიც სწერია, მაგ. 1 მეფეთა 1_ა-ში: „წინაშე მათსა პარით შემღერენი და ქანარიოთ“, — 1 მეფეთა 16_ა-ში: „მთილის დავით ქანარი იგი და ვაღობნ მის წინაშე“, — 1 მეფეთა (=1 სამუელისას) 18_ა-ში: „შემღერად მათ წინაშე... ქანარიოთ პობლნთა და წინწილითა“, — 1 მეფეთა 19_ა-ში: „დავით წინაშე მოსსა ქანარიოთა განაცხრობდა ნულოდ“ და სხ. ამ ოთხი ამონაწერითგანაც უაქველი შეიქმნება, რომ ქანარი ვადამწერისაგან ჩადენილი უნებლიეთი შეცდომის ნაყოფი არ შეიძლება იყოს. მაშასადამე, ჩვეულებრივად მიღებული ქნარა-ს გარდა, ძველ ქართულში ქანარიც ყოფილა. რაკი პირველი ამთგანი ს-შუალო სავაგუნებში გაბატონებული ფორმა იყო და სრულხმოვნადანი ფორმა უფრო უძველესია ხოლმე, ამიტომ იბადება საკითხი ამ საკრავის სახელ ძველად ქანარი ხომ არ ყოფილა, რომელიც შემდეგში ქნარიად ქცეულა?

თუ ებანი და ქნარი სინონიმები იყო, როგორ და რატომღა განხდა ერთილიადაც საკრავისათვის ორი სხვადასხვა სახელი? ქნარი იხვეუ, როგორც სომხური ქნარ, ცხადია, უცხო სიტყვაა და ებრაულს სახელს ქნარო და ბერძნ. კინარა-სთან არის დაკავშირებული.

ებრაული კინარა-ის, ანუ ქნარის მოყვანილობის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს: ზოგი ფიქრობს, რომ ლირის მსგავსი ძალღმინი საკრავი იყო, ზოგი-კი ჰგონია, რომ სამკუთხედის მსგავსი მოყვანილობის სივრცე საკრავი იყო, შერმინდელი საფსალმუნის მავგარი. კინარა-ს ხელში დასაქვრი და თან სატარებელი, მხარულად მუღერი საკრავი ყოფილა, რომლის დაცრა გლოვის დროს ამის გამო არ შეიძლებოდა (C. Sigfried Musikh. 9 ulhel BW).

იმის გათვალისწინების საშუალებას, თუ ს. ორბელიანს, როგორც ტუბოდა ქნარის მოყვანილობა, მისივე განმარტება გვაძლევს, რომ ქნარი იგივე ჩანგი იყო¹. ჩანგი-კი, მისი სიტყვით „მოდრეკილი საკრავი“ იყო.

ებანი ამ საკრავის ქართული სახელი ჩანს. საკრავიც ქართულ იყო თუ არა თავდაპირველად, ეს ჭერ გამოსარკვევია, მაგრამ მისი ებრაულ კინ-

¹ *ՀԱՐ* 18. ებრაის ქართული ქნარი სომხურის გზით შეთვისებულ სიტყვაა მანია და, თუ ამ სიტყვის ეს ფორმა უძველესია, მაშინ ეს მოსაზრება სამართლიანია. ებრაულ იყოს მაგრამ, რაკი ირკვევა, რომ ქანარი ყოფილა ოდესდაც, რომელიც თავისი პირველ მარცხლის ხმოვნით სომხურისაგან არსებითად განსხვავდება და სმაგვიროდ ასრულებს ღ შეტარდრ აბაღულს უღდება, ამიტომ ამ საკითხს გულდისმით განხილვა სჭირდება. თუ ქანარის პირველადობა დადასტურდა, მაშინ, ცხადია, ეს ტერმინი სომხურისაგან დამოუკიდებლად იქნება შეთვისებული.

² ორბელიანი, ს. დიქციონარი ქნარი და ჩანგი.

³ იქვე.

ნორის ქართულ შესატყვისობად მიჩნევა და გამოყენება უფლებას ჰქონდა ვიფიქროთ, რომ უბანიც ვალობა-სიმღერის შებანებულობის განკუთვნილ საერავერთა ყოფილა, რომელიც ხალხიან საერავერთა ქვეს ქუთუნებას დადების ქართულად ვადმოთარგმნის ხანაში მაინც.

უბანი შოთაძასაც აქვს საერავერთა შორის დასახლებული ფიტანის სიტყვით ქ. გულანშაროში ახალწლის დღეს, „დღესა შას წაერობობასა“ წესად ქჷონით, რომ „ათ დღემდინ ისმის ყოველგან ქსი წინწილისა უბანისა“: მაშასადამე, უბანი საქართულად შიშე-12—13 ს. ს-შიც ქართულად ცნობილი საერავერთა ყოფილა.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეპისკოპოსის მიხედვით ჩანს, რომ ებნის დამკვერთლს შეგებნე არქევერთა შე-12—13 ს. ში განთქმული შეგებნენი სპარსეთში, ვრავში ყოფილან. თორმე ებნის აყოლებით დექსების გამოთქმა ცოდნათ და სხვათა შორის თამარის შესხმაც გამოთქვამთ. მისი სიტყვით, „ერავს მყოფნი შეგებნენი, ვინდა შეგებნენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან“.

ებრავლთა მეორე ჩვეულებრივი ძალბიანი საერავერთა სახელი ებრავლად არის ნახუელ, ანუ ნებელ, რომელიც ბერძნულად ნაბლად, ანდა ნავლად არის ვადმოცემული, ქართულად კი საფსალმუნედ არის ნათარგმნი¹, უფრო ხშირად კი საფსალმუნე ბერძნულ ფსალტერითონ-ს², ლათინურ psalterium-ს³, ან organum-ს⁴, ანდა lyra-ს⁵ და სომხურ ხოთავარის ნოვაგარან-ს⁶ ან *սարկավան* ხალხობისარან-ს⁷ უფროს.

საფსალმუნეს ხმარების რამოდენიმე შეგალითად შესაძლებელია დასახლებული იყოს: „ქნარისა თანა და საფსალმუნისა და ფლოუნოსა სუმენ“-ო (ესაიას 51)⁸, — „ყოველმან კაცმან, რომელმანცა ისმინოს ქმისა საყვისისა, სასტუნელისა და ქნარისა, სამეიისა და საფსალმუნისა... დავარდეს და თაყვანისცეს ხატსა“-ო (დანიელის 3)⁹, — „თბილისი საფსალმუნისითა უვალობდით“ უფალსო (ფსალ. 32+33)¹⁰.

დაბადებაში ამავე საერავერთა შესაძენ სახელად უფალსოც ვხვდებთ: „ალილებენ სიგალობელსა და ებანსა“ (იობის 21)¹¹, „ყოველ

¹ რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ნეტარ-სიტყვების შიშა შიშა უბანისადან.

² ბასილი ეპისკოპოსის მიხედვით, ებრავთა შეგებნენი თამარის, ან, ქართულად ილიის უფალი ქართლის სიგარება, საერავერთა შეგებნენი ხალხობის არ 20: Q.

³ ბაქარ: 1 ნებელ, 16₂ და 2 ნებელ, 51₂ 11.

⁴ ბაქარ: შესაქმ, 4₂₁, ესაიას 51₂, დანიელ, 3₂ და 11.

⁵ ბაქარ: დანიელის 3₂ და 11.

⁶ ბაქარ: შესაქმ, 4₂₁.

⁷ ბაქარ: ესაიას 51₂.

⁸ ბაქარ: 1 ნებელ, 16₂ და სს., დანიელ, 3₂ 11 და 11.

⁹ ბაქარ: ფსალმუნის: 32₂+33₂.

¹⁰ ბაქარ.

¹¹ იქვე.

¹² ბაქარ: ფსალმუნის.

¹³ ბაქარ.

იგავსა ყური ჩემი და აღვალ საგალობლითა იგავი ჩემი"-ო (ფსალ 48), საგალობელი-ს შესატყვისად ბერძნულად სწერია ფსალტერის-ონ, ლათინურად psalterium (ფსალ. 48) და სომხურად *սաղմոսարան* სადმოსარან (იობისი 21|2)?

საგალობელის სინონიმად დაბადების ქართულ თარგმანში ორ-ღანო-ც გვხვდება. მაგ.: 2 მეფეთა 25-ში ნათქვამია: „დავით და ძენი ორ-ღალსანი ვიდოდეს... მროკველნი ორღანოთა შეგმობილითა“⁷. 2 მეფეთა 26-შიც: „დავით უცქმდა ორღანოთა შებანებულითა“⁸. 2 ნეშტთა 76-შიც: „ლევიტელნი ორღანოთა გალობდეს გალობასა უფლისასა... გალობას დავითისასა გალობდეს ქელთა თქსითა“-ო⁹.

უკანასკნელი წინადადება საქ. შუხ. ხ. № 51 A-ში ასეა გადმოთარგმნა-ლი: „ლევიტელნი საგალობლითა უფლისათა“ გალობდენო.

ამ საერთაგის სახელი მე-11 ს. ქართველ ისტორიკოსსაც აქვს ნახშირი გ-გალობად გ. მთაწმიდელის გარდაცვალებზე გ. ხუცეს-მოწაზონის ნათქვამი აქვს: „რა ეჟამს განითქვს ჰამბავი ესე საგლოველი, შაშინ აღუქნენ გზანი უღანზოსანი ვოდებთა მგლოვარეთათა... ვიცო სხუადცა რამე გოვე-ბაჲ იერემიასი, შემსგავსებული წიგნსა ფსალმუნთასა, რომელი იგა... იტყ-ვითარმედ: «ძეწნთა ზედა დაჰკიდენით ორღანონი ჩუენნი», რამეთუ ღუ-მილისა მიერ თიეთა თქსათა და ორღანონიცა თქსნი დასაჯნეს... ჰე ჰე-მარტად, და უქმად და უძრავად ორღანონი იგა შეტყველებსა ხუენისანი ღუმლისა მიერ შემათა ზედა დაჰკიდენით“¹⁰

ორღანო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც მოეპოვება და ის თანამედროვე მოღვაწეს არსენისაც აქვს ანდრია კრიტელის საგალობ-ლების გადმოქართულების ამბებში დასახელებული.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს სახელდაპირ მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა მსჯელობის დახასიათებაში იღნიშნული აქვს, რომ ორ-ნი თურმე თვალთმაქცობით გაიძახოდნენ: „არცა ძალი ორღანობა (აიტანს) მარადის განსხიბულობასა“-ო¹¹, აქეთგან ჩანს, რომ შაშინ ორღანო ძალებიანი საკრავი იყო.

არსენი კიდევ თავის ზემოდასახელებულ ცნობაში გამოჩენილ მამ-ღელ ქართველ კომპოზიტორს, იოვანე ქართლისა კათალიკოტს აც-ეთილად მოერთულსა ორღანოსა“ აღარებს¹². ამ გამოჩენი-მითგან ჩანს, რომ ორღანოსაც ყოველთვის კეთილად მო-მართვა სჭირდებოდა, რომ მისი უღერა სასიამოვნო მოსამენი უ-

7 ბაქარ: ფსალმუნი.
8 ბაქარ.
9 იქვე.
10 იქვე.
11 იქვე.

12 ცხოვრება ვიორგი მთაწმიდელისა, გვ. 341.
7 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფისა დავითისა ქართლის კათეძრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გ. თაყაიშვილის გვ. ბნ. 1900, * 559-560, გვ. 327.

13 მართა, ნ., სინას მთის ქართველ ზღნაწერათა აღწერილობა (გამოუცემელი); ასევე სხ-ღერძი.

ფილყო. ამნაირად ორღანო იგივე ვოფილა რაჟ საგანდო-
ნული, ანუ საფსალმუნე რეო.

ს. ორბელიანსკი ორღანოს აგებულება და ჩაობა ზუსტ სხვა-
ნადად ესმის. მისი განმარტებით „ორღანო საკრავია, სახერველანო, თავის
ბარბ, სისწორის დასამტყვებლად 150, ფსალმუნე ექვს დამოწყებულ“. ნა-
ფილად-კი ამ სახელის ეს განმარტება დასავლეთ ევროპის მათივე სახელის
მქონებელი საკრავის აგებულებას ცოცხაზეა დამყარებელი. საბრძანს
მანი თვით უნახავს ორღანო და თავის მოგზაურობის აღწერილობაშიც
ერთგან აღნიშნული აქვს, რომ „პატრია ორღანოს სახერველ ბარბა და-
წყურა“. მაგრამ მე-12 ს-ში ქართულ ისტორიკოსებსა და მალე წარს ორ-
ღანოს აგებულება კარგად სცოდნიათ. ეს დავით აღმაშენებლის მცხოვ-
რობის თხზულებაში მოყვანილი ერთი შედარებითაც მტკიცებდა „არც, მა-
ლი ორღანოსა [თავს იღებს] შარადის განსს-მულობას, რომ
შაშადადამე, ორღანო მე-12 ს-ში საქართველოში სახერველ-
ლიანო-კია არა, არამედ ძაღუბიანი საკრავო ვოფილა

ქართული შწერლობის უძველეს ჩრეთ ცნობილ ძეგლებში ჩანტი
არ გვხვდება და როგორც ეტყობა, ეს სახელი შედარებით ადრე, მე-10-
11 ს. უნდა იყოს გაჩენილი. ქართულ ირრეინალურ სახელწოდებას
ველაზე მეტი ცნობები შ. რუსთაველას უძველეს ნაწარმოებშია დასულ-
ბვერ საგულისხმოს ამოცეთსავს ადამიანი ვისრამიანოც

აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსანში ჩანტი ჩვეულებ-
რადი დასამტყვებელი საკრავიაა, რომელსაც მხოლოდ მე-
ჩანტე-კი არა, არამედ ყოველი თავის სახელზე მარტოც შედო-
ში კერძო პირიც უკრავდა ხოლმე ეს გარემოება შევლითაც
თუნდაც შემდეგი ტყებითაც მტკიცებდა

აუთანდალ ვი-პარტი ჩაწილს 1001 ილი
მათი მერხვი,
ანდროია და: მხარედა წინა ეფო ქალი ჩანტი

უჩანავიდ ირც მრავალრიცხოვან წვეულს ღებნი შეიძლებადა ამბო-
მაა, რომ, როდესაც მეფე წადირობითგან მხიარული თავისი მრავალრიცხო-
ვანი ამალითურთ შინ დაბრუნდა და ღრის გატარებას შეუდგა

დავდა, დახვდის მოკმეღელს სეფომსა და სინა სიფლი
და ქვის სეფს ჩანტი ზღამსა მიმღურღნი აფეს სიფლი

უჩანავიდ მაშინ ღებნი ვერცა წარმოედგინათ და ამიტომვეა რომ აქ-
თანდელი ამბობდა: „მოგშორდი ღებნსა ყოველსა ჩანტისა მარბობსა და
ნახაი-ოზ“.

1 ორბელიანო, ს. ლექსიკონი.
2 ცხორება, 1842 წ., გვ. 23.
3 ცხოვრება მეფისა დავითისა, * 159-160, გვ. 227.
4 რუსთაველა, შ., ვეფხისტყაოსანი ნაბე არამთი ზღაბეჩან სის ეფის უფინ
ტყოსნისა.
* იქვე, ამავე ვითარებისა რამის შეტყობა.
* იქვე, წამელ აუთანდლისა ტანად ტარელისა.

ნადიმობასაც მაშინ ჩვეულებრივ ჩანგთა ეღერა ამშვენებდა. ეს ვარჯიშობა ხატელებზე გამარჯვების შემდგომ ინდოთ-მეფისადმი ტარიელის წერილშიც არის აღნიშნული: „ეკლა გავრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ეღერა“.

თუმცა ვეფხის-ტყაისანში აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებია აღწერილი და დამკვრელებადი იქაურები არიან გამოყვანილი. მაგრამ, რაკი შოთას ყველგან ჩანგი აგონდება, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს საკრავი მაშინდელი ქართულ ელვისეთვისა ც კარგად ცნობილი ყოფილა.

შ. რუსთაველის შემოთყვანილი ლექსითგან ჩანს, რომ ჩანგი ჩიანასთან ერთად, ერთი სამწყობრო საკრავთაგანია ყოფილა, რომელთაც დიკვრითაც თურშე მომღერალთა სიძღვრებს ამბანებდნენ ხოლმე. მაგრამ იმავე მგონის ქნოლების სხვა ადგილები ცხად-ყოფენ, რომ ცალკე დასატკრულ-დასამღერებელიც იყო უკრავდენ, თუ არა, ხმის აუყოლებლივ, ვითარცა მხოლოდ ძალებთან საკრავს, და არსებობდა, თუ არა, ჩანგისათვის განკუთვნილი უსიტყვო პანგები, ძველებითგან არა ჩანს, ჩვეულებრივ იგი ყველგან დამღერებულ საკრავად გვევლინება. ესრამიანშიც სწერია: შამ შობადმა კრმის ეგრე უთხრა: «მეტსა ნუ უბნობ, ჩანგი აიღე და ზედა იმღერდიოა»!

ჩანგის აგებულება-მოყვანილობაზე მხოლოდ აქაიქ ვაბნეული ცალკეული ცნობები მოგვეპოვება. ამ წყაროებითგან ამოკრებილი ცნობების ერთად თავმოყრისა და განხილვის შემდგომ არა ერთი საკითხი მაინც გამოურკვეველი რჩება.

ჩანგის ვარგნული მოყვანილობა მარტო საბას აქვს ზოგიად და ხასიათებული და, როგორც ქნარზე საუბრის დროს აღნიშნული ვექონდა ჩანგი, ს. თრბულანიის აღწერილობით, „მოდრიკილი საკრავი, ქნარი-აყო, მართლაც სვანეთში დღევანდლამდის, დაცული ჩანგი მოხრილი საკრავია. იგი კარგარეთელს მოყვანილი აქვს სვანური და კახური თქმულებები, რომლებშიც ხალხს ამ საკრავის სწორკუთხოვანად მოხრილი მოყვანილობა ადამიანის, ვაყის (სვანურში), ანუ ქალის (კახურში) მოღუნული მკლავისათვის დაუმსგავსებია“.

ჩანგი ისევე, როგორც ვბანი, ანუ ქნარი, სიმეზიანი საკრავი იყო. თუ თანამედროვე ჩანგს სვანეთში ბუის სიმები აქვს, ძველად მასაც ძალები ბქონია. რომელთაც ჩანგის ძალი სწოდებია! ჩანგის გამართვისას ძალები უნდა აბმული ყოფილიყო, მაგრამ, ამ საკრავის აგებულების თავისებურების გამო, ასეთ მოქმედებას აბმა-ვი არ პრქმევია, არამედ ძალია გამონასკვა. ეს ტერმინები ქართულ ვისრამიანის იეტორს აქვს ნახმარი. მას ერთგან ნათქვამი აქვს: „სიყვარული არ ჩანგისა თუ

1 ვისრამიანი, გვ. 167

2 თრბულანი, ს., ლექსიკონი.

3 კარგარეთელი, ი. ა., მოკლე პოპულარული სამუსიკო ენციკლოპედია, ტფ. 1933, გვ. 115—116.

4 ვისრამიანი, გვ. 251.

ლია თუმცა კულა გამონიხას კუა-თ. სპარსულ ვისრამიანი (გვ. 234) ეს აზრი სულ სხვანაირად არის გამოთქმული და ზემომოყვანილი ტერმინებიცა და გამონათქვამიც ქართველი ავტორის თავისუფალ შემოქმედების წარმოადგენს.

განმულ ძალებს დაკვირვს წინ მოართვა, ანუ მომართვა სპარსული და შემდეგ ჩამოკვრა. ვისრამიანი ნათქვამია, რომ ყარომ ცხის უახლოეს რამინს „საქურტლესა შიგან რა ურს ჩანგისა და ძალისა გან კლდე შის მეტი რა იცის; რომელ ჩანგი მოართოს, ჩამოკვრას და ზედა შეუქმოს“¹. რამინს პასუხშიც ნათქვამია: „ახალი კმა ძველისა ძალისაგან ჩამოკვრისა“², ე. ი. ახალი ჰანგი ძველ სიმშვე დაკვირვბათ. სპარსულ ვისრამიანის ავტორს აქ ნახმარი აქვს „ძველ ზღვიც“ („ზორ“) დაკვირვ-ბათ³. ზოგადი ტერმინის მაგიერ მაღალი ხმის სიმის სახელი აღნიშნული.

რაკი ჩანგს ძალი ჰქონია, მამსაღამე, მისი სიმები ლითონისაჲ ირა, არამედ ნაწლავისაგან ყოფილა დაკვირვბული ზოლო, თუ მისი ავღვრებობათვის ჩამოკვრა ყოფილა საჭირო, ცხადია, რომ ძალებს ასაძღვრებულად ძეის შეილდაც-ვი არ უხმარიათ, არამედ უმუჯლოდ ბეღის თოთები.

სამიანიხა და როსტომიანითგან ამოღებულ ქვემოთმოყვანილი ამონიწერებითაც იგივე მტკიცდება. ამის გარდა ამავე ცნობებითგან ჩანს, რომ ჩანგი თითქმის მხოლოდ სიმღერის შესაძახებულად ყოფილა განკუთვნილი. აი ამ ძეგლებში ჩანებუ სიტყვადობ რა ცნობები მოგვეპოვება:

ქორწილის დროს „მოსხეს ჯარი მეტრიზთა, მომართეს ჩანგი მღერითა, გამართეს სმა და ნაიმი, შეეძცოდეს მღერითა“⁴. მეფლის დროსაც „ტბილისა ვითა იმღერდეს, მოართეს ჩანგისა ძალებით“⁵. ნაღიმსუც „ტბილად იმღერდეს მეტრიზნი, ამოს ვმასა სურთიანთა“⁶. ზღვანისაჲც „მას აღარ უნდა სმაჰამა, სიმღერა ჩანგის კვრითათა“⁷.

იმის გასათვალისწინებლად, თუ ჩანგის დაკვირვს დროს თუთ სპარსეის მღებარეობა როგორი იყო, შოთა რუსთველს ერთ სურათებში აღვლილი მოუბოვება. მისი სიტყვით, ავიანდით, რომ თავის სწოლში მარტო მარტო იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი⁸. მამსაღამე, შოთას სიტყვით, ჩანგი დამკვრელ-დამღერებულს წინა ედგა, როსტომიანიხა და, ვკონებ ვისრამიანი-კ ხელთა ჰქონდა ე. ი. ხელში ეჭირა. ამ სინტერესო საკითხს ჯერ კიდევ გულსმითი შესწავლა სჭირდება, მაგრამ ჯერჯერობით, ზემომოყვანილის მიხედვით ისე გამოდის, რომ პირველ შემთხვევაში თითქმის დასაუდგმელი დიდი ტანის ჩანგია საგულეისხმებულად შეირჩე შექმნება

¹ ვისრამიანი, გვ. 251.

² Wis o Ramin.

³ ვისრამიანი, გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 359.

⁵ Wis o Ramin, გვ. 329.

⁶ სამიანი, გვ. 91, ტ. 297-3-4.

⁷ იქვე, ტ. 671-2.

⁸ იქვე, ტ. 671-3.

⁹ როსტომიანი, ტ. 1257-4.

ვაში ხელში დასაჭერი, მომცრო ჩანგი უნდა ყოფილიყო. მართლაც ებანი, ანუ პარფა ძველადვე ორგანი არსებობდა: ხელში დასაჭერიც იყო და დიდი, დასადგმელიც იცოდნენ. რაჟი ჩანგი ასეთივე საკრავი იყო, ზემოთყვანილი ცნობების განსხვავებაც, საფიქრებელია, მართლაც ამავე გარემოების გამომქვადენებელი უნდა იყოს.

დამახასიათებელია, რომ არც შავთელსა და არც ჩახრუხაძეს თავიანთ ხობებში არც ერთხელ ჩანგი დასახელებული არა აქვთ. ეს გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ შესხმის დასამღერებლად და დარბაზობის დროს ჩანგი საქართველოში თავდაპირველად, როგორც ეტყობა, არ უხმარიათ, თუმცა ლინსა და დროს გატარებაში, ნადიმის დროს, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. შოთა-ყი ეველგან უპირველესად ამ საკრავს ისახელებს ხოლმე.

ჩანგი საქართველოში ამ საკრავის სპარსეთითგან შემოტანილი და შეთვისებული სახელია. ჩანკ სპარსულად ერთი მხრით სპარსთა და პინდოელთა ოდესღაც არსებულ პარფას ეწოდებოდა, რომლის გამოხატულებაც სპარსეთის ქერმანშაჰის მე-6 ს. ბარელიეფზეა დაკული და Rob. Porter-ს დამკვიდრებული აქვს თავის ნაშრომში „მოგზაურობანი საქართველოში, ირანში, სომხეთში და ბაბილონში“², მეორე მხრით ჩანგ სპარსულად საფსალუნეს, ანუ ქნარსა ნიშნავდა, რომელსაც ჩვეულებრივ სამკუთხედის, უფრო იშვიათად-კი ოთხკუთხედის, მოყვანილობა ჰქონდა და 6 ძალი ება. ოთხკუთხედის ჩანგს ექვსზე მეტი სიმიც ჰქონდა ხოლმე. ამ ჩანგს, სანთურის მსგავსად, ამჟღავნებელი ჩანით, ანდა ძალთსაცემლით (Plectrum) უკრავდნენ ხოლმე. Curt Sachs-ის ცნობით, ასეთი ჩანგი თითქოს მე-14 ს. იყოს პირველად მოხსენებული და ავღანისტანში დღევანდლამდის არსებობსო³.

მე-12 ს. დამლევსა და მე-13 ს. დამდეგს, როგორც თამარის მეორე ისტორიკოსის, ბასილი ეზოს მოძღვარის, სიტყვებითგან ჩანს, ერაყის მეჩანგენი და შეებნენი ყოფილან განთქმულნი. მისი სიტყვით, „ერაყს მყოფნი შეებნენი ვინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდინა“⁴.

ვეფხისტყაოსანში ჩანგის ხშირად ხსენებასთან დაკავშირებით, უკვე ნათქვამი გვექონდა, რომ ეს საკრავი მოწინდელს საქართველოში კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო. შემდეგ საუკუნეებშიც, თვით მე-17 ს-შიც კი, ჩანგს რომ მხიარულების დროს საქართველოში ააქლერებდენ ხოლმე, ეს ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო ნაშრომითგან ჩანს. მისი სიტყვით კახეთში, სასიხარულო ამბავის გამო „შეიქნა ღვინის სმა და ლხინი და ჩანგთა კერა და მეჩანგეთა შეშპარი და სიმღერა გაახშირეს“⁵ (დ. ჩუბინი, 552.—ხ. ჭიჭი, 350).

¹ Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 117 b.

² Ker-Porter, Robert, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia etc. during the years 1817, 1818, 1819 and 1820, vol. II, London, 1821, pl. 63.

³ Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 100 a.

⁴ საქ. მეზ. 6. N.

⁵ ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოცემული [დ.] ჩუბინოვისგან [უბანი] შედარებით სანკ-პეტრობურს, 1851, გვ. 552.

დ. არაყიშვილი ჩანგს უწოდებს, მაგრამ თვითვე აქვს მოყვანილი ამ საკრავზე ამოჭრილი წარწერა, რომელშიც მას სულ სხვა სახელი ეწოდება. ამ ჩანგის ერთ-ერთ კედელზე და ქვედა ზურგზე ამოჭრილია ორი ქართულ წარწერა, რომელიც ასე იკითხება: 1. *ესე ფანდური არის ფუცუნ ბეგვის*, 2. *ფინც შოიპაროს, მას რისხვამდეს მადლი ღვთისა. ამინა*¹.

ამნაირად ამ საკრავს პატრონი უცნაურად თურმე ჩანგად-კი არა, არამედ ფანდურად სთვლიდა.

საფურაიდებოა, რომ მოსკოვის კონსერვატორიის მუზეუმში დაცულ ასეთ საკრავს ლარებისათვის ტარზე 13 ნაჩვრეტე ბქონია მუცლის საგულეზე-კი მხოლოდ 11 ნაჩვრეტე ჩანს ლარების დასამაგრებლად. ცხადი ხდება, რომ მკლავრთს ნაჩვრეტეში ყოფილა დამსჭვალული, მაგრამ თვითოეული მათგანი სხვადასხვა ყურზე ყოფილა დახვეული.

ჩანგს იმ ქვეყანაში, სადაც იგი გავრცელებული იყო, იმდენად საპურ საკრავად სთვლიდნენ, რომ მისი გაჩენის შესახებ უკვე შეკვლიდნენ თქმულებები შეთხზულა ირანული თქმულების პატარა ხანაგლ ვისრამიანში აღმკვლილი. იქ ნათქვამია: რამინი ისეთი მხიარული და ზონიერი ადამიანი იყოთ, რომ „პირველ ჩანგო მან მოიგონა, რომე მუნით აქამდინ სასიხარულო სხუა ეგზომ ამო, არავის მოუგონია. და მისგან მომგონებლობითა პირველ თუით რამინს ჩანგობით უქობდეს“².

ქართულ ვისრამიანში შეტანილი ეს თქმულება ირანულია და ირანულ ვისრამიანთან მომდინარეობს³. ჩანგი იქ მხოლოდ ირანულ საკრავად არის აღიარებული, მაგრამ ამ საკრავს განსაკუთრებული შესწავლა თუ გამოარკვევს. უნდა გათვალისწინებული გვექნდეს, რომ ჩანგად წოდებული საკრავი ჩინეთშიც არსებობდა, რომელსაც 10—16 სიმი ჰქონდა გაბმული⁴.

ჩანგის გაჩენაზე თქმულებები საქართველოშიც არის შერჩენილი. ქართული, სახელდობრ სვანური და კახური, ამ თქმულებების მთელი შინაარსი ჩანგის მოხრილი მოყვანილობის ასახნელად და მას სახშიანებლად არის ხალხისაგან შეთხზული. ამ საკრავის სწორეუთხედ მოდუნული ტანი მას ადამიანის ცაყისა—სვანურში, ქალისა—კახურში) მკლავსათვის დაუმსგავსებია, სიმებ-თმებისათვის, მისი „მწუხარე ხმებია“ თურმე „მდულარე ცრემლები“ ყოფილა⁵.

საგულსხმოა, რომ ქართულს ზემოდასახელებულს ხალხურ თქმულებებში ჩანგის ელერა „მწუხარე ხმებ“-ს გამოიღებად არის ცნობილი. მე-12—17 სს. ძეგლებითგან ზემოთ მოყვანილს ამონაწერებშია, როვირც დავრწმუნდით, ჩანგი პირიქით ლხინისა და მხიარულების ატყვილებელ საკრავად მოჩანს. ცხადია, რომ დროთა გან-

¹ Аракчиев, Д. [—დ. არაყიშვილი], Народная песня Западной Грузии, стр. 137—138; არაყიშვილი, დ., ქართულ მუსიკა (მოკლე ისტორიულ მონობლი), ქუთაისი, 1925, стр. 36—37.

² იქვე, стр. 138.

³ კახიანი, стр. 452.

⁴ Wiso Ramin, стр. 392, სტრ. 6—7.

⁵ Sachs, Curt, Real-Lexikon der Musikinstrumente, стр. 101 ა.

⁶ „ჩანგობითა“, ი. შ. პირველი პირველი სამეცნიერო ენციკლოპედია, стр. 115—116.

მავლობაში ჩანგის დანიშნულებაა და მასზე დასაშ-
 დერი ჰანგ-ლექსების შინაარსიც სარღებით შეუც-
 ლია. მაგრამ ეს საკითხი პირველ კლდე შესასწავლო, რათა სანამ ამ
 ცნობას, რომ ნადიმზე და ლხინში ჩანგს მხოლოდ მხარულებისა და სიმბრე-
 ლის გასაძლიერებლად უკრავდნენ, არიდ კუშმარიტხელ მიერწვევით, წ-
 ნასწარ უნდა ჩანგზე დასამღერი უმთავრესი ხმებისა და შორბას ჰანგის
 პირველი ვიციოდეთ. ეგების ამ სიმღერების გაყენებამ დაგვიჩვენოს, რომ ბევ-
 რად მონადიმე ლხინშიც მწებარების მომიხობველი ლექსებისა და დასა-
 მღერი ჰანგების მოსმენას არ ერიდებოდა და მხარულებაშიც მწებარებას არ
 ვერწყვებოდა. ამის გამოსარკვევად შეანამეს ქართულ თარგმანში, ჩისტოპი-
 ნში, შემდეგი საყურადღებო ტაევი მოიპოვება:

ქვემოთ შეყურებთ რომ საფარდეს იქცა,

ერთსა ვაცსა ჩანგი მქონდა მეფეს წინ

და თითო,

ვგატკბავდი მქრასუფრთველ მეფისა და ჩისტოპის,

გამსვენებდა მახანდართ. ხელოვნო თუმი პოეტი

შავასდაამე, ჩანგზე ამ მერჩანვე მომღერალს მეფისი (თუ მეტყვანი, იმ
 მეფისი) და რასტინოვა დაუკრავს. იუს. აბუღლაძეს თვის გამოცემაში
 განმარტებული აქვს მხოლოდ, რომ ერთი შესყავლური ხმის, სიმღერის სი-
 ხელით, და არსებული ლექსიკონების მიხედვით, ამაზე მეტის თქმა არც
 შეიძლება. მაგრამ, როგორც თავის ადვილს ვაერწმუნდებით, ჩანგის ერთ
 ამ ჰანგთაგანია, რომელიც სმარსულ რეა ხმის შეაღვენა.

მულნი 1 მეფეთა იმ-ში გვხვდება, სიდაც ნათქვამია: „შეგებნების
 გერდი წინასწარმეტყუელთა... და წინავე მითხა ქნარი და წრწული და უნა-
 ნი და მულნი სო-სო. საქ. მუს. ხ. № 51 A-ში ამის მიავერ წინადადებას უყანს-
 კნელი ნაწილი ასეა გადმოთარგმნილი: „ქნარით: ნესტე და ბობღანი“¹ —
 ხოლო ომეის დაბადებაში სწერია: „დასი წწელითა... და წინავე მითხა ჰანო
 მემღერნი და ქნარით, ნესტე და ბობღანი“².

ბერძნულ თარგმანში არის: „ნაბალ კია ტუმანონ, ვია აელის კია
 კნერა“ — ლათინურში psalterium et tympanum et libiam et citharam
 და სომღურში: *არჩიყ ხე ქიყოს ხე ჟიყ ხე კნარ* შედარება ამა
 მიამს დაარწმუნებს, რომ ქართული თარგმანის სამხვე რედაქცია ვიღამწერ-
 ლაგან დროთა განმავლობაში უნდა დასაბინებულ და დაზიანებულ იყოს.

¹ სხვა ხელნაწერებში: „მეფისთა რასტინოვი“, — „ქვემო და ჩისტოპი“.

² როსტომანი, ტ. 2114, ვ. 2.

³ ვ. 3 ა. 4.

⁴ საქ. მუს. ხ. № 51 A-ში და ომეისში მხოლოდ 3 სურათი დასაძლიერებელი ამ
 დროს, როდესაც ბერძნულს, ლათინურს და სომღურს თარგმანში სიდაც, როგორც ვარ-
 უდეს ბაქარისეულს ხელნაწერშიც 4 სურათი მომდის შედარებით ზოლისა მეთხვე
 სურათის ბერძნულ კინერა-სა და ლათინურ cithara-ს ქართულ შესაბუნობა აქცა ზე-
 რის გამოცემაში თუმცა 4 სურათი აღნიშნული ბერძნულ ზოცა სხედებას არ უნდა
 უქ ორი ძილებიანი სურათია მოსვენებულ — ქნარი და ენის ასევე, როგორც ბერძნულში
 (ნაბლა და კნერა), და კიდევ ორი სხვადასხვა წიწული და მეღერ. ბერძნულს და ლათინურს
 თარგმანებში-კი ტუმანონ, ტუმანუმ და აქცა და ტბისა იმ უყანსეული ბერძნულ და
 ლათინური სხედელი, ჩასაბერი სურათის სხედელი და საქ. მუს. ხ. № 51 A-ის რედაქციის
 მუსტეს შესატყვისობას წარმოადგენს. სილი 2 პირველი ტომისა სურათი სურ-

მულნი თეიმურაზ I-ლის იოსებ-ზილიხანიანში გვხვდება მის რეთის ხელმწიფის მეჯლისისა და ლხინის აღწერილობაში. იქაო „ჩანესკითა, უღ-ქამანში, მულნი ყანუმს შეეხმობის“-ო. მაგრამ ამათზე უფრო საყურადღებოა, რომ მულნი, საქართველოში მე-17 ს-ში გაავრცელდა. მულნი საქარავთა შორისაც ჩანს. ფეშანგის სიტყვით, შანსი ვახისათვის საცოლოს მოგვრის გამო გამართულს წვეულობის დღის „მულნსა ჰკრეს ძალსა მოსწივეს, ზილს ჰქონდა მორთული ე ბანი“-ო.

ამ ცნობითგან ირკვევა, რომ მულნი ძალებიანი საქარავთა ყო და მის ერთ ძალს ზილი ჰკრქმევდა. მეორეს ბანი, რომელიც ერთმანეთის მორთვით, ე. ი. შეთანხმებით, უძვეელია უნისონო რად, იმართებოდენ ხოლმე.

გ. ჯაკობიას სამართლიანად განმარტებული აქვს, რომ „მულნი ან მუღნი მუსიკალური სიმებიანი იარაღი ჩონგურის სახისა“-ა.

ქართული მულნი უნდა, როგორც Curt Sachs-საც, ეტყობა, შეუმჩნევია, არაბული მოღნი იყოს, რომელიც სასიამოვნოს ნიშნავს და იმავე დროს ყანუნის მავგარი ძალებიანი საქარავის სახელი იყო. ვადმოცემით იგი საფიქლინის მიერ არის გამოგონებული, ყანუნ-ი, ანუ ყანონ კანუნ ბერძნ. კანონ-ის მსგავსად, არაბ. საფსალმუნეს წარმოადგენდა, რომელსაც ტრაპეციის (rechtwinkligen Trapezes) მოყვანილობის რეზონატორი ჰქონდა. ამ ტრაპეციის საფუძველი $3/4=1$ მეტრს, სიმაღლე 34—43 სანტიმეტრს, ტანის სისქე-ეი $2/3=5$ სანტიმეტრს. ზვეითგან უმეტესად ფუტარი აქვს დამაგრებული; რომელშიც 3 ნაჩგრეტი და მარტო ვიწრო მსარესკენ ტყავი აკრავს. 63—78 ძალი აქვს გაბმული ტრაპეციის საფუძველის პარალელურად, მაგრამ სამ-სამი, ანდა იშვიათად 2—2 ძალი ერთნაირად არის ხოლმე მომართული. ყანუნს ჩამოსაყრვით უკრავს ხოლმე.

ყანუმშიც თეიმურაზ I-ლის იოსებ-ზილიხანიანში მისრეთის ხელმწიფის სამეჯლის-ლხინო საქარავთა შორის არის დასახელებული: იქ სა-

რავის სახელია, რომლის ქართული შესატყვისობა ბობანი მხოლოდ სქ. მუხ. ნ. 26 51 A-ს და ოშის დაბადებასაც აქვს, ბაქარის გამოცემაში-ეი წინწილი-ა დამტული, რომელიც, სხვა რეზერვს სახელია. რა-ი დაბადების თარგმანის ამ რედაქციის სტრუქტურა ამ ადგილს არა აქვს, არამედ მულნი. ამიტომ შესაძლებელია ეს ტერმინი ბერძნულ აქლოს-ის, ლათინურ ტინი-ის და ქართულ სტრუქტურის შესატყვისობად მიგვაჩინა, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა, უკვე ის გარემოება, რომ მულნი ს. ორბელიანს ბარბათის სიმონიშვილ აქვს მოყვანილი, ცხად-ყოფს, რომ მის მულნი სტრუქტურით ჩასაბერ საქარავთ-ეი არა, არამედ ლალებიანი საქარავთად მიაჩნდა. ამ განმარტების სისწორეს მისი სახელიც ამტკიცებს, რომელიც არაბულია და რომლის მნიშვნელობის საბაზის განმარტების სისწორის შემოწმება ამ გზითაც შეიძლება.

1. თეიმურაზ კარველი, იხულებათა სრული კრებული, ილ. ბარამიძის ილ. გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ. 1934, გვ. 74, ტ. 118.

2. ფეშანგი, შანსავახი, § 157 და 161.

3. ჯაკობიას, გ. იოსებ-ზილიხანის ქართული ვერსიები (ქრტიული ტექსტის დამუშავება და საბუღუმის დროებითი), პირველი ნაწილი, ტექსტები, ტფლისი, უნივერსიტეტი, 1927, გვ. 182.

4. Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 263 a-ა და 261 a-ა.

5. იქვე, გვ. 309 a.

სახლში ღვინის დროს „ჩანგ-სეთაი, უღუქმანა, მუნსი ვანუქს შუა კუბის“-ო.

ამ საკრავის სახელი გ. ჯაკობიას პირველ გამოცემაშიც და შემოკლებულ (ილ. ბარამიძის ერთად) არც განმარტებულია და არც უკუნიშნავია შეტანილი.

სანთური არც ს. ორბელიანის ლექსონაშია შეტანილი და არც სხვა ქართულ ძეგლებში ვხვდებოდა მაგრამ საქართველოში რომ ძველად, მე-17 ს. შვიტრე ნახევარში მაინც, ქარვად ცნობილი საქრავი ყოფილა, ეს საბა ორბელიანის ეროსოშ მოგზაურობის აღწერილობითიდანაც ჩანს. ქართველ შეთხვეულს ეს ეროსოშ ეროსოშ ნახს საკრავთა მწყობრის შემადგენლობაზე მოუთხრობს: „ერთი სანთურთ უკრავდა“-ო (გვ. 24).

სანთური ირანსა, არაბეთსა და ოსმალეთშიც ფართოდ ვხვდებოდნენ სიმებიანი საკრავი იყო. იქ სანთურადაც და სანთურადაც ვხვდებით მისი მუცლად მას ნიუზის ხისგან გაკეთებულ ტრამეტას მოყვანილობის უფთი აქვს, რომელზედაც 72—100 ლიონის სიმა გამოედო. მის ასაედერებლად ძალსიყვმელსა ხმარობენ.

§ 3. ჩამოსაკრავი საკრავების უკრავი

ამოსკლეთ საქართველოში ფანდურის იმდენად გავრცელებულიყო და ისე ხშირად ვხვდებოდა ხალხურ ლექსებში, რომ მოსლოცული იყო, რომ მისი სახელი ძველ ძეგლებშიც შევხვდებოდა, მაგრამ ეს მოლოცული არ მართლდება, ვერ ვერობით მანც ამ ტერმინის მე-10 ს-ზე უწინარესაც ქართულში არსებობა მხოლოდ მისგან ნაწარმოები ტერმინით სო ფანდურებელით: ბტაცდება.

ს. ორბელიანსაც-ეი ფანდური უფს ლექსონაში გამოხატეს და მისი ცალკეულად შეტანი დაწვინები: მაგრამ ეს ტერმინი მანც ოსმალეთშია ქვეშე მოთავსებულს ერთ-ერთს მისივე განმარტებითაში ვხვდებოდა. სახელდობრ „როცა არს საზა, ცეცა ბეწა, კლა, ფრკული, ბრგულთ წყობა და რაოდენცა ეხანთა, ფანდურთა“ (BC ბეწა: ბტაცდებათ) მიერ იქნებიან“-ო.

საფანდურებელი იპოლიტეას ქართულ თარგმანში ნახს: „ინტერისტეს შესახებ, სადაც ტერმინად უღელა-ც ვხვდებოდა, ბეწა: მალიანი საკრავის ჯარავის მნიშვნელობით ნუხნის. ამ ეკლ საკრავი: ბო ეს წინადადება პროფ. ნ. მარჩის აქვს მოყვანილი ფანდურის განმარტებაში. იპოლიტეას შემოღობსებულს ნაწარმო ნაქვეში: „საკრავსა ქნარისა ვივითმე აღრთულ რომელთა აქვს უღელი ერთ-ერთსა სო ფანდურებელი“-ო.

სამწუხაროდ ნ. მარჩის ნაწარმოში აღნიშნული არ არის, თუ ზემოთ-ვხნილი წინადადება რის განმარტებას წარმოადგენს, რადაც ქნარის მსგავსად ყოფილა „აღრთული“ (ე. ი. ვებელი, თუ მომართულ), მხოლოდ

1 თ. ვ. მარჩის, იმდენად სხელ ქვეშე მოთავსებულია მისივე ნაწარმოში: ნახს, ტ. 118.

* Sachs, Curt. Real-Lexicon der Musikinstrumente, S. 331 *.

* Мара, Н., Иллюстр. Тамарае некая некая, Тр. წიგ III S. LXVII.

შის ძალეებს, ანუ სიმებს ქვემოთგან უღელი, ანუ ჯორაკი ჰქონია შედგენილი ტერმინი საფანდურებელი სწორედ ამ ჯორაკის განსამარტავად ამ მოყვანილი, მაგრამ ამ ტერმინის მნიშვნელობა მაინც გაუგებარია. ი. შ. ა. ა. ამბობდა: საფანდურებელი ნაწარმოებია სახელშენი ფანდურებ-პასაგან, რომელიც ფანდურის დაკვრას და საერთოდ ძალებიანი საკრავის დაკვრას ნიშნავს. ფანდურება კიდევ ფანდურისაგან არის ნაწარმოები.

საფანდურებელი, უეჭველია, იმის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რაც ფანდურებისათვის იყო განკუთვნილი. თუ ფანდურებმა პართლაც დაკვრას ნიშნავდა, მაშინ საფანდურებლად, ანუ მოსაკრავი კბილი, ანდა შვილდაცია საგულისხმებელი. ზემომოყვანილის წინადადებაში-კი საფანდურებელი „უღელის“, ე. ი. ჯორაკის განსამარტავად აღიქმადს, რომელიც დაკვრისათვის-კი არა, არამედ ძალთა ხმის ქვერის მკაფიობისათვისაა სპირო. მაგრამ ერთი: ხალხური ლექსითგან ჩანს, რომ საფანდურებელი საკრავისა-კი არა, არამედ საქსოვი ხელსაწყოს კუთვნილებას წარმოადგენს.

ხვედრული ქვემომოყვანილი ლექსითგან ჩანს, რომ ფანდურის ერთ ნაწილს ორლოლი ჰქმევია: „ბებერო ჩემო ფანდურო, საშიბის ვიდრე ორლოლსა“². სამწუხაროდ ორლოლის რაობა გამოურკვეველი ვერხვია.

მაინც უეჭველია, საფანდურებელი-ცა და ფანდურებაც ფანდურისაგან არის ნაწარმოები, და ეს გარემოება ამ საკრავის სახელის ქართულში დიდი ხნით ამაზე უწინარეს არსებობას აქვდავენებს.

ფანდური ბერძნულ პანდურას უღებდა, ხოლო სომხურ ფანდირისგან თავისი უხმოვნით განირჩევა.

ფანდური ძალებიან საკრავთაგან ერთი უძველესთაგანი ჩანს, მათი საკრავი ძირითად ბარელეფებზეა აღბეჭდილი. იგი ყელიან-მუცლიან საკრავთა ჯგუფს ეკუთვნის და თავდაპირველად მისი მუცელი, რომელსაც რუზონატორის დანაშნულება აქვს, კოკოსის კაცლის ნაჭუჭისა, ანდა სხვა მსგავსი მომრგვალო ბუნებრივი ღრუს მქონებელი მცენარეული ანუ ცხოველური საგნისაგან კეთდებოდა. ინდოეთში დღევანდლამდე ტანბურად წოდებულ საკრავის (სახელი თანამოვანთა ადგილმონაცვლეობით არის ბანდურისაგან წარმომდგარი) მუცელი ბუნებრივი საგნისაგან კეთდება. ხისაგან ეს კეთებელი მუცელი მერმინდელის გაუმჯობესებას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყანაში ისეთს ყელიან-მუცლიან საკრავს სხვადასხვა სახელი დაერქვა: ქართული ჩონგურ-ც რომ ფანდურის სინონიმია, ეს ხომ იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ეს ორი სახელი ერთსადაიმევეს, ანდა ორ მეტად მსგავსს საკრავს ეწოდება.

თუ გ. ზეჭაურს, გ. შადურსა და ბევრს სხვასაც შეეკითხებით, „ფანდური და ჩონგური ერთიდაიგივეა“. განსხვავება ვითომც მხოლოდ იმაშია, რომ ამ საკრავს ზეჭაურს „ფანდურს ეძახით და ბარში ჩონგურსა“-ო³. მაგრამ ვაბი

¹ М а р р, Н., Нишлит, Тодкование песни песней.

² შ ა ნ ი ძ ე, ა. ქართული ხალხური მოეზა, I. ხვედრული, გვ. 154.

³ S a c h s, C u r t. Real-Lexicon der Musikinstrumente, T a n b u r, გვ. 375.

⁴ შ ა ს ა ლ ე ბ ი: ვაბ. ვაფაროდის ჩანაწერი.

ინფილის სიტყვით, „როგორც უფრო დიდი მუცელი აქვს, ხოლო ფანდურს შედარებით პატარა“-თ.

ფანდური წინათ ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული და ხალხური სიტყვიერი შემოქმედებისა, მელექსიებისა და სიმღერისათვის აუცილებელ საკრავს წარმოადგენდა. ამის დამამტკიცებელი მრავალი ხალხური ლექსი არსებობს.

რაწაშს იდამიანს მოზღვავებული ვრძობა მოაწვევს და მის არსებას გამოთქმის შეუკავებელი წყურვილი მოიცავდა, მელექსს ამ წამსვე თავისი ფანდური მოაგონებოდა, რომლის პანეს აუცილებლც თავისი პანის წილობილსიტყვიებითი გამოთქმა მას ვერც-კი წარმოედგინა ეს ვარაუდები არა ერთს ხევისურულ ლექსშია აღნიშნული, მაგ. „ლექსს გულზე ვამაგი-ვარა, გამაგიტანე ფანდური“-თ. ნათქვამი აქვს მის ავტორს. ან კიდევ: „ლექსს ბტყვის ათარამეილი, გაართო ფანდურის ღარიო“-თ, მინდით ახალსაც ნათქვამი აქვს „დავიცა ლექსობა დავიწყო, ფანდურ ავიღე კელშია“-თ.

გარშოგეტანე, ფანდური, დავიწყო ხალხური,
როდის-და მოხელე, შამოხი, ლექსში გავტყობი.

თვით ისეთ ლექსების კვლავ წარმოთქმისათვისაც-კი რომელნიც უფრო ხანია უკვე სხვათაგან გამოთქმულია ხელზე, ხალხს საკრავი უკველად სჭირდებოდა. მაგალითად ვრას ფშაურს ლექსში გამოთქმულს აღნიშნული აქვს:

ლექსო გამაგებომა, იბერიო,
თორთ იქნება კავებოდე
და შენ-კი ზეშად სასოერიდე
საქათსა რჩებოდე,
გამღერდენ ჩემებრ სწოტები
ფანდურის ხმაზე სეუბოდე-თ.

მაგრამ ფანდური მარტო სიმღერისა და ლექსის სათქმელად და ახაყთლებლად-კი არ იყო განკუთვნილი, არამედ ფშავსა, ხევისურებისა და ქიზიურშიც სავსევანო საკრავად-დაც ხმარობდენ და ხმარობენ უხლ-ც ისევ შესაძლებელია სხვათაშორის ხალხური ლექსებითაც დამტკიცდეს. მაგ. ფშავის „ქალო ქრული“-ში ნათქვამია: „როგორც დამიკრავე ფანდურს და თსევე დავიროკვდებო“-თ.

ქართლში, ს. ნიჩბისში, ჩაწეროლს ვრას ლექსშიც აღნიშნულია:

შარშანდელ ვერხებობს
... შე და ჩემსა ამხანაგმა

1. ვ. ს. ლეღია.

2. ვ. ნ. იმე, ,, ქართული ხალხური პოეზია, I. ხევისურული, გვ. 243, § 296.

3. ი. ჯ. ბ., გვ. 261, § 643.

4. ი. ჯ. ბ., გვ. 274, § 675.

5. ი. ჯ. ბ., გვ. 154.

6. ხალხური პოეზია, გვ. 2.

7. ი. ჯ. ბ., გვ. 29.

დ. უკარძო ფანდურა,
ერტი ქალი თამაშობდა
წელში გამოყვანილი-ი.

ბარბითი ვეფხის-ტყაოსანში ლხინის დროს მცდერ ერთ-ერთ საკრავთაგანად მოჩანს. მაგ. ტარიელის სიძებნელად გამგზავრებული ავთანდილი ამბობს: „მოუშორდი ლხინსა ყოველსა, ჩანგსა, ბარბითსა და ნახაო-ბა, ხატაელებზე გამარჯვების შემდგომაც ინდოთ მეფისადმი მიწერილს ტარიელს წერილში ნათქვამია:

კვლავა დაქთა მხარული, მომატა სმა და მღერა,
ქული გაგრილდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა ეღერა.

როსტომიანში ამ საკრავის სახელს ხშირად გვხვდება, მაგ.: ზალდატ-ნირომ ნადიმს შეუღდა,

მერმე დასხდეს სანადიმოდ, მუნა იყოს ჩანგთა მღერა,
იყო კარგი სახარული, ბარბითისა ტაბილად ეღერა.

მაგრამ ვეღა ეს ამონაწერები უცხო კვყენის ცხოვრებას გვისუბრალებენ, ქართველ ისტორიკოსთა და მებოტბეთა თხზულებებში-კი ბარბითა არსად დასახელებული არ არის და ეს გარემოება თითქოს იმის მიხედვებულ შინაგ უნდა იყოს, რომ ბარბითი საქართველოში ძალიან გავრცელებულ საკრავი არ ყოფილა.

საბა ამბობს მხოლოდ, „ბარბითი მულნიო იყოო“, მაგრამ თვით მულნის არამც თუ განმარტება, ლექსიკონში შეტანილ-კი დაჰვიწყებია.

მაინც ქართული ბარბითი ბერძნულ ბარბიტონ-ს უდგება და სპარსულ ბარბატისაგან (მრ. რ. ბარბათ) განსხვავდება. ორივე ეწოდებოდა ან-შუცლიანი დაბალი, ზოხი, ხმის მქონებული საკრავი იყო, რომელთა სახელს ეტიმოლოგიაცა და ნამდვილს რაობაც ვერ საბოლოოდ გამოიკვველო არ ჩინს. ის გარემოება, რომ ამ საკრავის ქართულში განმტკიცებულს სახელი სპარსულითგან-კი არა, არამედ ბერძნულითგან მომდინარეობს, თანაც პირველი თანხმოვანი ბ-ს ძველი გამოთქმის დამცველია. ამ საკრავის საქართველოში დიდს ხანგრძობას მაინც ამტკიცებს და შესაძლებელია მომავალში აღმოჩენილმა, თუ გამოქვეყნებულმა ქართულმა ძეგლებმა ცხადდეს, რომ ეს საკრავი არც თუ ისე იშვიათი უნდა ყოფილიყოს საქართველოში, როგორც ეს ამჟამად ცნობილი ქართული ძეგლების მიხედვით საფიქრებელი ხდება.

სწორედ გასაოცარია, რომ არც ჩანგური და არც ჩონგური ს. ორბელიანის ლექსიკონში შეტანილი არა აქვს. არ ვგვხვდება იგი არც შავთელის, არც ჩაბრუხადისა არც შოთა რუსთველის თხზულებებში. ვისრამიანსა და როსტომიანში ისევე, როგორც შანაშაის თარგმანის სხვა ნაწილებშიც ამ სახელების არაერთი კვალი არა ჩანს. ამავე

1 ბალხური პოეზია, გვ. 119.

2 რუსთაველი, შ. ვეფხის-ტყაოსანი. წახელა ავთანდილსა ძეხად ტარიელსა.

3 იქვე.

4 როსტომიანი, 1670-გ-3.

5 ბარბელიანი, ს., ლექსიკონი.

6 Sachs, Curt. Real-Lexikon der Musikinstrumente, 23. 30-31-4.

უფრო გასაოცარია, რომ არც მერმონტელ ქართულ მცოდნეებს ლექსებსა და პოემებშიც გვხვდება. ეს გარემოება ამის მომხმარებელი უნდა იყოს, რომ ეს სახელი მაინცდამაინც ძველი არ არის.

იოანე ბატონიშვილმა ზეციის მოკლე სახელმწიფარეოს ხელნაწერში-ეი ამ სახელის მქონებელს არსამართა სახელი აღნიშნულ ქართული ჩონგური, ყიზილბაშური ჩონგური, და ქართული ჩანგური. ამ მეცნიერს ამ სახელების ზოგად აღწერლობაც მოეპოვება. საყურადღებოა, რომ იოანე ბატონიშვილს ჩონგური და ჩანგური: ორ სწავადისხევეთარ საყარავეთ აქვს აღნიშნული. მის ნათქვამი აქვს პირდაპირ „საქართველოს საყარა ორნი გუარნი არიან ძველად, რომელსა ზედა ავლობების და მსოფლისსაცა ესე იგი ქართული ჩონგური, რომელსაცა ამა სამი სამი, თხი აფორი და ერთი ყვითელი,—და მეოთხე მისს ზელს სამი, ამა ჩონგურსა აქვს ყვესი ფარდა... ყვითელის მხარეს სამის დავროს ფროს მომწიფებს მამისა საშუალო თეთრი სამის დავროს მომწიფებს საშუალოს მამისა, ხოლო ვითრო თეთრი სამი მალაღსა მამისა... იგბრთვე ჩანგურზედა მოვალს მამისა და უკეთესსა, ამისთვის ამას მომატებით აქუს ფარდები და ესეც ამ სახით იმცენ“-ო!

იოანე ბატონიშვილის სიტყვით ჩანს ქართულ ჩონგურზე მეტი ფარდები მქონია. თვის სახელმწიფარეოში მეცნიერ ბატონიშვილს ნათქვამი აქვს: „ესე ამისთვის შევიბინე, რომ ვისაც ნებას ჩანგურ და კლავიორდზედ ქართული ვალობა ეს-ფარდები უნდა იმართოს, რომ მივიღოს სწორედ ვალობა. ხოლო ქართულს ჩონგურს რედ აქვს არს საყარა ფარდა, ვითარცა ზეით დავწერეთ, ხოლო ყიზილბაშურს ჩონგურსა: ჩართაოსა და სანთურსა ზედა კვალდ ექონებებს ეს (ამ) ფარდების მმარება, ვითარცა კლავიორტში (sic) არს რაკცეთი ვედაღნი“-ო!

დამახასიათებელია, რომ ქართულ ჩონგურსა და საქართველოში არაგორც ყიზილბაშურს ჩონგურს, ძაღუბის ზევიერ. ს-მებაი მქონია იოანე ბატონიშვილის აღწერა-ღობაში, რომ სამი ამ ზოგადი მნიშვნელოვანით არის ნახშიარა არაგორც და ნამატდროვე ქართულშია მიღებული, ექონებენ ჩინა, რომ მისივე სიტყვით, ამ საყარავედის ორი სამი თეთრი და ბრ-თბც ყვითელი ყოფილა ძაღუბის, ცნობილი, ვედა ქათვირისა ს-მება-ეი ვერცხლისა (თფრო) და თითბოთაგან (ყვითელ) კვადობა.

იოანე ბატონიშვილის შემოთავაზებულ განმარტებასთან ერთად, რომ თანამედროვე გაგებით განმარტებასა და მხარეებზედ უნდა ჩონგურისა და ჩანგურის სწიფელს რ-მებზედ უნდა ჩონგურისა და ჩანგურის ორველი რომ აღურს იგბრებობაზე მუდარი ყოფილა ორველი რომ ქართულ ჩონგურს რ ფარდა მქონია ქართულ ჩანგურსა-ეი იმაზე მეტი სახელობის რ ფარდა მქონია. ამისთვის ყიზილბაშურს ჩონგურსა-ეი ქართული-ან ვედა-რებობა ფარდები მომატებულა მქონია მამისა-ეი, ფარდების რ-მებზედ მხრივ, ქართული ჩონგურს ყიზილბაშურს მხარეს.

1 სპ. მუზ. ხ. N 2241H, გვ. 11-12.
2 იქვე. გვ. 15.

საყურადღებოა, რომ იოანე ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, ქართულ ჩონგურს აქვს „სამი სიმი, —ორი თეთრი და ერთი ყვითელი“-თ. ისე გამოდის, თითქოს ეს საყრავი სამ-სიმიანი ყოფილიყოს, მაგრამ იქვე დამატებული აქვს: „და მეოთხე ძირს ზილის სამი“-თ. მასთანავე, ჩონგურიცა და ჩანგურიც ოთხ სიმიანი საყრავი ყოფილა. მეცნიერი ბატონიშვილის აღწერილობის ეს უცნაურობა რომ შემთხვევითი არ არის, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ჩონგურის სიმების დანიშნულებისა და ხმის განმარტების დროსაც მხოლოდ სამ სიმზეა საუბარი: ყვითელი სამი „მოასწავებს ბანსა, საშუალო თეთრი... საშუალს ხმასა, ხოლო გარეთი თეთრი სიმი მაღალსა ხმასა“-ო, მეოთხე სიმი-კი აქაც რატონაც დაჰყვებია. შესაძლებელია იმიტომ, რომ მეოთხე სიმზე პირველადვე აღნიშნული ჰქონდა, რომ ის „ხილის სიმი“ იყო, მაგრამ მაინც მეოთხე სიმს სამზე უფრო ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული.

თუ იოანე ბატონიშვილს 3-4 სიმიანს ჩონგურსა და ჩანგურზე აქვს მხოლოდ ცნობა, ორ-სიმიანიც ყოფილა. ეს ქვემოთმოყვანულ ზეპირგარდმოცემითგანაც ჩანს.

კახეთის ს. ბუშატის მცხოვრები 63 წლისა ნიკო ალექსისძე დავითნიძე ამბობს: „მამაჩემის ხანაში ორ-ლარიანი ჩონგურის დაკვრა იცოდნენ. შემდეგ ჩვენ დაუწყეთ თლა სამ-ლარიანი ჩონგურებსა, ესე რომ ვიქნებოდი მაშინ თორმეტ-ამტო წლისა. წინათ იყო ა. ემნაირი ორ-ლარიანი ჩონგურები: ებმბო-ბოდა მართო ორილარი. ხოლო გათლით ყველა ხისა ითლებოდა, ორ-ლარიანიცა და სამ-ლარიანიც“-ო.

ამ თავის დებულებას ზემოაღნიშნული მომთხრობელი კვლავ უბრუნდება და იქაც ამასვე და უფრო მეტსაც-კი ამტკიცებს: ჯერ რომ ორ-ლარიანი ჩონგური იყო ჩვენში გავრცელებული, „შემდეგ ჩვენი ხნის ხალხმა დაუწყეთ ჩვენი ხელით თლა, დაუმატეთ მესამე ლარი და მაშინ დღესდღეობა სამ-ლარიანი ჩონგურები დაიწყეს: დამტრელებაც მაშინ შეიძლეს ჩონგურებისა: ტრელებოდა ყელი შუა მუცლამდინ. დღესაც ეგეთი სამ-ლარიანი დამტრელებული ჩონგურები უპირავთ. მე ორ-ძალიან ჩონგურზე შეგვივიღე და შემდეგ უკრავდი სამ-ლარიანს“-ო.

ორ-ლარიანსა და სამ-ლარიან ჩონგურს ხიდეების რაოდენობაც სხვადასხვანაირი ჰქონდა. ნიკო დავითნიძეს განმარტებით, ორ-ლარიან ჩონგურს „მაშინ... ჰქონდა ორი ხიდი და იმ ორ ხიდზე ათამაშებდნენ თითებ“-ო. ასეთ საყრავზე ბევრი ხმის დაკვრა არ შეიძლებოდაო და ჩვენ „სამ-ლარიანს ბევრი ხიდეები გაუკეთეთ: ექვსი, შვიდი, რვა-საც უკეთებდით“. ამის წყალობით, ეხლა რამდენი ჩამოაყვალა თითებს, იმდენი ხმაც ჩამოჰყვება. წინათ

1 მასალა: ლ. ბოჭორიშვილის ჩანაწერი.

სულ ერთი ხმაზე იყო მღერა, უბრა რამდენი მომეტებული ხმ-
დებია, იმდენ მომეტებული ხმაზე მღერიათ.

ბუშატელი ნიკო დავითნიძის ცნობით, ორლარიაში „წა-
ნანდელი ჩონგური უფრო ვრძელი იყო (იველისხმება ვა-
რე სამ-ლარიაში). მაშინ ვგეგო ლამაზი-კი არ იყო, მაგრამ ცოტა უფრო
მოზრდილი იყო და ხმაც უფრო მეტი ქონდააო.

სტ. შენთეშაშვილის ცნობით, აჭიზიყში ჩანგური ახ-
ჰარება, ხოლო კახეთისაგან ქანგურია და ჩონგურ-
იაცა.

აგებულებითა და წყობილებით: ფანდურსა და ქართულ ჩონგურს ქო-
რის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის და ჩასაც საქართველოს ში-
ნეთში მგ. ხევსურეთსა და თუშეთში ფანდური ჰქვია, ამას უფრო დაბლობს
ადგილებში ჩონგური ეწოდება. ამ მხრივ სავულისხმოა, რომ თუშეთ-
შეთში ფანდურს უკრავენ, მაგრამ გარეკახელს იჭურია საყრავთაფის ჩონ-
გური აქვს სახელად ნახმარი, ერთს გარეკახეთში ჩაწერულ ლექსში მგ. ასეა
ნათქვამი:

ჩილოს წისქვილში აბობა
ნანა, თორღვის ქალა,
ჩონგურსა კარგა უკრავდა—
მთელ თუშებს აჯილა—
უკრავდა, თან დასმოდან
ღმერთო, მაყოცხლე ქმარა ჯ.

ქართლ-კახურ ჩონგურს, დ. არაყიშვილის აღწერილო-
ბით, ორი წყვილი სიმი აქვს, რომელთაგან თვითთველი
წყვილთაგან ერთნაირად არის მოშართული „ბიტომაც
ჩონგურს ორი ბგერა აქვს და თითო ბგერას ორთხის
სიმი, კვარტაზე აწყობილი“-ო.

ამვე ავტორის ცნობით, სავურამოელ ალიქსა შენგველიას
ფანდურსაც ორი სიმი აქვს, რომელთაგან 1 სიმი (ნაილ მარ-
თება, მე-2 კი ვის-ადო.

ხოლო ქართული სამამალიანი, ან ლარიანი ფანდური
დ. არაყიშვილის ცნობით, ამართება დიდ, ანდა მცირე ტერცოპ
და დიდ სეკუნდად, ე. ი. ტრიქორდად კვარტაშიო.

გურული ჩანგური პირველად დ. არაყიშვილმა აღწერა
თავის რუსულად გამოქვეყნებულს ნაშრომში „დასავლეთი საქარ-
თის“

1 მასალა.
2 მასალა: ლ. ბოჭორიშვილის ჩანაწერი.
3 მასალა.
4 ხალხური პოეზია, გარეკახეთი, გვ. 145.
5 არაყიშვილი, დ. ქართული მუსიკა, გვ. 34.
6 არაყიშვილი, დ. საქართველოს მუსიკის სიმუსიკო საყრავთის აღწერა-
ლობა-განხილვები.

7 Аракчиев, Д. [—დ. არაყიშვილი], Краткий очерк развития грузин-
ской карталино-кахетинской народной музыки, с приложением нотных примеров и 27
песен в народной гармонизации. Москва, 1905, 30-10, № 2.

ველოს ხალხური სიმღერა¹, შემდეგაც მოკლედ თავის ქართულ თხზულებაში „ქართული მუსიკის ისტორია“², რომელშიც შესწორებულია რუსულ ნაშრომში შეპარული შეცდომა მოკლე ლარის დვილმდებარეობის შესახებ. გურულ ჩანგურს აბრეშუმის ოთხი ლარი აქვს, როგორც გურიაში უწოდებენ, ძაფი აქვს.

რაც ამ საკრავის აღწერილობა ქვევით უფრო ვრცლად გვექნება შევანილი, ამიტომ აქ მარტო ამ ცნობით დაგვამყოფილდეთ, რომელსაც არაყიშვილს ჩანგურის ლარებსა და მათ წყობაზე აქვს საუბარი. მისი ტყვეთ, „გრძელი, ცაცხვის ხის ტარი ყელში გადაღუნულია, გადაღუნულ ყელზე სამი მოქლონია³, მეთხვეცი შუატარზეა მოთავსებული, იქ მოკლე სიმია მიმაგრებული... სულ ოთხი სიმია ჰყოთხე მოკლე სიმის მუდამ დაჭერილი(?) გამძლე ტონისათვის არის⁴, წყობა სხვადასხვა სახისაა“⁵.

ცნობები გურული ჩანგურის წყობაზე რუსულ ნაშრომში მოგვრება, რომელშიც ნათქვამია: საკრავის „წყობა სხვადასხვანაირია ხოლმე, სიმღერის და მიხედვით. მაგ. ერთ სიმღერას კვარტ-სექსტაკორდის წყობაზე მღერის ხოლმე კვინტის გაორმაგებული ბგერითურთ (re-sol-si-re),—სხვა სიმღერას ტეტრაქორდის წყობაზე კვინტაში (tetra-chord в квинте), ე. ი. do-fa-sol-ზე, ხოლო, თუ მოკლე სიმის ცეკრობა, მაშინ პირველის (იგულისხმება do-ს) ოქტავით მაღლა იმართება ხოლმე. ზოგჯერ წყობა მარტო დიდს სამბგეროვნობას (большое трезвучие) წარმოადგენს, მოკლე სიმის ძირითადის გაორმაგებულ ბგერას (с удвоенным основным звуком), მომართვის დროს სიმებში სიმალდის მხრით სხვადასხვანაირად იმართება, რათგან (დამშღერებლის) ხმის სიმალდეზეა დამოკიდებული“⁶.

სამეგრელოშიც იმნაირივე ჩონგური იყო და არის ესეც ვაერცლებული, როგორც გურიაშია. ოდნეშიც ჩონგურის წყობა დასამღერ სიმღერებზეა დამოკიდებული და ამისა მიხედვით, ან re-sol-si-re-ზე, ან sol-do-re-ზე, ან sol-do-re-sol-ზე ან sol-si-re-sol-ზე, ან sol-re-fa-sol-ზე ან sol-do-sol-ზე ანდა sol-re-sol-ზე იმართება ხოლმე, მომღერალი, ანუ, სწორედ რომ ითქვას, დამკვრელ-დამღერებელი სიმღერის დროს ჩვეულებრივ ერთ-ერთ სათანადო ამ წყობათაგანს ეყრდნობა ხოლმე⁷.

¹ Аракчиен, Д., [—დ. არაყიშვილი], Народная песня Западной Грузии.

² არაყიშვილი, დ., ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925.

³ რუსულ ზეოციანებლებზე ნაშრომში შეცდომით ნათქვამია: „შესაძებ მოკლე სიმის“⁴.
Аракчиен, Д., [—დ. არაყიშვილი], Народная песня Западной Грузии, 33-7.

⁴ რუსულად: „верхний выдержанный тон“. იხ. იქვე, 33-7.

⁵ არაყიშვილი, დ., ქართული მუსიკა, 33-35.

⁶ Аракчиен, Д., [—დ. არაყიშვილი], Народная песня Западной Грузии, 33-7.

⁷ იქვე, 33-33.

დ. არაყიშვილის დეკორაციებით, ჩანგურს გურულ სიბ-
ღერებში სხვადასხვანაირი მოვალეობა აქვს დაყრ-
სნებული: ზოგიერთს სიმღერებში მას სიმღერისაგან
განსხვავებული თავისი საკუთარი მანვი აქვს, მაგრამ
იმავე დროს სიმღერის შებანებასაც წარმოადგენს.
ზოგიერთს სიმღერებში ჩანგურზე იმავე მანგს უკრავენ
ხოლმე, რაც სიმღერას აქვს, იმ განსხვავებით, მხოლოდ,
რომ მანგს კონტრაბუნქტულს სამკაულოთ აფერადებენ
ხოლმე. დასასრულ, ზოგს შემთხვევაში ჩანგურზე მარტო
სიმღერის მანგს უკრავენ ხოლმე მეორე ღარზე მარ-
ტონის შეშველებითურთ, მაგრამ შებანებას გარდა
ჩანგურზე საცეცკაოსაც უკრავენ ხოლმე, სადაცაა ჩვეუ-
ლებრივ ძალიან მოკლეა და კვარტის, კვინტისა და სექსტის ფარგლებშია
ხოლმე, მაგრამ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ საინტერესოა!

იყალიბელი 86 წ. მოხუცის, ალექსი გიორგის ძის სამხარა-
ულის სიტყვით, ცანგალა თითქოს საყრავის სახელი ყოფილა. მას ნა-
თქვაში აქვს: „ბატონყმობის დროს, მამაჩემს რო ბეგარაზე დუძახეს, მაშინ
გვიფე, ცანგალა რა იყო. ბეგარაზე რო დუძახებდნენ, თითო პურს მისცემდ-
ნენ და, მითომ გაქეფეთო, ცანგალას დუფკამდნენ ხოლმე, თან სიმღერა-
საც ამზობდნენ: «ცანგალა და გოგონაო». ცანგალა ჩონგურ რვიოთ
იყო და ალყებში ქქონდა აბმული. ხოლოთ იმას ნიჩაფო-
ვით პირი ქქონდა და ტარზე კიდე ალყების ასაბმელი
ქქონდა. სამკუთხი პირი ქქონდა ეხლაყ არი კალაქებ-
ში იგეთი ცანგალები“-ო? მაგრამ „სუ წინაო... სიმღერათა შემზობდ-
ნენ, არც ცანგალა იყო, არც ზურნა“-ო?.

იმავე ალექსი სამხარაულის სიტყვით „ცანგალასი და პარის
ალყები სირმებია (sic!), ჩამოსხმული სირმა“, მაგრამ „ცანგალაზე ლარინიც
შეიძლებაოდა“-ო?.

უდი საყრავთა შორის თეიმურაზ I აქვს დასახლებული იქ, სადაც
ოსებ-ზილიხანიანში მისრეთის ხელმწიფის მეფლისზე მეოფე საყრავთა
მწყობრის შედგენილობაა აღნიშნული: ლხინის დროს იქ „ჩანგ-სეთაი,
უღაქამანჩი, მუღნი, ყანუმს შეეხმობი“-ო?.

იმავე მგოსნის „ლეილამაჯნუნაან“-შიც გვხვდება, მაგ. იქ ნათქვამია, რომ
სადაცელილს ლეილას,

კუბო შეუკრეს მას მზესა, საყვე სახალ-უფისა...
კვიელისა და მოთქმისა ხმა სახლთა გამოიღისა,
იყო ხარო და გვითინო, არ თე ცენა მას ცო-რე-რისა-ო?

¹ Аракчиев Д., [=დ. არაყიშვილი], Народные песни Западной Грузии, т. 7-8.

² მასალები: ლ. ბოჭორიშვილის ჩანაწერი.

³ იმავე.

⁴ იმავე.

⁵ თეიმურაზ I, თხზულებათ სიტყვებზე, მეცხრე წიგნი, მთავარი და ხოლმე, წიგნი, ტ. 118.

⁶ თეიმურაზ I, თხზულებათ სიტყვებზე, ელ-ბუნება, წიგნი, ტ. 228.

35 ივ. ჯავახიშვილი, ტ. XI

ს. ორბელიანს სიტყვა უდიკი შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში, მაგრამ მხოლოდ ვითარცა სურნელი ხის სახელი. თეიმურაზ I-ის პოემაში უდი მისრეთის, ეგვიპტის საკრავად ჩანს და ქართული ძეგლების ცნობებით ეტყობა, რომ თუმცა საქართველოში მაინცდამაინც გავრცელებული სურავი არ უნდა ყოფილიყო ირანსა და არაბეთში-კი ძალიან მოსწონდათ, მაგრამ ქართველებსაც სცოდნიათო. ამას ფეშანგის საისტორიო პოემის ცნობა გვაფიქრებინებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ტფილისში გამართული ქორწილის დროს „ჩაღაღანა და უღქამანჩა, მუღნი და შურა ამოთქმითა“¹.

გულ არაბულად ხესა და შემდეგ საკრავსაც ნიშნავს. ირანულ საკრავად არის მიჩნეული და უკვე მე-10 ს. ქ.-შ. აქვს აღფარაბი-ის აღწერილი. უდი ველ-მუცლიანი ძაღებიანი საკრავია. მისი მთელი შუაზე დასწვრივ გაჭრილ მხალს მიაგავს. ყელზე მიმაგრებული თავი უკან არის გადახრილი. თანამედროვე უღს 4—7 წყვილამდე ძალი აბია. მავრა-არაბების წყალობით ეს საკრავი აღ-გუღერ ესპანეთსა და სიცილიაშიც, ხოლო შემდეგ სამუალო საუკუნეებში მთელ ევროპაში, გავრცელდა და laud (ესპანურად), alaude (პორტუგალურად), luthé (ფრანგულად) და Laute (გერმანულად) ეწოდა სახელად, მე-15—16 ს. ერთ საუკეთესო საკრავთაგანად ითვლებოდა და მხოლოდ მე-18 ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული უდი თანდათანობით თავის ადგილს სხვა საკრავებს უთმობს².

სეთაი იოსებ-ზილოხანის ქართულ ავტორს აქვს მისრეთის შუგს სამეჯლისო საკრავთა შორის მოხსენებული. მისს მეჯლისსა და ლხინთი „ჩანგსეითაი, უღქამანჩი, მუღნი ყანუმს, შეეკმობისა-ო“: არც ამ ძეგლის პირველს, გ. ჯაკობიას გამოცემაში, არც მეორეში ამ საკრავის სახელის მნიშვნელობა განმარტებული არ არის.

ქართული სეთაი უიშველია ირანული სეთარ-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. თარ ირანულად ძალსა და სიმსა ნიშნავს, სე-ვი სამს. მამს-სადამე, სეთარ-ი მთლიანად ქართულ სახელს სამ-ძალს უდრის. სეთარ-ი ირანში, თურქისტანს, ავღანისტანსა და ინდოეთში ძალიან არის გავრცელებული, ყელ-მუცლიანი, სმ-სიმიანი (ძაღებიანი სეთარ-ი იშვიათია) საკრავ-კვრცხებრივი, ანდა სამკუთხედი ხის მთელი აქვს. ამ საკრავის ყელი თუმცა გრძელი და 18-ფარდიანია, მაგრამ დავერის დროს 7 ფარდით სარგებლობენ ხოლმე. სეთარს ჩვეულებრივ სალოკი თითით სიმის მოზიდვით უკრვენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ბუიანი შეილდაკითაც³.

ჩასტა მხოლოდ თეიმურაზ I „ლეილ-მაჯნუნიან“-ში გვხვდება იქ, სადაც ლეილის დამარხვაზეა საუბარი: „იყო ზარი და ქვითინი, იოთუ კერა ჩასტა-უღისა“-ო⁴. ამ საკრავს სახელიც ირანული აქვს და ლათონაც ირანულია. წარმომდგარი უნდა იყოს შაშტარ-ისაგან. ტარ ანუ უფრო სწორედ თარ ირანულად სიმს, შაშ ექვსს, მამასადამე მთლიანად

¹ ფეშანგო, შანავაზანი, § 206.

² Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, 33. 403 n: 'Ud no 2380—2390: Laute.

³ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 74, ტ. 118.

⁴ Sachs, Curt., Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 348 a: Sitar.

⁵ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული: ლექსმანერანი, ტ. 208.

უქცხსი იზიანს, ნიშნავს ირანში მოთლაც არსებობს საყვი, რომელიც ჩაშტარი-ეწოდება და სპორიულად ექსისამაშის ღრმეწველად იწოდება უღლიან-მეცლიანი საყრავთა.

ესანიშნავია, რომ თარაის სახელ ქველ ქართულ ძველებში ვხვდებით მანც არსად საყრავთა შორის დასახელებულ არ არს, მე-19 სიმეც ღმოსავლეთ საქართველოში ძლან იგი უმთავრესად ქალქებში და მკელ წრეებში, გავრცელებული. ეთათრცა სპარსულს საყრავს მკვეფრება, მისი სახელიც სპარსულია. თარა საოსულად ირავთაც უკან კითხვას მისი სიმსა ნიშნავს, მაგრამ ამასთანვე ირანსა და თურქეთში იწოდებოდა მეცლიანი სიმეზიანი საყრავთა სახელიც იგი მს. გრძელ ვაღ და მს. სუცელი აქვს, რომელსაც ხელმარზე თუქვის ზეშტი მისი სახელიც გრძელს ფარდებთან ყელზე 5—8 სიმამლეა გამწვლო.

მ. ყორღანოვიცის სიტყვათაძის 5 სიმე აქვს, ამ სიმე სიმეზიან ერთი ბობი ხმის მქონება, მაგრამ ყოველთვის ურანხარად არ იწოდება არა მუც სხვადასხვანაირად. მეორე და მესამე, მეოთხე და მკვეფრავა წველწველი სიმეზია და თვითოველ ამ წველის ორსვე სიმე ქანხისად მისთავენ, ამ ორ წველის შორის მომართულობით წირნელ კერტის მანძილად ბობის ხმის გამოძღვება სიმე-კ პირველ წველზე (ე. ი. მეორე და მესამე სიმეზე) ან კვინტით, ან კვარტით, ან ტერციით, ამ საყველად უფრო ღმელად მართავენო. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ ავტორის სიმე მნიშვნელობით გარემოების მოხსენება დავიწყებია: 1. ქვეყნიდან, იგი ზეყოფან ველსიმის სიმეზის რიგობითს რიცხვს, 2. ბობი ხმის მომართულობის სხვადასხვაობა და ცვალუბადობა დამკვერელის სურვილზე დამკვერელს, იგი თუქა მს. გვებზე და, მაშასადამე, შემთხვევით და თვითნებოთქა მისი არამედ და საყრავთის წყობით: არის გამოწვეული ა. თორის დამკვერელი ზეუბან სიმე ამბოურებს, თუ არა, და არა მიზეზია რომ სიმეზის მომართვა სრული წველის (ე. ი. მეორე და მესამე სიმეზის) მომართვასა გამოცდებულად რომდსაც ვაველზე ცვალუბადი მომართულობა ბობი ხმის მქონებელ სიმე აქვს

თარზე ცნობები ვასთ გიგუნე შევალსა და ღვთის ქართხანთა სიაც მიქვს ხელი. ორივე ცნობა წესი ებოვნო მეცამს თარს ვარაზმევილს აქვს ჩაწერილი. მ. გიგუნე-შვილი თარის გამოცდებულ ზელოპანო, და ქარახანო-კი ზინსურის დამკვერელია, მაგრამ თარზე იქვს

ღ. ქარახანოს სიტყვათ, აქნობილად თარხით ბობი თარის სპარსული და თარის ქარახანოსა ამჟამად ჩემნი იგერავა მამხლოთ და ქარახანო-ღვთის თარხით.

ორივე ზემოდასახელებული პირის ცნობით, თარის შემდეგი ნაწილები აქვს: ტარო, რომელსაც თარზე ეწოდებოდა იქვს ვაყოფებულ ხდაც სიმეზის დასახვევ-მოსამართარ ეფრებია ვარაზმელი ტარის ზოლო ნაწილით მუცელშია ჩასმული, რომელსაც ხანხანი ეწოდება. თარის მუცელი ორგანოა რომელიც ვარაზმელის ზევიით, მომცროსა, მეორე, ქვევითი ეფრის მოხრდილი

¹ Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, S. 101.

² აქვს, გვ. 377 ა-მ ტარ.

³ Корганов, В., Кавказская музыка, Сборник статей, изд. 2-ое, Тифлис, 1908, гв. 24, შგვ. 9.

ცა და უფრო ჩამოვრძელებულიც არის. პირველს ამოთვანს პატარა ჩანახი, მეორეს დიდი ჩანახი ჰქვიან ჩანახი, მთლიანად ამოთხრილი, თუთის ხისაგან კეთდება. ზევითგან საქონლის გულის ზერანგა აქვს გაკრული. დიდი ჩანახის ქვედა ნაწილში სიმების შესადგმელია დაბჯენილი, რომელსაც ჯარი ეწოდება. დასასრულ, რაზედაც ჩანახის ბოლოში სიმებია დამაგრებული, იმას ხარაკი ჰქვიან.

3. გიგუაშვილის სიტყვით, «თარს აქვს 6, 10, 12 და 14 სიმი ჯერცელებულია 12-სიმიანი თარი». ლ. კარახანის განმარტებითგან-კი ჩანს, რომ ექვსსიმიანი თარი სპარსული თარი ყოფილა, რომელზეც თორმეტ-თორმეტ-სიმიანი თარი-ვი ექვსაქალული თარია: ის ამბობს, «სპარსულ თარს ექვსი სიმი აქვს, ყარაბაღისას 12—15-მდე»-ო.

თარს ტარის თავზე ექვსი (ანდა მეტი) ყური აქვს, რომლებიც სიმებისათვის იქოქება“-ო (ლ. კარახანი), ე. ი. მოსამართავად ნახერტებში მოძრაობს. იმისდა მიუხედავად, რომ თარს სულ ცოტა 6 სიმი აქვს, მაინც «თარს უკრავენ უმთავრესად 4 სიმზე, ორ თეთრ სიმზე და ორ ყვითელ სიმზე, დანარჩენი სიმები ბანისთვისაა“-ო, ვ. გიგუაშვილი ამბობს. ამასვე აღსატურებს ლ. კარახანიც: «მთელი თარი იკვრება ოთხ სიმზე. თბს სიმს რომ ეამბობ, უნდა ვიგულისხმობ წყვილ-წყვილი სიმი. თითო ხმისათვის ორი სიმი იქოქება“-ო.

3. გიგუაშვილისა ცა და ლ. კარახანის ცნობითაც თარის მომართვას თეთრი სიმების მომართვით იწყებენ «პირველად თეთრ სიმებს მომართვენ ხოლმე“-ო (ვ. გ.), «სულ პირველად მართვენ თეთრ სიმებს წყვილად, რომელთაც შაპი (=sa-sao) ეწოდება,—მეორედ—ყვითელ სიმებს, რომელთაც ეწოდება მიანხანა, ე. ი. შუათანა (=mi-sao). ეს ორივე (წყვილი) სიმი არის თით-დაუდებელი სიმები. მესამე წყვილ სიმსკი მომართვენ იმ პანგზე, რა პანგზედაც პსურთ დაკვრა. მაგ, თუ «ჩარგა» იკვრება, ეს მესამე წყვილი სიმი იქოქება, ილიაჰად (=si-sao). თუ «მაჰური» იკვრება, იქოქება ზილაღ (=re-sao) და ასე შემდეგ“-ო (ლ. კარახანი).

3. გიგუაშვილისა და ლ. კარახანის ცნობით, თარს 22 ფარდა აქვს. ლ. კარახანის სიტყვით-კი ეს 22 ფარდა 3-შვიდეულ ფარდად იყოფა. ამ შვიდეულის თვითთვეულ ფარდათაგანს თავისი სახელი ჰქონია, სახელლობრ შემდეგ:

1. ილიაჰი (=si-sao)

2. რასტრი (=do-sao)

3. ზილი (=re-s)

4. პემა (=mi-s)

5. დუგა (=fa-s)

6. შაპი (=sol-s)

და 7. დივანი (=la-s)“.

„ეს ხმები ასე ჩადის ქვედათ მეორე ოქტავა კლავი-
ფიდან იწყება, მესამეც ისევე თავიდან“-ო.

საზო ჯერჯერობით ბესიკის ერთი თხზულებაში გვხვდება საზღ-
დობრ „ჩაღალ-დღედამთილიან“-ში ნათქვამი აქვს: „ქალი სტარს ნახავ, მის
წყობს საზად“-ო¹. მე-18 ს-ში ვაინც ამ საყრავის სახელს ზვეს წინამძღს
კარგად უნდა სცოდნოდათ, თუმცა თვით საყრავი ამჟამად საქართველოში
მხოლოდ აჭარას-ლა აქვს შენარჩუნებული ტერმინი ს.ჩანდიაჩოც, რომელიც
სპარსული სიტყვაა, საზების მჭონაზე დაშვრებით ნიშნავს.

აჭარული ცნობით, აჭარაში სიმებიანი საყრავეები ზედ-
გამჭული ღარების რიცხვის მიხედვით ოთხ კლასად
იყოფებო:

1. „საზი-სამძაფიანიია, საზზე დასამღერებელი ვადა
მიწყება“-ო.

2. „არის ოთხ-ძაფიანიც, ოთხ-ძაფიანზე მეტი დამღერება, სას-
ანზე ნაყლები“.

3. „ექვს-ძაფიანი—ხუთ-ძაფიანი არ შეიძლება აქვსინზე შეი-
ლება ყველა საცეცხურის დამტუნება, დასამღერებელი
ნაყლებად“.

4. „ცხრა-ძაფიანი ნაყლებად არის უკრავს ჩიყვავ-
რებს“-ო².

გ. უორდანიცის ცნობით, საზო აგებულით თავს მოკვავს მხო-
ლოდ თარზე უფრო მარტივად არის გაკეთებულ— ვალს საყრავს საზს ფო-
ცარი აქვს, მისი სიმის წყობა თარისაგან არ განსხვავდება³.

საზო თურქთა, ქურთთა, ბულგარელთა და მოსილეთა შორის არის
გავრცელებული და ყველა-მხელსა სიმებიანი საყრავი, რომელსაც
მსხლის მაგვარი ხის მუცელი აქვს და 4 სიმი ანა მარჯული მეორე და მე-
სამე სიმი ფოლადისა, მეოთხე-ეი თითბრის. ამ საყრავს 14—16 ფარადღე
აქვს. ქაშირში საზო სიმებიანი საყრავის ზოგად სახელად არა ჰქვამენ⁴.
ისევე, როგორც ზვენს აჭარაშია ამჟამად.

§ 4. შვილდაკიანი საარაპეების ჯგუფი

ჩაღანა ვეფხის-ტყაოსანი გვხვდება ჩანგთან ერთად მეფის ნაღ-
ობითგან დაბრუნების შემდგომ, ღებნი რომ დაწყო აქმანს ივერს
ჩანგო ჩაღანასა, მომღერალნი იყვნენ სოფლებით საზის თუ ვეფხ-
კობებითი „ჩაღანა მეჩინგო სამღერული იყო, მ. ი. ჩანგის დასყრავი
განკუთვნილი მოწყობილობა, მაშასადამე, ამ ცილის, ისეა ქაშაშის მგავსი
მაგრამ ეს განმარტება სწორე არ უნდა იყოს, რადგან მ. რუსთაველის
შემომოყვანილი სიტყვებითგან ჩანს, რომ ჩაღანა სიმებიანი საყრავი-

¹ ნაბიშვილი, ბ. [ამბესი] თხზულებაში სახელს კრებული 4. სპარსული, გვ.
83, 60, § 98.

² სტ. შენაგეშაშვილის ჩანგო, 1934 წ.

³ Корганов, В. Кавказская музыка, II, 21, 26, 2.

⁴ Sachs, Curt, Real-Lexicon der Musikinstrumente, II, 336 a—b.

⁵ იბრაჰიმოვი, ს., თბილისი.

განს ყოფილა ჩაღანას ჩანგთან ერთად უკრავდენ და ორივეს შეგზობა-
ლი ვლერიო (აქმას სცემდეს!) მომღერალთა შეგზნები სცოდნით.

ამ საკრავის სახელს მკობხველი „ოსებ-ზილიხანიანის“ უძველესს, მე-16 ს.
რედაქციაშიც შეხვდება. იქ სწერია, რომ ქალი სამრალოდ მოსოქვამდა
„გამყარე ლხინა ყოველსა, ჩანგ-ჩაღანისა, ეღერასა“¹. მამისა-
დამე, ჩაღანა ჩანგით ვლერდა და მის მსგავსად ძაღებიანი საკრავი ყო-
ფილა.

ამზე უფრო საყურადღებოა, რომ ჩაღანა საქართველოში მე-17 ს.
შიც ძალიან ყოფილა გავრცელებული. ფეშანგის აღნიშნული აქვს, რომ
ტფილისში გამართული ქორწილის დროსაც „ჩაღანა და უღ-ქამანჩა,
მუღღნი და შურა ამოთქმითა“² და ნადირობითგან დაბრუნებ-
ლას შეფხისაგან გამართულ ნადიმზეც „უკურგენ ჩანგსა და ჩაღანას,
რა ტურფად უგმობს ებანი“³.

ჩაღანა ირანული სახელია. ირანულად: ჩაყანა, ჩაღანა სმს-
მინი შეილდაყანი საკრავია, რომელსაც ბატარა მრგვალი მუცალი, მოკბო-
ველი აქვს და რომელსაც ძალზე მოხრილი, საბლად ძეის მქონებელი, შეილ-
დაყით უკრავენ. ერთი სიტყვით, ჩაღანა იგივე ქამანჩაა და ქართული ჳიანუ-
რის მავგარი საკრავი ჩანს.

უძველესი და მე-10—13 ს. ს. ძეგლებში ქამანჩა სამუსიკო საკრავის
სახელად არსადა ჩანს, ჳერჯერობით მაინც, და მხოლოდ თეიმურაზის
„ოსებ-ზილიხანიანის“ მისრეთის ხელმწიფის სამეჯლის-ლხინო საკრავებს
შწყობრში გვხვდება. იქ ნათქვამია, რომ „ჩანგ-სეთიო, უღ-ქამანჩა,
მუღღნი ყან უმს შეუჭმობისა“⁴.

გ. ჳაკობიას ამ ძეგლის პირველს გამოცემაში ქამანჩა სამუსიკო
საკრავების სიაში მოთავსებული აქვს ვანუშობრტავად, მგორე-ში-ვი სრულ-
ბით გამოტოვებულია...

ფეშანგის ისტორიული პოემითგან ჩანს, რომ ქამანჩა საქართვე-
ლოშიც გავრცელებული სიმებიანი საკრავი ყოფილა, მე-17 ს. მაინც. იბერი-
თის დაჭერის გარემოების აღწერალობაში ავტორს ნათქვამი აქვს: „მოხ-
თეს მუტრობთა ქამანჩა ძალისა იყუნენ მზემან და“⁵
ფეშანგის სიტყვით, შამანეახს რომ საცოლდე მოჰგვარეს, ჳეიძის ღრის
სხვადასხვა დამკვრელოა შორის აგრეთვე „ქამანჩა მორთეს სო-
ტკობლად“⁶. ტფილისში გამართულ ქორწილშიც თურმე „ჩაღანა და
უღ-ქამანჩა, მუღღნი და შურა ამოთქმითა“⁸.

აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანს ამ საკრავის სახელი ლექსიკონში
შეტანილი არც-ქი აქვს. თანამედროვე ქართულში ქამანჩას ჳიანურის და-
კრისათვის განკუთვნილი შეილდაყის მნიშვნელობა აქვს. ამ ტერმინისათვის

¹ ქამანჩა, ვ., ოსებ-ზილიხანიანის ქართულ ვერსიები, 1, გვ. 21, ტ. 132.

² ფეშანგი, შამანეახანი, § 206.

³ იქვე, § 249.

⁴ Sachs, Curt., Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 99a.

⁵ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, მკვნეთ ამბავი ოსებნი და ჳლხინი
ს., ტ. 118.

⁶ ფეშანგი, შამანეახანი, § 377.

⁷ იქვე, § 159 და 161.

⁸ იქვე, § 206.

ახეთი მნიშვნელობა სრულებით ბუნებრივად არის, რათგან ქამანჩა საბუნებრივი სიტყვაა და მართლაც პატარა შეიღდსა ნიშნავს. მაგრამ, როგორც ზემოთხსენილი ამონაწერებითგანაც ცხადი გახდებოდა ქამანჩა, მარტულად თვით საქრავის საბელი ყოფილა ამ სიტყვის სწორედ აქეთ მნიშვნელობა იმდენად ფართოდ და საყოველთაოდ ყოფილა განსტყვევებული, რომ ხალხურ ლექსებშიც ქამანჩა მხოლოდ საქრავად არის სწავლისმეფე. მაგ., ერთს ქართულ შაირში ნათქვამია:

ქართლელი ქალი შეიროჯი,
 წამოფეფებე ტყვიას—
 მერე მომიყვადე ქოროსი,
 დავმარბე
 ქამანჩითა და სტვირითა.

ახეთი ლექსი ერთადერთი შემთხვევა არ არის, არამედ მეორე ლექსიც ვაქვს, რომელშიც ქამანჩა აგრეთვე უცულობლად თვით საქრავის შილიან სახელად არის ნაგულისხმევი:

შიც უარ მოგებნებულზე
 ნემს სტვირ-ქამანჩა-ანჯ,
 საჩუქარი გამოვეღოს,
 ციბეს ვამქინდეს ნიბიად.

რისავე ზემომოყვანილს ლექსში რომ ქამანჩა თანამედროვე მნიშვნელობით ვაგვიკით და მხოლოდ ქიანურის შეიღდად შევხვებით, სრული უახრობა გამოვა, რათგან სტვირისათვის სრულებით სკორი და გამოსაღები არ არის. ამიტომ ცხადია, რომ ქამანჩა წინაი საქრავის სახელი უფრო მეტად როგორც სტვირია.

არც ვასაკვირველია, რომ ქამანჩა ქართლად საქრავის აღმნიშვნელი ყოფილიყო, რათგან ქამანჩა სპარსულად სკორიოდ ქამანჩი-ანჯი-ი შეიღდაიანი საქრავის ზოგადი სახელია და ჩვეულებრივ ქამანჩა-ანჯი-ი პირველი შეიღდაიანი სკრავი იგულისხმება, რომელსაც ყოველს ქველსაგან გაყვებულნი მუცელი, გრძელი ყელი და ერთი ანა-რის სიმა-ანი მხოლოდ რუმის ქამანჩას ქვემანჩა-რუმისა ექვს ანა-რის და 4 ანა-რისამ ცემული სიმა-ი.

ქიანური ს. ორბელიანის ლექსიონა ლექსი შეტანილია მაგრამ სრულებით განუმარტავად. მხოლოდ ერთსაში მივსჯებობის თვის აღწერილობაში, მაშინდელი ევროპულ მუსიკისა და საქრავების დარსხობათებლად, ქიანური-ი ექვს დასაბუნებულ მაგ., საქრავის შეკობობის შემაღვენლობაზე ერთგან ნათქვამი ექვს ანა-რის ცხადი ქიანურის მკვრელი, იმის დაბლა, შევლობის ანა-რის ითხი ღიღს ქიანურის უკრევიდა-ი. მაგრამ წოდებული აზღვის საქრავის, აღწერილობაშიც საბას ნათქვამი ექვს, რომ ის იმდენად ღიღი ყოფილა, რომ მსგავსი ექვს უმაღლე იყო, მხოლოდ ერთი ილუა (ფ. ა. სიმი) ემა რომელსაც აღწერი-

¹ ხალხური სიტყვეთაობა, I. გვ. 255, § 499.

² ექვსი, გვ. 274, § 544.

³ Sachs, Curt. Real-Lexicon der Musikinstrumente, 37, 207a. Besonrenzaiten.

⁴ ორბელიანი, ს., მივსჯებობა, გვ. 38.

მის კალმის სისხო“ ჰქონია. მისი დამკვრელი მას თურმე „ჭიანჭურს აგებო
ძუით უკრევდა“-ო!

„ხღეის საკრავი“ იმდენად დიდი ყოფილა, რომ ის უეჭველია ღუჭ
მეზობლა. საფიქრებელია, რომ „დიდი ჭიანჭური“ ჭიანჭურივით დამკვნი-
ლი იქნებოდა, ცხადია, იატაკზე და ამნაირადვე დასაბჯენი ექნებოდა იმ ცხა
ჭიანჭურსაც, რომელნიც პატარა ყოფილა. უეჭველია, ზემოაღწერილს ევრო-
პულ საკრავებს ჭიანჭურთან მსგავსება იმ მხრივ უნდა ჰქონოდა, რომ დაკ-
რის დროს ასწვრივად იქნებოდნენ დასაჭერი და ამისთვის ბოლოში დასაბჯე-
ნი ექმნებოდათ. დასასრულ „ძუით“ ყოფილან დასაკვრელი, ცხადია, რომ
აქ ძუა ს. ორბელიანს ქამანჩის, ანუ შვილდაკის მნიშვნელობით აქვს
ნახმარი. ის ვარაუდება, რომ ევროპულ ვიოლონჩელოსა და კონტრაბასის და-
სახასიათებლად საბა ქართულ მკითხველს ამ საკრავებს ჭიანჭურის მსგავს
საკრავებად უსახავდა, ცხად-ჰყოფს, რომ ჭიანჭური მე-17 ს. მეორე ნა-
ხევარში ფართოდ ყოფილა საქართველოში. გავრცე-
ლებული და შვილდაკიან საკრავთა ჯგუფითგან ყვე-
ლაზე მეტად ყოფილა ხალხისათვის ცნობილი.

თუ ჩაინახა და ქამანჩაზე ყველა ზემოაღწერილს. გავიხსენებთ, ცხად-
გახდება, რომ ქართული ჭიანჭური არსებითად იგივე ჩაღანაა, რომელ-
საც თავისი სამაღლიანობითაც მიემსგავსება და რითაც პირიქით ორსიმინა
ქამანჩისაგან განსხვავდება. თუმცა სამ-სიმიანი ქამანჩებიც არის.

მაგრამ გურული ჭიანჭურიც არსებობს, რომელსაც დ. არაბი-
ი შვილის სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოში გატარ-
ცვლებულ ჭიანჭურთან საერთოდ არაფერი აქვს. ზონ-
გურს რომ ბუცღის, ანუ ჩანას ბოლო მოკვრათ და მოპრგვალ მოყვანილო-
ბისად ვაქციოთ, თანაც ოთხი სიმის მაგიერ „იქ სამი აზრეშუმის სიმი მივამაგ-
როთ“. გურული ჭიანჭური გამოვაო. ამ საკრავის „წყობაა დომ-
სოლ“ ამ ჭიანჭურსაც ბუნს შვილდაკით უკრავებო?

სვანეთში ჭიანჭურის მაგიერ ერთი შვილდაკიანი საკრავია გავრცელებუ-
ლი, რომელსაც ჭუნირი ეწოდება. ეს სახელი უეჭველია იგივე ჭიანჭურის
მაგრამ თავისი აგებულებით ჭიანჭურისაგან შინც თვალსაჩინოდ განსხვავდება.
ჭუნირის მუცელი საცერის რკალს წარმოადგენს, რომელსაც ზევითგან
ბუშტი აქვს გადაკრული. ქვევითგან მას ზურგი არა აქვს. ისე, რომ უძირ-
საკრავია. ჭუნირს ძუის სამი ლარი აქვს გაბმული, რა
მელთაგან კიდურია, ე. ი. პირველი და შესამე სიმები-
მომართულია. ხოლმე ერთნაირად იო (უნისონად, თუ ოქტა-
ვად?), შუალა-ვი მათ ტერციას წარმოადგენსო.

§ 5. სპარაპრის ძალეზის, ანუ სიმეზის სახილავი

ცხადია, რომ ქართული მუსიკის ისტორიის ერთ მთავარ საკითხთაგანს
საკრავების ძალთა, ანუ სიმეზისა და სიმღერის ხმის ძველი ქართული სახე-

¹ ორბელიანი, ს., მოგზაურობა, გვ. 63.

² Аракчаев, Д. [—დ. არაჩუელი], Народная песни Западной Грузии, 31-19
არაჩუელი, დ., ქართული მუსიკა, გვ. 35.

³ Дюлагушвили, А., Через Саветли и Эльбрус, СМОМПК, вып. 28 (Тифли-
1900), отд. I, 33, 155.

ლებს გამოიყენება შეადგენს. ხმის სახელური უკვე გამოიყენებოდა და ამ მხრივ ძალიან, ანუ ღირსების სახელები-და ვიქნის გამოიყენებოდა ამ მიზანს გადასაწყვეტილად ს. ორბელიანს იმის ლექსიკონში საერთაშორისო ცნობები მოეპოვება.

ს. ორბელიანს შემოდინახელებელ ნაშრომში შემდეგი გეგმავით აღნიშნული აქვს მოყვანილი: „იპატოა ნატიასთან ნახეთი (ნ. ვეზირი). ხოლო ამ ნაშრომის წარმოდგენით როგორც ხმის, დამატებით წყაროთაგან ამოღებული თვით წინადადებაც არის მოყვანილი: იპატოა ვიღარე ნატიამ დესო. ნატიას ქვეშე-ცო ჯერ იგივე წყარო (ნ. ვეზირი) აღნიშნული, შერმე-ცო ნათქვამით: იპატოა და ნატიას სამუსო-ბაღნი არღან შეწყობილნი ხილით პრესმდეთი B-რე-დაქცითი გულახდილი განცხადებაც მოიპოვება: „ბაბა ჩოშელია, ანუ მსხირბანე, ვერ გავარჩიეთ-ო.“

იპატოა-ცა და ნატი-ც, მაშასადამე, სამუსოც საერთო ძალიან, ანუ სიძველის სახელები ერთადი ლექსიკონიდან ვერ გამოიყენებოდა მათი მნიშვნელობა და ვერ გავიგებთ თუ რომელი მათგანი ბოხის აღნიშნული იყო და რომელი მსხირბანესი.

არც ერთი ამ სახელთაგანი ქართული სიტყვის შიდაჭედილებს არ ახ-დენს და ორივე უშეშელია, უცხო ენა იყოს. ამ წესებებს ის ვარაუდაც ამოღებებს, რომ „ეგვიპტო-თაგან, ე. ი. ბერძნული ნაშრომნი ამხელელებით-გან არის ამოღებული. მართლაც იპატოს ბერძნული ენაღესს ნიშნის, ხოლო არსებითი სახელი იე კვპატე ბერძნულად ეწოდეს ძალს, ანუ სიმსა ნიშნავდა, რომელსაც უფაბღესი ხმის შეიქმნა.“

ნატი-ცო საფიქრებელია. ბერძნულს ნატი-ც უნდა ედროდეს, რომელიც კენტას, ე. ი. უწყვილიესი ხმის გამოშდებს ძალს უდრის.

მართალია, ს. ორბელიანის ცნობა ნ-ტი-ცა და იპატო-ცის შე-სახებ ქართულისა-ც არა, არამედ ბერძნული საერთო ძალიან სახელებს შემ-ცველი აღმოჩნდა, მაგრამ ქართული ლექსიკონიდან იგივე განმარტება შე-ინც მკვლევარს საშუალებას აძლევს ძალების მათივედ საქართველოს მი-ღებული სახელებიც გამოიყენოს. ს. ორბელიანს ნათქვამი სწორედ ამ თვალსა-რისით არის ჩვენთვის ძვირფასი.

სახელდობრ შემომოყვანილი: ეგვიპტო-თაგან ჩანს, რომ ძალიან-გან-ერთს ხილი პრემეცია. ერთს კიდევ ბობა. ს. ორბელიანს მთავარი განმარ-ნათქვამი „ხილით პრესმდეთი ცხად-ყოფა. რომ ეს ტერმინები სო-ბების ორი კიდური ძალის სახელები ერთადი ბობის, შე-ცხადია, ყველაზე დაბალი ხმის შექმნების აღნიშნული უნდა იყოს. ხო-ლო კიდევ წვილის სახელი გამოდის. უნდასენელ განმარტება თუ ს. ორ-ბელიანს-ც აქვს დადასტურებულად „ხილი წილილი ქმის ცე-ბა“ არის: მაგრამ დანარჩენი სახელებს რეალური მნიშვნელობის გამო-მეცა არის: მაგრამ დანარჩენი სახელებს რეალური მნიშვნელობის გამო-მეცა ს. ორბელიანს ვერ მოუხერხებია. მისი ლექსიკონში რეალურად ამ მხრივ

1. ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

2. ბერძნული მნიშვნელობა იხ. Sacha, Curt. Real-Lexicon der Musikinstrumente, 24-270 h.

3. ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

წელი. ამასვე თვით ტერმინი მსხირპანეს სტუდენტთა შინაარსი განსტურებს, რათან იგი ამ ძალის ყველა სტუდენტს უფრო განსხვავებულობის ანუ გაკვირვებულობის გამომვლადებელია. უკვე დღით აღმართულის რატონის კვინდა ნათქვამი: „არცა ძალი ორდანოსა (მაჟს დებს) მსხირპანეს განსხვავებულობასა“-თა. ე. ი. ვერც ორდანოს, საქრავის ხშირ ატანს მარტ დღერს გაკვირვებულობასო. ხოლო კარგად ცნობილი, რომ ყველაზე გაკვირვებული სამი ყველაზე წვრილი ხმის გამომცემა.

ამნიარად, ყოველგვარი მოხატებით უცულობელ ხდება რომ მსხირპანე უწვრილესი ხმის გამომცემი ძალის, ანუ ღარის სახელი ყოფილა.

ზილი რადაა, მისი პარალელური ტერმინი და სინონიმით სამ ამ საკითხის განხილვის შეფუდგებოღეთ, ვერ ვიარის რათა უნდა ვპირვეს გამოტყუელი.

საბას ზემომოყვანილი განმარტებოღან უცულობელ იყვეა რომ ვიარი მსხირპანეს შეშდგოში ძალის აღმან-შენელი რყო, ამიტომ ეხლა მხოლოდ იმ ძალის სახელს პირველი მნიშვნელობის გამოტყუვა-ლა დაგვრჩა; რომელსაც ვიარი უწოდებოდა. თუ ვართქვამი, რომ ვიარი სწორედ იმ ხმის სახელი ყოფილა, რომელიც მსხირპანეს და ბობს, ანუ უწვრილესი და უღაბლესი ხმების გამომცემს ზეა იგი პოქსეული მაშინ ცხად ვახდება, რომ ეს ძალი, ანუ სამი რიცხობრავად და მდებარეობით საქრავის მეორე, შუალა სამი ყოფილა რათან, სითგანაც არ უნდა დავიწყოთ თელი, უწვრილესი, მსხირპანესა და უღაბლესი, ბობითგან, სამძალაას საქრავის მეორე ძალი, ანუ სამი მაინც ყოველთვის მეორე ძალი იქნება საფორტებელი, რომ თუდასაბრველად თვით ეს ტერმინი ვიარი-ც სწორედ ამ გარემოების აღმნიშვნელ უნდა ყოფილიყო.

თუ აღამიანი ს. ორბელიანის ლექსიკონში პოქსეული ცნობებს ჩა უპირდებოდა, შესაძლებელია შეფიჩინოს, რომ ძალევის სახელები ამ შეცნოერს ორი საქრავისთვის აქვს ნაგვლისმცვეი ერთს მათგანს ძალეუბად მსხირპანე, ვიარი და ბობს ქვინდა (თ. „ვიარი ითქმის საქრავითი ძალი მსხირპანესა და ბობს სახელებით“) და მაშასადამე, სამძალეიანი საქრავი ყოფილა-მეორე საქრავის-კი მაღალ კიდურ ძალად ზილი ქვინდა სხილით ბობადე“).

ამვე საქრავის უღაბლესი ხმის გამომცემ ძალს, ანუ სამი-ც ბობის სახელს სდებს საბა. მაგრამ რა უწოდებოდა მას ნამდვილად ბანი, თუ ბანი ან სახელს სდებს საბა. მაგრამ რა უწოდებოდა მას ნამდვილად ბანი, თუ ბანი ან რანს. გამოტყუვეველია აგრეთვე ზილი და ბობს ვარდა, უღაბლი სამი მხოლოდ ერთი იყო, თუ ორი, და სახელდობ რა სახელი ექვია.

ზილი, როგორც დავრწმუნდებით, ხმის ქართული ეს ანა, რომეუ სარსული სახელია და, როგორც თავის ადვილს გამოტყუველი იქნება ქართული მუსიკის უცხო სტუმარი და ხიზნია ამასთანვე იოანე ნატონელი შვილის ზემომოყვანილი აღწერილობითგანაც ჩანს, რომ ქართულ შვილის ზემომოყვანილი აღწერილობითგანაც და ბობს ჩონგურში ზილი მეოთხე სიმად ითქვამებოდა და ბობს ჩონგურშიც ეხლია ზილს ქვეითგან პირველ რულ ჩანგურშიც ეხლია ზილს ქვეითგან პირველ

ადგილი არ უკავია და ამჟამად, როგორც ქვემოთოყვანილი დაგვარწმუნებს, მეოთხე სიმაღლით ვეღარ ვხედავთ. ყველა ამ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ საკრავების ძალების სახელის განმარტებაში ს. ორბელიანს შერთლაც კარი განსხვავებული საკრავი აქვს ნაგულისხმევი: ერთისას ქართული სახელები ქქონია (მსხირბანე, ყირი და ბონი), მეორის უწვრილესს, კიდურს სიმს-კი ზილი სწოდებია, სპარსული სახელი და ამის გამო ის სპარსეთითგან შერთვისებულ საკრავად არის მისაჩნევი.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ცხადია, რომ სამძლიანს საკრავს ვარდა, ოთხძლიანი საკრავი საქართველოში მართო იოანე ბატონიშვილის დროს, ე. ი. მე-18 ს. დამლევს-კი არ იყო, როგორც ეს ზემოთოყვანილი მისი ცნობითგან ირკვევა, არამედ ს. ორბელიანის ხანაშიც და უფრო ადრეც ეს გარემოება საბაბს იმ განმარტებაშია გამოძვლავებული, სადაც ზიკიპინტის მნიშვნელობაზეა საუბარი და ნათქვამია, რომ ის ზილის პატარა ჯორაკის სახელი იყო. ამ განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ ზილი საბაბს დროს რომელიც საკრავის დანართ, ზედმეტ სიმაღლით ვეღარა გამოყენებული, რაც ძველ ქართულ ჩონგურსა ქქონდა და გურულ თანამედროვე ჩანგურსაც შენარჩუნებული აქვს. იმ დროითგან მოყოლებული, როდესაც ქართულ სამძლიან საკრავს (ფანდურს, ანდა ჩონგურს) ზილი დაერთო, ზილი მეოთხე სიმაღლით იქცა და ამ მხრით გურული ჩანგურია საინტერესო.

სანამ ზილის საკითხთან დაკავშირებით გურული ჩანგურის ლარების სახელების განხილვას შევეუდგებოდით, უნდა ზოგადად ითქვას, რომ ლარებიანი საკრავების ძალების, თუ ლარების ზემოთოყვანილი სახელები ძველად ყოფილა. შემდეგში ეს სახელები, როგორც ეტყობა, თანდათან დავიწყებიათ. მათ შავიერ ლარების იგივე სისტემა გაბატონებულია. რომელიც ჯალობა-სიმღერაში იყო მიღებული საფიქრებელია, რომ ძალების სახელების ასეთი წესი ძველადაც იყო ზემო-განხილულის სისტემის პარალელურად. ამას ის გარემოებაც საფიქრებელია, რომ ხმების სახელების სისტემა მართა ძალებიან, ანუ ლარებიან საკრავებში-კი არ გვხვდება, არამედ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, ჩასაბერ საკრავებშიც, რაც უცილობლად მის ფართოდ გავრცელებულობას და ვგონებ სიძველესაც უნდა ამჟღავნებდეს.

ლარების სახელების თვალსაზრისით საგულისხმოა ავქსენტის მგზარელიძის ცნობა გურიაში გავრცელებული ჩანგურის როგორც რიფშოთი ისევე საკუთრივი სახელების შესახებ. იგი შემდეგს ამბობს: გურულ „ჩანგურს აქვს 4 სიმაღლი“, რომელთაგანს ეწოდებია: 1-ს „დამწვები“, ანუ მთქმული (ქვევიდამ პირველი ძაფი), მე-2-ს მოძახილი (ქვევიდამ მეორე ძაფი), მე-3-ს ბანი (ქვევიდამ მე-4 ძაფი) და მე-4-ს ზილი, რომელიც არის მოკლე სიმაღლი და იჭერს მეორე ადგილს ქვევიდამში.

ყოველი ძალეობიანი საკრავი დამკვერვლს ჯერ უნდა მოემართა, რათა მხოლოდ აქეთილიდ მოერთულს¹ შეეძლო ადამიანის ხმაც დაემშვენებინა და ყურთა სმენაც დაეტებო. ამიტომაც არის, რომ საკრავის მომართვის ხე ბევრს ძეგლშია საუბარო, მაგ. როსტომიანში ნათქვამია:

„მეფარდაც შინ შევიდა, შირიერსა მოაკენა:
 აერთი უცხო კარგი მკურელი მოგვივიდა ალა ჩუენსა²
 უბრანა და შეიყუანეს, ეთაყუანა, დაძრანა,
 და ძალი შორთო, ეჭრა დაიწყო, თავი კარგად გააჩენა,
 ჰკრა ხანგსა, ტბილად ასენა ქუეყანა მასდარისა“³.

ანდა კიდევ, მანუჩარ ხელმწიფის ნაღიმად ჯდომის დროს:

„შენანგეე შორთეს საკრავი, კმა სირინოზთა პირისა“⁴.

რასაკვირველია, ძველადაც საკრავის მომართვის გარკვეული წესი და მოძღვრება იქნებოდა: თუ რომელი ძალი როგორ და რომლის შემდგომ, თანაც რასთან შეთანხმებით უნდა მოემართათ, მაგრამ ამაზე არსად არავითარ ცნობები არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც, ისევე, როგორც მრავალძლიან საკრავების ძალების სახელების გამოსარკვევადაც ძეგლებში ცნობები არსად მოგვეპოვება. რაკი საკრავის მოსამართავად მუსიკალური ყურთა სმენა საკმარისი, ამიტომ მომართვა ყველას არ შეეძლო. ერთ ხალხურ ლექსში მომართვის ხეის კიდევაც:

ფანდურის ველ ვერ გავიგო, რთვით
 გვემართებისა.
 წიხვილს აგრე გავიმართეთ, კმა-ქუხილ ფლავებისა⁵.

ამ მელექსეს გულუბრყვილოდ აღნიშნული აქვს, რომ წიხვილის გმართვა უფრო ვადვილებოდა, ვიდრე პატარა ფანდურის, და ამაზე უმთესად თავისი მუსიკალური უმწიფობის გამომკლავნება ძნელია.

ფანდურის ძალების, ანუ ლარების ახმაურებას ხალხში ეღერასა ძალი, ძვრიალიც, ქლრიალიც და ქრიალიც, ეიქინიცი ეწოდება, მაგ.:

აქიავ, ჩემო ფანდურო, ქრიალ იცი, ეღერაიო,
 ანდა:
 დავიკარ, ჩემო ფანდურო, აღყებ გაილა
 ქლრიალიო⁶.

ანდა კიდევ:

ბესარიონის ფანდურმა იცის ლამაზად
 ქრიალიო⁷.

მაგრამ ქრიალი მარტო საკრავის ეღერასა და საკრავის ხმის გამღებებს-კი არ ჰგულისხმობდა, არამედ ნამგლის გასმისაგან გამოწვეულს ხმას

¹ როსტომიანი, ტ. 2115₁ და 2116₁.

² იქვე, ტ. 1490₂.

³ შანიძე, ა., კართული ხალხური პოეზია, I, ხვესტრული, გვ. 277, § 680.

⁴ იქვე, გვ. 238, § 582.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 239, § 584.

ურობასაც ერთიანი ეწოდება. მაგ. ქართულს ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

სიხდურთა დავაგუგუნით
ნამგლები ავაძვრილოვქ.

ან კიდევ:

სიფლისი ხელის უჩინს გუგუნთ,
ნამგალს ვაქმობდა ერთად.

ამზე უფრო საყურადღებოა, რომ ხევსურულ ხალხურ ლექსში ერთი აღადიანის ხმის შესახებაც არის წაბნობი, რომელშიც ნათქვამია:

სად დაბოლ ამისძეულს სავ ატრიალეს
ქმისათჳს,
ვადმოვიტანე ფანდურო, ღრში ვაღა ძეჩილის,
სხეთ მთერალის ფანდურო ამისძეს, კოვოტყ
ზარში ვათაფდა სავნევი, აღა ლექსების ბნობა.

ანდა კიდევ:

ამახე, ჩემო ფანდურო, რომსე ფაღა ქალსა

შესამე ლექსიც არსებობს, რომელშიაც ფანდურის ქლერას მხოლოდ ეწოდება:

ფანდურო, რამ წამოთელა მახილა შეწეობათ?

ფანდურის ქლერას, როგორც აღნიშნული გვეონდა ძეჩინიც ეწოდება, მაგ.

სავიჯარ, ჩემო ფანდურო ჩავაძინე ვაძინა

ხევსურულს ერთს ლექსში თვის საქარესაც სავაძინა ეწოდება ნათქვამია:

ვატანს ამბეს ვაძინებ,
ფანდურო სავაძინაო,
მე რომ ვაძინო ლექსებ,
შენ ას არ დავილოვ.

სამბას-კი აქიფინი მრავალ სიერთ კოწინა¹ დ მაინდა².

¹ ხალხური პოეზია, გვ. 173.

² ხალხური სატყვეობები, გვ. 277, § 270.

³ შინიძე, ა.ს. ქართული ხალხური პოეზია, I, საქართველო, № 122, § 328.

⁴ იქვე, გვ. 153, § 391.

⁵ იქვე, გვ. 240, § 588.

⁶ იქვე, გვ. 134, § 335.

⁷ იქვე, გვ. 136, § 341.

⁸ იქვე, გვ. 147, § 369.

⁹ იქვე, გვ. 137, § 345.

¹⁰ მრბე ლიანის, ს. ლექსები.

ჩასაბერი საკრავები

ვინც ძველ ქართულ წყაროებში გაბნეულ ცნობებს ჩაუკვირდება და თვით საკრავების აგებულუბასაც გაითვალისწინებს, ადვილად დარწმუნდება, რომ საკრავიერი მუსიკითგან ჩასაბერი საკრავები ძალეზიანებზე უფრო ნაკლებ ყოფილა საქართველოში განვითარებული. მათი აღწერილობაც იშვიათად თუ არის საღმე შეტანილი. ჩასაბერი საკრავები განსხვავდებოდნენ თავიანთი მოყვანილობითაც, სიდიდითაც, მასალითაც და დანიშნულებითაც. ქვევით საკრავების შესახები ცნობები ჯგუფობრივ და ქრონოლოგიურად გვაქვს დალაგებულად.

საყვარი ძველს ნათარგმნ ძეგლებში ხშირად გვხვდება¹. ყველა იგი ბერძნულ სპლპინქს-ს, ხოლო ლათინურს ან buccina-ს², ანდა tuba-ს³ და სომხ. *ჩიყ* ფოლ-ს უდრის. ოშკისა⁴ და მცხეთის სავატრიარქო წიგნსაცყვის⁵ რედაქციებში, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, ამის მაგიერ ნესტუ არის ნახმარი.

ჩვეულებრივს საყვარს გარდა, რქისაგან გაკეთებულებიც არსებობდა. ასეთებს ეწოდებოდა საყვარნი რქისანი⁶. საყვარი რქისაა უდრის ბერძნულ ჰეკრატიონე-ს, ლათინ. buccina-სა და სომხ. *ჩიყ ხეხახაყ*⁷. ოშკის რედაქციაში. აქაც მარტივად სწერია: „დაპბერეს ნესტუსა“-ო.

ზოგან ორი სახელის მაგიერ ერთი სიტყვა რქა-ა ნახმარი, მაგ: 3 მეფ. 132-ში, ნათქვამია: „სცხო სოლომონს და დაპბერე არქითა“⁸. ოშკის დაბადებაში-ვი აქვც ნათქვამია: „სცხო სოლომონს და დაპბერეს ნესტუსა“-ო⁹. მსაჯულთა 327-შიც სწერია: დაპბერეს რქითა მთასა შინა და შეკრბეს... ძენი ისრაელისანი“¹⁰.

საყვარი ქართულ ორიგინალურ ძეგლებშიც იშვიათი არ არის. მაგ წა. ნინოს შატბერდისეულ ცაში სწერია: მეფის გამოსვლის დროს იყო „კამა ოხრისა და საყვარისა“¹¹. აქედგან ჩანს, რომ საყვარი საქართველოში გარკვეული ხანითგან მოყოლებული ჩვეულებრივი საკრავი ყოფილა, რომელსაც სახეიშო შემთხვევებში აახმაურებდნენ ხოლმე.

საყვარი შემდეგდროინდელს საისტორიო ძეგლებშიც გვხვდება. მაგ: 6 მეფე ჩუღეს ნათქვამი აქვს, რომ გრიგოლ ხანძთელმა „განიზრახა ფირულად სილტოლგაი თვისით ქუეყანით საღმრთოთათა წოდებითა... რადათ ვმასა მას და ოხრასა საყვარისასა აღეტყინოს“-ო¹². თუ ამ წინადად-

¹ მაგ. ბაქარ: გამოსვლითა 19¹², 1 მეფ. 13², 2 მეფ. 2²², 1 ნესტ.

15²², იობ. 39²², ესაია 18³, იერემ. 4²⁰, დანიელ 3³ და სხვაგანაც ბერგან.

² ბაქარ: ვამ. 19¹³, 1 მეფ. 13², 2 მეფეთა 2²², იერემ. 4²², იობ. 39²².

³ ბაქარ: 1 ნესტ. 15²², იობ 39²², იერემ. 4², დანიელ 35².

⁴ ოშკის დაბადება და ს. აქ. მუხ. ხ. № 51. A: 1 მეფ. 13² და 2 მეფ. 2²².

⁵ ბაქარ: 2 მეფეთა 18¹⁶.

⁶ ბაქარ.

⁷ ბაქარ.

⁸ იქვე.

⁹ ოშკის დაბადება: 3 მეფ. 13².

¹⁰ ბაქარ.

¹¹ შატბერდისეული წმ. ნინოს ცხოვრება, გვ. 750.

¹² ცა. გვლ. ხა. მთლ. სა. თავი დ., 31. 3.

ბაში საყვრი ალეგორიული მნიშვნელობით არის ნახმარ, მე-12 ს. ქართულ ისტორიოსის ქვემოთოყვანილი სიტყვებითაჲ ცხადი ხდება, რომ ზვიშო-ვის ნიშნად ამ საყრავის ახმაურება ამ დროსაც საქართველოში საგაღდებულო წესი ეოფილა თამარ მეფის პირველ ისტორიოსს მოთხრობილი აქვს, რომ შთავედ მოსულ განძის მჭირთველის სადარბაზოდ მიღების დროს „საყერნი, შმაჲნი დასამსაჲს, ხმობდენ“.

საყვრის რაობის გამოსარკვევად უძველეს წერილობით წყაროებში ცნობები, რომლებშიც მისი მოყვანილობა მაინც იყოს აღწერილი, არ მოგვეპოვება, მხოლოდ მისი ბერძნული და ლათინური შესატყვისობა გვხვად ამ მხრივ ცოტად მაინც.

სალპინქსი ძველ საბერძნეთში სპილენძის სწორე და კონსტრუქციის საყრავი იყო, რომელსაც ძელოს სატუჩე (Knochenmundstück) ჰქონდა, მას სანიშნებლად ხმარობდენ. ეს სალპინქსი ებრუნებულ საყრავად ითვლება ლათინური ბუკცინაც უძველეს ხანაში ნაოსნებისა და მუსიკარების სანიშნებლად გაყუთვნილი ლითონის, ანდა ლითონ-გაყუთულ რქის საყრავის სახელი იყო. შემდეგში ჩარში გავრცელაბულ მოხილს სახეობის, ანდა ლითონ-გადაკრულს რქის საყრავს ნიშნავდა, რომელთაგან დამსწერლს რქას, cornu-საც ეძახდენ. საშუალო საუკუნეებშიც, ეს სახელი რომელი სიღიძის სანიშნებელს საყრავს ეწოდებოდა¹.

„ძველი ერისთავთა“-ს ცნობითგან ჩანს, რომ მე-14 ს. საქართველოში ბრძოლა საყვიარის ახმაურებით იწყებოდა ხოლმე, მაგ, ბოდბესაც ქსნის ერისთავი ქვენიღბეველი ვახუთი დაწმუნდა, რომ მნა მცხოვრებნი ნებაყოფლობით დამორჩილებას არ აძრებდენ, „ამაინ განისხნა ერისთავი ვირმულ და შეუხაბა ლაშქარ იყო და სცემს საყვიარსა და მიეტევვნეს... და იყო ბრძოლა სასტიკი“-თ².

ეს უძველესი ხანის ძეგლებში საყვიარის აღწერილობა არაჲ ვხვდება, რაჲ ამ საყრავს საქართველოში შემდეგშიც ხმარობდენ, სკანდინავი ეზლაც დაცულია, ამის წყალობით სამაჲვიროდ მე-17 ს. იტალიელი მუსიკარის არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში მაშინდელ საყვიარის აღწერილობა მოგვეპოვება.

ამ იტალიელი მწერლის ცნობით, დასაყულო საქართველოს ეოველს მუფე-მოთავარს თვისი საყვიარი ჰქონდა ეს საყვიარი არქ. ლამბერტის აჲ აქვს აღწერილი: მოყვანილობით არის სწორე და აბაჲ მოდუნეული, სიმაღლით კაცზე უმაღლესია, ამას ობაჲ კაცო უკრავს; ხან ერთი და ხან მეორე მისი ხმაჲ ვერთა სმენისათვის უფრო სახარელოა, ვიდრე სხოჲ ამოვნო“-ო. ლაშქრობის დროს პარტედაჲ იმერეთის მეფის საყვიარს დაუკრავდენ ხოლმე, მეტში დაჲ

¹ ისტორიანი და აშხანი, * 666, 33 458

² Sachs Curt, Reallexicon der Musikinstrumente, 21. 220 h.

³ იქვე, 33. 626-61a.

⁴ ბორჯენია, თ., ქობინეჲ, II. ტფ., 1897, 28. 14.

არის საყვირის, შემდეგ გურიელისას და ბოლოს და
პარტიანისას. იტალიელი მისიონერის სიტყვით, ეს საყვირი ვითომც
ირანული იყო.

უძველეს ნათარგმნს ძველებში საკრავთა სახელებს შორის ნესტუც
სწორად გვხვდება. ქართული დაბადების თარგმანის უძველეს რედაქციას
ტექსტშივე შეხვდება ადამიანი ამ ტერმინს, რომელსაც ძველ ქართულში ზო-
გადი მნიშვნელობაც ჰქონდა და საერთოდ ლულის მავარი აგებულების სუ-
ნისა, თუ სხეულის ზოგადი სახელიც იყო. ამ სიტყვისაგან არის წარმომდგო-
ცვირის ნესტოს სახელიც.

საგულისხმოა მაინც, რომ დაბადების ქართული თარგმანის ორი-სამი
რედაქციის ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ საყვარი და ნესტუ-
თითქოს სინონიმები უნდა ყოფილიყო. ბაქარისეული ვი-
მოცემის დედნის საყვარი-ს შესატყვისად¹, საქ. მუზ. ხ. № 51 A-სა და
ოშკის დაბადება-ში ნესტუ სწერია. განსაკუთრებული ყურადღებებს
ღირსია ის გარემოება, რომ დაბადების თარგმანის უძველეს
რედაქციებში (ოშკისა და მცხეთისაში) ნესტუ-ს ნახმა-
რი, შედარებით მერმინდელს რედაქციის მი-კი საყვარი-
ს მი-ს მავარი შეტანილი.

მაგრამ ნესტუ სხვაგანაც ბევრგან გვხვდება².

ნესტუ-ც შესაძლებელია ლათონისაგანაც ყოფილიყო გაცეთხული და-
რქისაგანაც. იმ ნესტუებს, რომელნიც ლათონისა იყო, ვრქვა ნესტუნი
ჰედილნი. რიცხთა 10³-ში დასახელებულია ვერცხლისაგან გაცეთხულ
„ნესტუნი ჰედილნი ვეცხლისანი“⁴, რაც უდრის ბერძნულ
„სალპინგეს ელატა არგურა-ს, ლათინურ tuba argentea ductilis-ს და სობ.
ჩიოყ სოახაყ არბაშკ-ს.

რქისაგან გაცეთხულს ნესტუს-ვი ვრქვა ნესტუ რქისაი, ისე ნაგის
რამ გვხვდება შვიდნი ნესტუნი რქისანი იობელისნი⁵, რაც
უდრის ბერძნ. ჰეპტა კერატინა ტუ იობულს, ლათინურ buccinae,
quarum usus est in iubeles-ს და სომხურ ჩიოყ ხეხეხოყ კორესანის,
— ანდა კიდევ: „დაპბერეს ნესტუსა რქისასა“ (3 მეფეთა 13⁶)-
მსაჯულთა 12⁷-ში: „დაპბერა ნესტუსა რქისასა“⁸.

იმისდა მიუხედავად, რომ საყვარი და ნესტუ სინო-
ნიმებად მოჩანან, მაინც საყურადღებოა, რომ ნესტუ
ბაქარისეულს ხელნაწი-ს ჯედანშიც ყოფილ⁹.
რომელშიც წვეულებრივ საყვარი არის ნახმარი, და
ეს გარემოება საკრავთა ამ ორი სახელის სრულს

¹ სამეგრ. აღწ., გვ. 97.

² ბაქარ: შავ. 1 მეფ. 13, 2 მეფ. 228, 3 მეფ. 130, 1 ნესტ. 1524, 2 ნესტ. 76 და 64.

³ შავ. ბაქარ და ოშკის დაბადება: 2 მეფეთა 18, ბაქარ: რიცხეთა 10, 17.

⁴ 10-ის, ისე ნესტ. 6, 3, შავ. 622-24.

⁵ ბაქარ და საქ. მუზ. ხ. № 51 A.

⁶ ბაქარ.

⁷ ბაქარ. ოშკისაში „რქისაი“ არ არის, არამედ მარტივად ნათქვამია: „დაპბერეს ნესტუს“.

⁸ ბაქარ და საქ. მუზ. ხ. № 51 A.

⁹ ბაქარ: შავ. რიცხ. 10, 17, 20-ის, ისე ნესტ. 6, 3, შავ. 622-24, ითველ 21 და სხ.

რეკვიზიტებს შეტანდა საეჭყეო ზღვის. გაჩვენდა ხა-
ნიოგან მაინც.

აღსანიშნავია, რომ დაბადების თარიღებში ბუკა, თუ არა ბუკა, არსად ნახვარი არ არის. ქართულ საისტორიო თხზულებებში კი და სხვაგანაც საკმაოდ ხშირად გვხვდება მან. მატიანე ქართლისაჲ შობილობისაჲ ქსის, რომ, როდესაც ბაგრატ IV-ს შასთან სტუმრად მოსული იყვნენ სომხთ, იყვნენ მეფე, საღარბოთი. უნდა მივლო, „ყო სისრული და ქმე ბუკთა და [დრემბულითა საწინელი და მოუწოდებელი], ცხადი ხდება, რომ საზღვაოთა და ხევედრის დროს ბუკთა ახმაურება წესად ქონიათ. შოთას სიტყვებითაჲც ჩანს, რომ მეფედ კურთხევაჲდ-
ლოცვის დროსაც ბუკის კერა წესად ქონიათ შეღ-
ბული. მაგალითად, როდესაც თანაინი მამამ თანამოსაფრედ დარ-
ბუქსა მკრეს და წინწილანი დაატებობდას ტაბილ-
თი ვმითა“¹.

თავისდათავად ცხადია, რომ ბუკა უმეტესად დაშვებაში ისმოდო ხოლმე და ვედხის-ტყვისანთაჲ ნათქვამი ლაშქარი რომ „გამონდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუკმან კმა გააზვარათ, სოლი ვისრამიანში რამინის ლაშქრის გამგებარების აღწერილობაში აღნიშნულია „გაემართნეს დიდითი ლაშქრითა, ასაყრელთა ბუკთა სცემდეს ქოს-ალმნი ჯეონისაებრ მდიოდეს“², ე. ი. ბუკს იმ ამბებებდენ, რომ უცვლას სეოდნოდა, რომ ჯარს აყრა-გამგებარება უნდა დამოა აღსანიშნავია, რომ ირანულს ვისრამიანში „ასაყრელთა ბუკთა სცემდეს“ არ არის, არამედ ქართულს ავტობის ეთ-
ფენს, მაგრამ სამეფეოდ ბუკის ირანულ შესატყვისობა შას მომადო-
სა და ვიროს ომის აღწერილობაში გვხვდენ იქ ნათქვამი „არანთაჲ და-
ოწყეს ცემა ქოსთა და ეუღიროლი ბუკთა და ყურისტყრითა ქსი იყოთ“³.
ქართული ბუკი ირანული ვისრამიანის სურს უფროს, რომელსაც ჩვეუ-
ლად საყვირს და ნესტეს ნიშნავს.

ასეთი დანიშნულება ბუკს შარტო არბუასა და ირანთაჲ
არ მქონდა, როგორც ეს შემოშოყვანილი ამონაწყობისაჲ მოხვედითა სა-
ფუქრებელი იყო, არამედ ჩვენშიც მის დამტკიცება პოეტრთაჲ და ის-
ტორიული თხზულებებთაჲ შეიძლება ზეჲ, უკვე შევედრის ამდღელ-
სითაჲნ ჩანს, რომ ბუკი და ტაბლასი მე-IX ს. იფთა საქართველოში მართ-
ლად სამხედრო საკრავთა ჩვეულებრივს ეკუთვნოდა მის ნათქვამ
ქვეს:

„დრო შამიფეო
დროშა შოფეო
მტერი უპოენი
ობჩებოა“

¹ მარტიანე ქართლისაჲ, * 506-507, გვ. 274.

² ბუკთა ვედლი, ვედხის-ტყვისანი.

³ იქვე, წიგნი ზატაღლი მეფის ტაბლადი წინაჲ.

⁴ ვისრამიანი, გვ. 449.

⁵ Wis o Ramin, გვ. 391.

⁶ ვისრამიანი, გვ. 28.

⁷ Wis o Ramin გვ. 389.

გამწყაზრებითა“-თ,
მედგრად იბრძოდის
საბრკობით
ბუკტაბლაცობით

ლაშა-გიორგის ბედზე არზრუმის მხარეს ლაშქრობის დროსაც, იქაურებმა „ვითარცა ვანთენდო, ჰკარეს ბუკთა და დაბდაბთა და შეიქმნა სპაქალაქთა შინა, დამსკუნელნი სისხლთა მათთა დათხვეისანი“-ო¹, თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც საქართველოს ძლევამოსილი ჯარა ირანში ლაშქრობითგან საქართველოს დედაქალაქში დაბრუნდა, თამარი „გავეგება ზეიმითა და დიდებითა: იყო კმა ბუკთა და დუშბულ“-თა“-ო².

რასაკვირველია, მაშინაც კარგად ესმოდათ, რომ ბუკის ხმა მეტისმეტად ძლიერი და დამაყრუებელი იყო, რომ საამურად ყოფილიყო მიჩნეული ამიტომ ბუკთა ტკრციალი ლხინისა და ნადიმის დროს უმთავრესად ზეიმის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდობა თვით შ. რუსთაველსაც აქვს აღნიშნული. უხენისაგან მეფის წინაშე გამელაგებულს ნესტანდარეჯანს რომ სარძლოდ მზადება და უწყვეს და თითონ მეფე „დაჯდა ნადიმად“, მგოსნის სიტყვით, „სცემენ ბუკსა და ტაბლაცსა მოსამატებლად ზარისად“³.

ბუკის აღწერილობა უძველეს ძეგლებში არა ჩანს, რომ ამ გზით მისი აგებულება და ვარგვნობა მაინც გავეთვალისწინებინა. მაგრამ ამ საკრავს საქართველოში შემდეგში, თვით მე-19 ს-მდეც-კი ხმარობდნენ, რამდენიმე ცალკე დღევანდლამდეც-კი დაცული. ამას გარდა, ორიოდ ცნობა ბუკზე იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტისაც აქვს თავის ნაშრომში შეტანილი⁴.

ბუკს სამეგრელოში დიდი დღესასწაულების დროსაც უკრავდენ. მაგ, სააღდგომო ლიტანიას წინ სწორედ ორი მეტბუკე მიუძღოდა ხოლმე. არქ. ლამბერტის ნათქვამი აქვს: „სამღვდელოება რომ ლიტანიას დაიწყებს, „ორიკაცო წინ მადის და ორ ბუკს უკრავს. ამათ მოსდევს შესამე, რომელსაც ხელში დროშა უჭირავს“, ხოლო შემდეგ მთელი ხალხიც იღებს ამ ლიტანიაში მონაწილეობას ანთებულ სანთლებით ხელში.“

ბუკს სამეგრელოში ნათლისღების დღესასწაულის წყალტურთხევის ლიტანიობის დროსაც უკრავდენ თურმე არქ. ლამბერტი ამბობს: „წირვა რომ დასრულდება, მთელი პროცესი მიდის მახლობელ მდინარეზე, რათა დიდის ამბით აკურთხოს წყალი. ყველზე წინ მიდის ის, ვისაც დროშა უჭირავს. მას მისდევს ორი კაცის რუმელიც ბუკს უკრავენ, ამათ შემდეგ დანარჩენი ხალხი“-ო⁵.

ბუკის ახმაურების გამოსახატავად ძველ ძეგლებში სხვადასხვა გამონათქვამია ნახმარი, მაგ. ქუქაოზის მზანდარანს გამგზავრების

¹ შავთელი, აბულმესია, 75₁₋₂.

² ისტორიკონ და აზმანი, * 661, გვ. 449.

³ იქვე, * 717-718, გვ. 524.

⁴ რუსთაველი, კუხის-ტყეისანი.

⁵ სამეგრ. აღწერ., 139.

⁶ იქვე, გვ. 137 და 145.

აღწერილობაში ნათქვამი: „მეორეს დღეს გაემართეს ქობის კრებს და ბუკი ყუიროსა“¹ ქართულ ვისრამიანს ეტყობა ამ საკრავს ბევრი აღსანიშნავად ნახმარი აქვს „ყუიროლი ბუკთა“.

ბუკის კმობა იოსებ-ზელოზიანის მე-2 ვერსიამაც არის „მოდროები გაუშალეს, ქოსსა სცემდეს, ბუკი კმობდესთ“.

ქეჭოხის, როსტომისა და მახანდარაშელის იმის აღწერილობაშიც² 2330 სწერია: „ღარაზმდეს და ბუკსა სცემდეს, გამოიყვანს ქოსქმასა“³. საბა ორბელიანსაც თავის ილუსტრაციებში ბუკს ცემა აქვს ნახმარი⁴. თუმცა ამ საკრავს ხმოვა და ყვიროს უფრო შეფარობა ვიდრე ცემა.

საყვირთაგანნი ს. ორბელიანის განმარტებით, ერთმანეთსაგან სიდიდითაც განირჩეოდნენ. მაგ. აბუკი საყვირთა დიდით ხოლო „ზროხაკუდთ საყვირთა მომცროთა“ მცვე, როგორც „ყვიროსტკარი მომცროსა საყვირთა“⁵ უფრო.

ქართულს ვისრამიანში სამხედრო საკრავებად ბუკსა და ქოსს ვხვდებით ყვიროსტკირი-ც გვხვდება. მობად შაჰისა და ვიწის იმის აღწერილობაში ნათქვამია: „ორთავე ღამქართა რაზმი წყურს... ორგნოვე ღამქურს ცემა ქოსთა და ყუიროლი ბუკთა და ყვიროსტკირით... ქმა იუს... რომელ, ვისცა იგი ქმა ესმა, უფელს ერთმანეთსა დემტრსა მისთა მოსმენითა“⁶.

ირანულში აქ ნ. ა. ე. ი. ლერწამი, სტეფანო დასხულებული⁷ ამსახიერებს, რომ ყვიროსტკირი სამხედრო საკრავი ყოფილია ცხადია, რომ ყვიროსტკირის სახელი იბრ სიტყვისაგან, ყვიროსა და სტკირი-სგან შეესდგება. ამისდა მიხედვით სიფიქრებელია, რომ ამ საკრავს საყვიროსაც და სტვირს შეესებამაც უნდა ჰქონოდა.

შავთელის წარმოდგენით „მეორედ მოსვლს“ დღესაც შევლილი „მსწრაფლად-ლა სტკირი ძნელდასაყვირი წარმოადგენდეს სულთა ყოველთა“ უკანასკნელი განჯისათვის⁸. აქ დასახელებული ძნელდასაყვირი სტკირი კვლავს ხმოვს სულ სხვა საკრავს მეორედ მოსვლის სურათი მათეს 24³¹-ში აღწერილი და იქ ნათქვამია: „წახუდნეს ჩველთნი

¹ როსტომიანი, ტ. 216¹.
² ვისრამიანი, გვ. 28.
³ ყუიროლი, ბ., იოსებ-ზელოზიანის ქართულ ვერსიებში, გვ. 123, § 112.
⁴ როსტომიანი, ტ. 238⁶.
⁵ ს. ორბელიანი, საბრძენო-ცოდის, გვ. 33.
⁶ ორბელიანი, ს., ლექსები.
⁷ იქვე.
⁸ ვისრამიანი, გვ. 28.

⁹ Wis o Ramin, გვ. 28. ირანულს ვისრამიანში ამ დროს (გვ. 28) საკრავს აბუკი უწოდებენ არის დასახელებული და ნათქვამია: „ბუკთა და სტკირთა დასახელებულია ეფიქრა ვისმე, რომ ყვიროსტკირი ქართულს ეტყობს ამ არის სხვადასხვადასა, სადაც არის შეერთებით წინაერთის შესატყვისობის წამოღება, ხედავს ქართულს აბუკს არის ცალკე და ყვიროსტკირით“
¹⁰ ბუკთელი, აღდგომელი, 92.

თესნი საყვართა ჳმისა დიდისათა¹, ე. ი. სტვირი-კი არა, არამედ საყვარი-ა მოხსენებულო, და სწორედ ესეც უნდა ყოფილიყო, რამგან ბერძნულად სწერია ხალპინქს და ლათინურად tuha, ამიტომ, თუ შავთელს ზემომოყვანილს ლექსში ყვიროსტვირი არ ჰქონდა ნაგულისხმევი, მაშინ სტვირი აქ მხოლოდ პოეტიკის ერთი ღონეობათაგანია უნდა იყოს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყუირო-სტვირი საქართველოში მე-17 ს-მდე გავრცელებული საყვავი ყოფილა. ფეშანგს მოთხრობილი აქვს, რომ იმერეთში გალაშქრების დროს ვამეყ დადიანის საწინააღმდეგოდ ვახტანგ V-ის ბანაკში „ნაღარას სცემენ, იძახის ყუირო-სტვირი და ქისია“².

ერეკლეს შემოსევის ამბის აღწერილობაშიც იმავე ავტორს ნათქვამი აქვს: „მეფე შეჯდა, შეუბერეს ნაფირსა და ყუირო-სტვირსა“³.

ზროხა-ყუდი შაჰნამეს ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგალითად როსტომისა და მაზანდარანელთა ბრძოლის დროს,

მაშეც კენესის სპილენძ-ჭურთი, ზროხა-ყუდთა იყოს
შერეცა⁴
წყვიდეს და კმა გახშირდა სპილენძ-ჭურთა ტაბლასა,
ზროხა-ყუდთა შეუბერეს, მიწა იძურის,
სიმრგულე ცისან.
ცის აერი ოქროსა გავს ინდოურთა კრძალთა ფენით,
ზროხა-ყუდთა ყუენესი საგან სპილენძ-ჭურთა
თავ-განწიოთ⁵.

ზროხა-ყუდი მომცროს საყვირის ქართულ სახელად აქვს საბჭოს აღნიშნული, ხოლო მისი სახელის უცხო შესატყვისობად ნაფირი-ა დასახელებული: „ნაფირი სხუათა ენაჲ, ქართულად ზროხა-ყუდი ჰქვან“⁶.

მაგრამ ქართულ შაჰნამეში ერთიც არის ნახშირი და მეორეც, მაგ. საამიანში სწერია:

ორთივე სცემდეს ტაბლასა და ქოსმა შექმნა ფგრიალი,
იყოს ნაფირთა შებერეცა, ქანარას ჰქონდა ზრიალო⁷.

ზროხა-ყუდი, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ირკვევა, სამხედრო, სახელდობრ საომარი საყვავი ყოფილა.

ნაფირს, როგორც ფეშანგის შაჰნავაზიანითგან ჩანს, საქართველოშიც უკრავდნენ, მე-17 ს-ში მათინც: „მეფე შეჯდა, შეუბერეს ნაფირსა და ყუირო-სტვირსა“⁸.

¹ ბ. აქარ.
² ფეშანგო, შაჰნავაზიანი, § 407, გ. ლეონიძის გამოცემაში შეცდომით დაბეჭდილია „ყუირო, სტვირი“.
³ იქვე, § 1124.
⁴ როსტომიანი, ტ. 2399.
⁵ იქვე, ტ. 1901-2.
⁶ იქვე, ტ. 2470-3.
⁷ შერეცლიანი, ს., ლექსიკონი.
⁸ საამიანი, გვ. 115, ტ. 384-2.
⁹ ფეშანგო, შაჰნავაზიანი, § 1124.

ნაფიჩი თითონ ს. ორბელიანსაც აქვს თავის სობრანსისთვის
იჩვენებში ნახპარი. იქ ნათქვამია: „მოიღეს ქოსი ტაბლა, დღე და დღე-
ში, ნაფიჩი ჰქარეს და ლხინით შევლარც შიღეს, ვეც წაბრანსი-ო.
ქ ცხადია, ნაფიჩი სალხინო საკრავად მომანს.

ს. ორბელიანს ევროპაში თავის მოგზაურობის აღწერილობაში,
ტალიაში ნახს. საკრავთა შორის ტრუმბეტდიაც აქვს დასახელებული.
მწიბრში „ერთი იმათს ტრუმბეტდიას“ უკრავდათ, ეს სახელი ევროპ
იტალიურ Trombetta-ს უნდა უდრიდეს.

დაბადების ქართულ თარგმანში სტერეო ვეხვდება.
საქ. მუხ. ხ. № 51 A-ში რამდენსავე ადგილს ფსტური ზეგრა ნიკ.
2 ნომ. 292: „ლევიტაღნი იგი ფსტურითა დავითითა და მუხარამი
გი ნესტუთა, მაგრამ ამ ადგილზე დამეპარება სახაფა-
თოა, რათვან ბერძნულს, ლათინურსა და სომხურს თარგმანებში ქ საფსო-
წენთა დასახელებული და ქართულში ეს ადგილი დამახინებული ხანს.

საგულისხმოა, რომ ოშკის დაბადებაში 1 მეფეთა 12-ისა და 2 მეფეთა
ბა-ში სტერის მაგიერ ნესტე არის ნახს. რამდენადაც
პირველში სწერია: „პარით მეზღერნი და ქნართ, ნესტე ფ. ბობლანო-ო.
ხოლო მეორეში: „იმღერდეს წინაშე კდობანსა მას შიველსა ნესტე-ო
ქნართა, ბობლნითა და ლინითა და წინწილათ-ო.

აღსანიშნავია, რომ ფ. გორგიჯანიძეს თავის ქართულ სახელ
სპარსულს პატარა ლექსიკონში სტეირი უწერია და მის სახელ შეს-
ტევისობად მზმპრ-ი, ხოლო სპარსულსად ნაი აქვს დასახელებული.

2 მეფ. რა-ში? სტერო პო ავღრსის, ე. ი. მართლაც სტერო, მსგავსი
სასაბერი საკრავის ბერძნულს სახელს ედრის.

გამოსლუათა 1822-ის დამოწმებით, ს. ორბელიანს საიქნა აქვს
პხოლოდ, რომ სტეირი სასტეინაეი არის, მაგრამ სასტეინაელის
ქვე მასვე დანიელის მუზე დაყრდნობით განმარტებულ აქვს რომ სტერე-
ო ითაო?

მაშასადამე, საბას. სტეირი სასტეინ საკრავთა ჩუფხისდ მიახდა
მართლაც, დაბადების ქართულ თარგმანში სახელდობრ დანიელს ბა-ში ნა-
ხარია სასტეინელი, სადაც ნათქვამია: „რომელსაც ვამა ვესმის-ე
კმისა საყრისა, სასტეინელისა და ქნარსა, სმუყისა და საფსო-
კმისა“-ო. ასევეა დანიელის ბა-შიც. ქართული სასტეინელი უღას
ბერძნულ სკრინქს, ლათინ. histia და სომხურ სერინგას. სომხურს
ამგვარად ბერძნული სახელი აქვს შენარჩუნებულ ბერძნულში ქ ნაპალო
სკრინქს მონოკალამოსი, ერთდუქშინი, ორთვე მხოლოდ ღია
უნნი ფლეიტის მაგვარი საკრავი უნდა იგულისხმებოდეს. ამნიც იყვეს

1 ორბელიანი, ს., სობრანსისთვის, (1) 122-4.
2 მოგზაურობა, 24.
3 მე. ნაქარ: 2 მეფეთა 6, საქ. მუხ. ხ. № 51 A: 1 ნომ. 129. 1 მეფეთა 10.
4 ქანაშვილი, მ., ფრსადან გორგიჯანიძის და მისი შრომის 22-32.
5 ნაქარ.
6 ორბელიანი, ს., ლექსიკონი.
7 იქვე.
8 ნაქარ.

რომ სასტვინელი დაბადების ქართველ მთარგმნელებს ზოგად ჭგუფობრივ ტერმინადკი არ ქქონდათ შიჩნეული, როგორც ს. ორბელიანს ეგონა, არამედ ცალკეული საკრავის სახელიად.

თავის ადგილას მოყვანილი ვანმარტებიოვან ჩანს, რომ, საბას კლასიფიკაციით, სტვირი საყვირთა ჭგუფს არ ეკუთვნოდა. მართალია, საყვირთა შორის ყვროსტვირიც არის დასახელებული, მაგრამ ის სტვირიც არ არამედ მომცრო საყვირი იყო.

ს. ორბელიანს ყოველნაირი სტკრები ცალკეულ ჭგუფად აქვამოყოფილი, რომელთა ზოგად-სახელადაც სასტკნელი მიაჩნია. ამ ტერმინისათვის მას დანიელის 37 აქვს დამოწმებული¹, მაგრამ სწორედ ამ ადგილის შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ სასტკნელი სპეციალური ტერმინი ყოფილა. ამიტომაც საკრავთა ამ მთელი ჭგუფის ზოგად სახელიად ისევე საბას მიერვე ნახმარი ტერმინი სასტკინავი ემჭობინება. მაშასადამე, სტკრი სასტკინავ საკრავთა ჭგუფს ეკუთვნოდა.

იოსებ-ზილიხანიანში სტკირი და ნაღარა სამხედრო საკრავებად მოჩანან, მაგ., იქ ნათქვამია: „ორნი ლაშქარნი ერთმანერთს ეცნეს ნაღარასტკირითა“². იქნებ აქ სტკირი ნამდვილად ყვირისტვირად არის ნაგულისხმევი, რომელიც მართლაც სამხედრო საკრავი იყო?

აღსანიშნავია, რომ სტკრის შესატყვისი თვით ბერძნული სახელავლოც არის ესაიას 512 და 302-სა და იერემიას 486-ში ნახმარი: „ქნარის თანა და საფსალმუნისა და ავლთა ღვნოსა სუმენ“-ო—„მედღესასწაულყოთა მოხარულთა შესღვად ავლისა თანა მთად მიმართ“-„ვითარცა ავლთობხრიდეს გული ჩემი... ვითარცა ავლმან იობხროს“-ო³. ყველგან აქ ბერძნ. პო ავლოს, ლათინ. tibia, სომხ. ფოლია.

ნაჲ ვეფხის-ტყაოსანში სალხინო საკრავთაგანად მოჩანს. მაგ., ავთანდილი ტარიელის საძებნელად წასვლის შემდგომ ამბობს: „მოვეშორდი ღვინსა ყოველსა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“⁴. წვეულებასაცა უჩანგოდ და უნაოდ მხო არ ქქონია: „უთქვენოდ მყოფთა არ გვირდა ნიშავნი, ნაჩანგ-დაფენი“-ო. ზღვათა მეფისაგან წამოსვლის წინ ეუბნებოდენ ავთანდილი და ტარიელი როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ფ. გორგიჯანიძეს ნაჲ ქართული სტკირის შესატყვისობად მიიჩნდა.

ნაჲ, ანუ ნაჲ ირანულად ლერწამსა ნიშნავს და ამავე დროს ჩასაბერი საკრავის სახელიც არის. არამეთმაც ცნობილია, ლერწამსაგან გაკეთებულს უფრო, შეტად მწელი დასაკრავი 7—8 ნაჩრეტიანი საკრავია, რომელთაგან 6, ან 7 ნაჩრეტი წინა მხარეს აქვს, 1 კიდევ უკან. თურქისტანსა და ქაშმირში ვარდი-ვარდმო დასაქერი ნ-თვალისანი საკრავია, ხოლო ფენჯაბში ენაინი (Rohr—Schnabelflöte) და 5-თვალისანი⁵.

¹ ორბელიანი, ს., ლექსიკონი.

² ქაკობია, გ., იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, გვ. 19, ტ. 121.

³ ბ. ქარ.

⁴ Sachs, Curt. Real-Lexicon der Musikinstrumente, გვ. 269 ა და ბ.

სხვადასხვა სტვირი არსებობდა და მარტყ სტვირს გარდა ჩაღლი ავბულუმის სტვირებსაც ავითებდენ ძველ დროთაგანვე მოყოლებული ჩაღლი სტვირთაგანვე სავანებოდ აღსანიშნავია გულ-ასტვირა, ანუ გულ-სტვირი. ამ საყრავის სახელი უძველეს ქართულ ძეგლებში არსდა სამსჯერებრობით მაინც. ეს არცაა გასაკვირველი. ჩათვან ძველი მისალოდნელის რომ ასეთი წმინდა ხალხური საყრავის სახელ ძველ წერტილობის ძეგლებში ნაწილი იყოს.

გულ-ასტვირები თეიმურაზ I აქვს თავის „აღიღამიწენი-ან“-ში დასახელებული იქ. სადაც მოთხრობილია „ამბეი არაბი მეფისა ბასრელისა ამირასი“. ბასრის მბრძანებელი „მ გარწვეტის მათთანა მონღუქს-ე-მ-ო-შ-ა-ი-რ-ე-ბ-ი... ბევრენ ათსდგრნი მუტრბინი, ამ ცდი გულ-ასტვირებნი“.

ცხადია, რომ ამ საყრავის სახელი რეალური სინამდვილის გამოხატვად კი არ არის აღნიშნული, არამედ მგონასს საქართველოში გავრცელებულ ეს საყრავი უფრო რითმის გულისთვის გახსენება.

გულ-ასტვირა, ანუ გულ-ასტვირა სორბელიანსაც გომორჩენია თავის ლექსიკონში: ცალკეულიდ ეს სიტყვა შეტანილი არა აქვს მაგრამ სამავიეროდ კომპონის განმარტებში ვხვდებით: „ქიმიონი თუ დ-ასტვირა, გულ-ასტვირა“ არის.

გულ-ასტვირას თითქმის ყველა ნაწილების სახელება სამავიეროდ საბაას ვერობაში მოგზაურობის თავის აღწერილობაში აქვს მოყვანილი და ამიტომ მისი ნაწილობის ეს აღგელი იქნადა მიუხედავად რომ ავტორს იქ ვერობულს საყრავზე აქვს საუბარი, ქართული მუსიკის ისტორიის ძველეთა რისთვისაც საყურადღებოა.

საბა-ორბელიანი თავის მკითხველს ასე უცხობი „ერთი მესა ტვირე შევიდა, ერთი გულით მვიდს სტვირს უყრავდა, იქს სათითოები ჰქონდა, ხუთს არა ბილი და ბოხი შეწყო ორდანოს მსგავსი იყო“-ო².

ცხადია, რომ იქ გულ-ასტვირაზეა საუბარი. ამ აღწერილობითგან ჩანს, რომ ამ საყრავს რამდენიმე ნაწილი ჰქონდა რომელთაგანაც თავისი ანთი სახელი არსებობდა. საბაას მხოლოდ ორი მათგანი ნაწილი აქვს თავის აღწერილობაში მოხსენებული: გულ-ასტვირა და სტვირა ვერობაში ჩანს. გულ-ასტვირას 7 სტვირი ჰქონია, მაგრამ სტვირების ასეთ სიმრავლესა და მიუხედავად, ორი, ზოლისა და ბოხი ხმების გარდა დანარჩენი ხმები თურმე არ იხმოდა. ამ შევიდთაგანს მხოლოდ ორსა ჰქონია სათითოები ხმის-ი არა ცხადია, რომ სათითოე ამ შემთხვევაში შესაძლებელი სტვირის, ამ ამ ხმერეტების სახელი იყოს. რომელზე ათობებს დაუარებოდაც სტვირის ხმაცლებოდა, ანდა იმ ხელოვნურ მოწეობილობისა, რომელსაც ათობებს მ-აგერ ნახერეტების დასაფარავად ხმაობდენ.

თუმცა ქართული გულ-სტვირი შეიღ-სტვირისა არ არის, მაგრამ სორბელიანს ვერობული საყრავის აღწერილობაში ქართული საყრავის ნაწილების სახელები აქვს გამოყენებული

1 თეიმურაზ I, თხზულებათა სრულ კრებული ტ. 33, 86

2 მოგზ., გვ. 58

ამიტომ, რომ იგივე ტერმინები ქვემოთმოყვანილს ქართულ მესტიურულ ლექსებშიც გვხვდება.

სტივის აგებულება და მისი ნაწილები ორ ხალხურ ლექსშია დასახელებული: ს. წუნეთში ჩაწერილ ერთს ხალხურ ლექსში ნათქვამი:

